ეროვნული ბიბლიოთეკა

ტარიელ ვართაგავა

ავთანდილ ვართაგავა

# გულახდილი დიალოგები

საუბრები სოფლის უხუცეს ადამიანებთან

1975-1981 წწ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცარიელ ვართაგავა
ავთანდილ ვართაგავა

# გ უ ლ ა ხ დ ი ლ ი   დ ი ა ლ ო გ ე ბ ი

სოფლის ხანდაზმული ადამიანებისადმი
მიცემული კითხვების მიხედვით

1975-1981 წ.წ.

ქ.თბილისი

-

მოყოლებული ომის წლებიდან – 80-იანი წლების ვიდრე დასასრულამდის ჩვენს გარშემო, უშუალოდ სოფლად, არაერთი ნათლითმოსილი თუ სხივმოსილი, არაერთი ბიბლიური პერსონა გადაეგო ამა სოფლიდან.

მათ შორის ისეთებიც, რომლებიც თანდაყოლილი სიბრძნე-სიქველით, შინაგანი კულტურითა და უბრალოებით გამოირჩეოდნენ და ისეთებიც, რომლებიც, მართალია, უბრალონი იყვნენ, მაგრამ სიბრძნე-სიქველესთან და სამყაროს ლოგიურ ჭვრეტასთან საერთო არაფერი აკავშირებდათ.

გასული 6-7 წლების განმავლობაში ჩვენ შევძელით შევხვედროდით არაერთ ხანდაზმულ და ფიზიკურად და გონებრივად საღ მოხუცებს და მიგველო მათგან სასურველი ინფორმაცია. ინფორმაცია ანუ კითხვა-მიგება, გულახდილი დიალოგი, როგორც ეს თვალნათლივ ჩანს, შიფრავს ჩვენს კეთილ მოხუცებს, ჩვენს ბებიებსა თუ ბაბუებს, ჩვენს მეზღაპრეებს, გუთნის ცარის მესაჭეებს და არკვევს სამყაროსთან მათი დამოკიდებულების კარდინალურ საკითხებს; ალაპარაკებს და აუბნებს სოფლის ისტორიის, მისი მითოლოგიის, მისი ცრუვილებისა და სიხარულის, მისი ადამიანების, სასიყვარულო თუ სამიჯნურო, საერთო-საკაცობრიო თუ უალრესად ფარული, პირადული საკითხების გარშემო. ხოლო, საჭიროების ჟამს, ჰერბერტ უელსის ჯადოსნურ მანქანასავით ახედებს მათ წარსულში და მომავლის კოსმიურ ლაბირინთებში.

ბედნიერ გამონაკლისებს, რომლებთანაც ჩვენ საქმიანი თუ დიპლომატიური ურთიერთობა, საქმიანი სჯაბაასი გვქონდა და, რომელთა "დიალოგებზეც" აგებულია მთლიანად ეს ნაწარმოები, განეკუთვნებიან თანასოფლებნი: თამარ ქაჯაია, ამბროსი აბდუშელიშვილი /აწ გარდაცვლილნი/, ვერიჩკა აბდუშელიშვილი-ძინძიბაძისა, სიმონ ქამუშაძე, ვასილ კაპანაძე, სანდრო დარბაიძე, მალიტონ აბდუშელიშვილი /რომლებიც დღესაც ცოცხლები არიან/; ხოლო დანარჩენებთან, ჩვენი ე.წ. უგულისყურობისა თუ დაუდევრობის ან მათი მოულოდნელი გარდაცვალების გამო, არ მოხერხდა მასალების ალება და თავიანთ წარსულთან ერთად შთაინთქნენ ისტორიის ლაბირინთებში.

წინამდებარე ხელნაწერი წიგნიდან – "დიალოგები" თამარ ქაჯა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა



იასთან, ამბროსი აბდუშელიშვილთან, ვერიჩკა ძინძიბაძესთან და ვასილ კაპანაძესთან ეკუთვნის ავთანდილ ვართაგავას, ხოლო დანარჩენები — ცალიელ ვართაგავას.

მკითხველი თვითონ გაარჩევს მათ ღირსება-ნაკლოვანებებს.

# სარჩევი

1. ინტერვიუ მელიტონ იოსების-ძე აბდუშელიშვილთან
2. საუბარი თამარ სამსონის ასულ ქაჯაიასთან
3. შეკითხვები ვერიჩკა კოტეს ასულ აბდუშელიშვილ-ძინძიბაძეს
4. საუბარი ვასილ მელიტონის-ძე კაპანაძესთან
5. შეკითხვები ამბროსი ექვთიმეს-ძე აბდუშელიშვილს
6. ინტერვიუ სანდრო(ალექსანდრე) გიგას-ძე დარბაიძესთან
7. ინტერვიუ სიმონ მურმანის-ძე ქამუშაძესთან

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ინტერვიუ

## მელიტონ იოსების-ძე აბდუშელიშვილთან

უაღრესად არტისტულმა პირმა, თავის დროზე სახელმოხვეჭილმა ტოლუმბაშმა და რიტორმა, დღეს კი სულით-ხორციანად საზოგადოებისაგან და ხალხთაგან მოწყვეტილმა მელიტონ იოსების ძე ა ბ დ უ შ ე ლ ი შ ვ ი ლ მ ა /პასიეთელმა/ ყოველგვარი შელამაზების, კომპრომისებისა და მიკერძოების გარეშე უპასუხა "ინტერვიუს" მიერ შეთავაზებულ კითხვებზე. საუბრებისას აღმოჩნდა, რომ მან ჯერ კიდევ ადრეულ ასაკში თავის მფარველ გენიად გამოაცხადა ქალი, ხოლო ცხოვრების ძირითად მიზნად - ავხორცობის მისტიკა. ალბათ ეს იყო მიზეზი იმისა, რომ მელიტონი თავიდანვე გაურბოდა ფიზიკურ შრომას, სახელმწიფოსა და სახელმწიფოებისადმი დაქვემდებარებულ ინსტრანციებში სამსახურს, სულითა და გულით მიეცა თავდავიწყებას და ათეული წლების მანძილზე, სრულიად მარტო, ტყეში გარიყულ სასახლეში ცხოვრობდა ასკეტური და დემონური ცხოვრებით. განდგომისა და ასკეტიზმის წლებში /რაც დღესაც გრძელდება/ მისი სულის მესაიდუმლენი იყვნენ მასთან თანაშეზრდილი და გაძმაფიცებულ მეტყევენი, მენახირენი და შემთხვევითი მგზავრები, რომელთანაც ის მთელი გულისყურით ეწოდა სექსის, ავხორცობისა და ქალზე გამარჯვების ხელოვნების აპოლოგიას.

ქალისადმი ვნებიანი სიყვარული მელიტონში დღესაც დიდია, დღესაც, მიუხედავად ხანდაზმულობისა, მიუხედავად სიბერისა /"ინტერვიუს" შექმნისას ის იყო 72 წლისა/ - მელიტონი კვლავ ინარჩუნებს ფიზიკურ მოხდენილობას, ჯენტლმენურ იერს, არისტოკრატიულ თავდაჭერილობასა და სისადავეს...დღესაც, როგორც არასოდეს, კვლავ ძველებური მოთმინებითა და სიყვარულით გასცქერის საკუთარი სახლის აივნებიდან მაღალი სეროებისაკენ, საიდანაც მისი ოცნების პრიმავერები - ქალები იცქირებიან.

იმედია, კარგად გაგვიგებს მკითხველი ჩვენ და გაუგებს მელიტონ ამდუმელიშვილსაც, რომელიც დღესა თუ ხვალე ნებაყოფლობით უარყოფს საკუთარ თავს და დაადგება ცისაკენ მიმავალ გზას...
აქ კი ჩვენთან — პლანეტა დედამიწაზე, დარჩება მისი უკანასკნელი "აღსარებანი", როგორც მისი სიცოცხლის გაგრძელება, მისი სულის, ხორცისა და განუხორციელებელ ოცნებათა ნამდვილი ადექვატი.

— რამდენადაც ვიცი, მთელი შენი შეგნებული თუ შეუგნებელი ცხოვრება, შენი სულის პატრიარქალურ მყუდროებაში, სოფლურ სიმარტოვესა და ასკეტურ განდგომილებაში გაატარე. ათეული წლების მანძილზე /ომამდე, ომის წლებში და მის შემდეგ — დღემდის/ შენ ახლობლებსა და მეგობრებისაგან მოწყვეტით ცხოვრობდი.
ეს წლები, ცხადია, საკმარისი იყო იმისათვის, რათა შენ, როგორც ყოფილი გიმნაზიელი, მწიგნობარი და არისტოკრატიული ოჯახის შვილი, კარგად დაკვირვებოდი ცხოვრებასა და ბუნებას ერთდროულად და რიგიანად შეგესწავლა იგი და მერე გაგეანალიზებინა შენებურად საჭირო დასკვნებისა და შედეგებისათვის, თუკი ამის სურვილი და საშუალება გექნებოდა... ცხოვრება და ბუნება ხომ ერთიმეორის ურთიერთშერწყმა, ურთიერთშედამანებაა, ერთიმეორის გარეშე ისინი არ არსებობენ; ბუნება-ფილოსოფიაა, ცხოვრება — მისი დანამატი; ადამიანი კი ამ ცხოვრების მეუფე, მაგრამ საყოველთაო მასშტაბებთან უჩინარი და უმწეო არსება. მიუხედავად ამისა, ადამიანი ყოველთვის ოპტიმისტის თვალით შეჰყურებს მომავალს და პოეტის თქმისა არ იყოს: "უყვარს ქალი ვნებიანად და ამრავლებს ადამიანებს დაუზოგავად"..აი, სწორედ, ესპარის ერთგვარი სტიმული, რომელსაც კაცობრიობა მიჰყავს უკუკვალავი გზებით და აზრს აძლევს თითქოს მის არსებობას დედამიწაზე. საერთოში კი

ეროვნული ბიბლიოთეკა



ადამიანი უსუსურია ამ მასშტაბებთან. ალბათ ეს იყო ოხვრის მიზეზი, როდესაც შეღამების მოციმციმე ვარსკვლავებთან თვალით შეერთებისას, ბაბუა ჩვენი- იპოლიტე ვ ა რ თ ა გ ა ვ ა, ყოვე-ლთვის ასე იტყოდა ხოლმე: "ე რა ვართ ადამიანები სამყაროსთან შედარებით, ჭიანჭველები და მეტი არაფერი". ამ სიტყვებით ის ადამიანური ცხოვრების მასშტაბს სამყაროს მასშტაბებთან ადარებდა და ასეთი დასკვნა გამოჰყავდა...

გამოვდივარ რა საყოველთაოდ აღიარებული ფოიერბახისეული გამონათქვამებიდან შესახებ იმისა, რომ ადამიანი შეიმეცნება საგნიდან, რომ იგი მიჯაჭვულია მიწას და მხოლოდ ცისაკენ მზერა, მამასადამე - ჭვრეტა, მოაგონებს თუ რისთვისაა იგი შექმნილი. რომ პირველი ფილოსოფოსები ასტრონომები იყვნენ და ა.შ. გეკითხები შენ, როგორც მიწიერ და როგორც ზეციერ არსებას, როგორც მწიგ-ნობარს და როგორც ნახევრად ველურს, როგორც უთვისტომოსა და ცხოვრებისაგან საყოველთაოდ მოწყვეტილს: - რა აზრი აქვს ადა-მიანის არსებობას დედამიწაზე, მართლა ასრულებს იგი თავისი არსებობით რაღაც განსაკუთრებულს სამყაროთა განვითარების ერთიან ჯაჭვში, თუ ბედისწერის სათამაშო ტიკინაა ცით მოვლენილი

- ადამიანი ქმნილების უმაღლესი გვირგვინი, სამყაროს ერთგვარი სამკაული და მშვენებაა...ამდენად მას სრული უფლება აქვს იცოცხლოს, იაზროვნოს, მაქსიმალურად გამოიყენოს ქვეყნად არსებული ყოველგვარი სიკეთე და გონებრივი და ფიზიკური შრომის ურთიერთშერწყმით, ცხოვრება წარმართოს მხოლოდ ერთი: კაცობრიობის სასარგებლოდ; სამყარო ჩვენთვისაა შექმნილი...ამდენად შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ როგორც სამყაროს გარკვეული შემადგენლები, ვასრულებთ კიდეც ერთგვარ როლს მისი განვითარების ერთიან ჯაჭვში. რაც შეეხება ბედის საკითხს, დაბეჯითებით შეიძლება ვთქვათ, რომ

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ჩვენ არა ვართ ბედის სათამაშონი, რადგანაც ჩვენ თვითონ ვართ საკუთარი ბედის მჭედლები. ბედი ჩვენს ხელშია.

- როგორ გესმის საკითხი: ადამიანი – ჩრდილის აჩრდილი დედამიწაზე?

- ამ საკითხზე არა მაქვს სრული წარმოდგენა.

- ბედისწერის საკითხი?

- ბედისწერა თან სდევს ადამიანს...ბედისწერის საკითხი მწამს.

-ბედის ვარსკვლავი?

- ყოველი ადამიანი ამა თუ იმ ვარსკვლავზე ა დაბადებული.

- რას გრძნობ მაშინ, როდესაც ხეები ეცემიან დიდი ქალაქებივით?

- ჩემს ეზოშიდაც ხშირად ყოფილა დიდი /პატრიარქი/ ხეების დაცემის შემთხვევები...ეს საბედისწერო შემთხვევები ისე განმიცდია, ისე მიმიტანია გულთან, როგორც ახლობელი ადამიანების დაღუპვის შეურიგებელი ფაქტი, ხის ბედი მე ადამიანის ბედს მაგონებს უპირველეს ყოვლისა, რადგანაც ადამიანთა მსგავსად მათაც აქვთ თავიანთი სასწაულები.

- როდესაც ეცემიან დიდი ქალაქები /პომპეი, გერკულანუმი/?

- პირადად მე ომებისაგან ან სტიქიისაგან განადგურებული ქალაქები არ მინახავს და არც მქონია ამის საშუალება, ქალაქების კატასტროფებს ვიცნობ მხოლოდ წიგნებიდან...თავისთავად ესეც შეურიგებელი ფაქტია და დიდად დამაფიქრებელი, რადგანაც დაცემა ნიშნავს მასიურ განადგურებებს, ნგრევას, თაობათა მოსპობას,

კულტურულ მონაპოვართა და სიძველეთა ერთიან განადგურებას. ქალაქების განადგურება წარუშლელი ტრაგიკული მატიანეა კაცობრიობის ისტორიაში.

- როდესაც წყდებიან შემოდგომის ფოთლები?

- ფოთოლცვენა ჰგავს ადამიანის ნაადრევ დაღუპვას.

- როდესაც მეხი ვარდება და ხეებს გლეჯს ძირ-ფესვიანად?

- მეხის დაცემა ქმნის პანიკას თვით უძლიერეს ადამიანშიც კი... მეხის მიერ ხეების განადგურება ადამიანის ტრაგიკული დაღუპვის იდენტიურია.

- რომელი ფენომენი განგვასხვავებს ჩვენ ფოთლისაგან, ხისაგან ან ცხოველისაგან?

- აზროვნებისა და მაღალი კულტურის გარდა, თითქმის არაფერი: ჩვენც ისევე ვიბადებით, ვიზრდებით და...ვიღუპებით, როგორც ხეები, ცხოველები და ფოთლები.

- გიფიქრია შენ იმ წუთებზე, როდესაც ამ ქვეყნად აღარ იქნები?

- მიფიქრია!!...მწარედ განვიცდი იმ წუთებს, როდესაც ამ ქვეყნად აღარ ვიქნები.

- როდესაც ადამიანი იღუპება, გრძნობს რომ მასთან ერთად მთელი სამყარო იღუპების. მართალია თუ არა ეს?

- სინამდვილეა, რადგანაც დაღუპვათა გარდუვალობას ადამიანი - რომელიც იღუპება, ბუნებისა და სამყაროს დაღუპვასთან ათანაბრებს...მოკვდავს ეჩვენება, თითქოს სამყარო მასთან ერთად კვდება. ეს , რა თქმა უნდა, მწარე ილუზიაა.

– საბედისწერო შემთხვევა, რომლის დროსაც, შესაძლებელია, დუღუპულიყავი კიდეც.

– მქონდა ასეთი შემთხვევა: 15 წლის ასაკში ხიდან ჩამოვარდი და სასწაულებრივ გადავრჩი იმის გამო, რომ ხის ძირას ბლომად ეყარა ქვები და ლოდები...მე ეს შემთხვევა დღემდის არ დამვიწყნია და ყოველთვის მაგონდება,როგორ საბედისწერო შემთხვევა.

– ილაპარაკე განუხორციელებელ ოცნებათა შესახებ.

– ვოცნებობდი სამხედრო სასწავლებლის დამთავრებაზე. ეს არ მოხერხდა ჩემი ავადმყოფობის გამო...სიმდიდრე არ მიტაცებდა, რადგანაც ჩვენი ოჯახი ოდითგანვე ნაზიარები იყო ამ ბედნიერებას. განუხორციელებელ ოცნებათა შორის შემიძლია დავასახელო – ცოლის შეურთველობა, უშემკვიდროდ დარჩენა, სამსახურში საზოგადოებაში გაუსვლელობა და ა.შ. ერთი სიტყვით ყველაფერი ის, რაც ადამიანს სრულყოფილ პიროვნებად ხდის და საპატიო ადგილს მიუჩენს ხოლმე საზოგადოებაში.

– შენი ცხოვრება ბოჰემური თუ არა ნახევრად ბოჰემურია მაინც. ბოჰემა შენ შეიტკბე, როგორც ცხოვრების რიგია... ამასთან დაკავშირებით მინდა მოგაგონო ლუთერის სახელგანთქმული დევიზი:" ვისაც არ უყვარს ღვინო, ქალი და სიმღერა, იგი დარჩება სულელი მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე". რამდენად სწორია ეს ?

– ვეთანხმები ლუთერის სახელგანთქმულ დევიზს, რადგანაც ადამიანისათვის და მითუმეტეს ქართველი კაცისათვის, ეს განუმეორებელი სამება: ღვინო, სიმღერა, ქალი, აუცილებელია ნორმალური და წესიერი ცხოვრებისათვის.

– აღნიშნული შემადგენლებიდან /ღვინო, სიმღერა, ქალი: ქართველი ზარხოშების ანალოგია – ღვინო; დუდუკი, ქალი/, რომელ

ერთს გამოაკლებდი ან დათმობდი?

- სიმღერა არაა აუცილებელი, ღვინო - ნორმალურობის ფარგლებში, ქალიც ნორმალურად...

- ქალი, როგორ გესმის შენ ეს მცნება? - ჰაეროვანია ის თუ არა სინამდვილეში, თუ მარტო ბიწიერი ცხოველი, როგორც ამას ფელისიენ როპსი, ბოდლერი და სტრინბერგი მიიჩნევდნენ?

- ქალი ჰაეროვანი არსებაა მისი ღრმა გაგებით...ამასთან თანასწორუფლებიანიც მამაკაცთან ყველა ვარიანტში. რაც შეეხება "ბიწიერ ცხოველთან" გაიგივებას, მე ეს არ მიმაჩნია სწორად.

- როგორ გესმის ქალი - დედა?

- ის ფაქტიურად წმინდანია, ჩვეულებრივ ადამიანზე ასმაგად მეტი.

- ქალი - სიკეთისა და ბოროტების სათავე?

- ქალი კეთილიც არის და შურისმაძიებელიც. როგორც ნაზ არსებას, თავმოყვარეობა გაცილებით მეტი აქვს მამაკაცზე, რის გამოც, არავის აპატიებს შეურაცყოფას, თუკი ამის შემთხვევა მას ოდესმე ექნება.

- და ბოლოს - ქალი შთაგონების წყარო/ ალიგიერი, ბარათაშვილი, ორბელიანი, გალაკტიონი/?

- ეკატერინეს ეშხით ბარათაშვილმა უკვდავი "საყურე" და "ჰიაცინთ დასწერა...რუსეთში მწერალმა არციბაშევმა სახელმოხვეჭილი "ანფისა" შექმნა. ნაწარმოების შექმნის ძირითადი აზრია ქალის სისუსტის საყოველთაო ჩვენება, რომ..."ანფისას" მთავარი გმირი - ოჯახის სიძე, ინტიმურ კავშირშია ცოლისდებთანაც...ბევრი მაგალითების მოყვანა შემეძლო იმის შესახებ, თუ რა მისცა ქალმა ამა თუ იმ შემოქმედს, რა იდეები შთააგონა მათ, მაგალითისათვის დანტეს ბეატრიჩე და გოეთეს - ულრიკე ფონ ლიკენცი - 18 წლის გოგონაც გამოდგებოდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



– 70 წელს გადაცილებული ხარ. მეტი წილი ამ სამოცდაათისა შენ ცხოვრებისაგან და საზოგადოებისაგან მოწყვეტილად განვლე. ეს ხომ ასკეტიზმია...საზოგადოებისაგან გაქცევა?...მიუხედავად ამისა, ასკეტიზმმა შენ ერთგვარ ბედნიერებასაც გაზიარა: ცხოვრე-ბის ხანგრძლივი დროის მანძილზე დაფიქრებისა და მსჯელობისათვის დიდი დრო მოგცა. მარტივად რომ ვთქვათ, მოგცა უნარი, გეფიქრა მიწიერ და ზეციერ ცხოვრებაზე, გეფიქრა ყოფნა-არყოფნის საკითხებზე, გეფიქრა ქალზე...ეს უკანასკნელი ქალი/ ალბათ შენთვის იყო და დარ-ჩება მუდმივი ოცნებისა და გატაცების საგანი, ე.ი. ყველაფერი შენთვის, რომელშიდაც მთელ სამყაროსაც კი დასთმობდი დაუფიქრებლად. რამდენად სწორია ეს გამონათქვამი?

– თავის დროზე მე მქონდა ქალებისადმი დაუოკებელი ლტოლვა, დაუოკებელი სიყვარული...მაგრამ ეს სიყვარული არასოდეს არ ასულა ისეთ ხარისხში, რომლის ძალითაც მე შემეძლო ქალებისათვის დამეთმო სამყაროები. სიყვარულს შეიძლება ვანაცვალო თანხის ან შემოსავლის გარკვეული ნაწილი და არა სამყაროები, ესეც ქალის მეტი დაინტერე-სებისა და დამორჩილების მიზნით. ძუნწი არასოდეს ვყოფილვარ... ძალდატანებას არასოდეს მივმართავდი ქალთან ინტიმურ დამოკიდებუ-ლებათა შემთხვევაში. მკაცრი სიტყვით ვერ ვაკადრებდი მათ.

– რუმინელ მწერლის კარნმახის თქმით, ღვინიან ჭიქაზე ტუჩის შეხება ქალის კოცნასა ჰგავს. შენ კი – როგორც ტიპიური ქარ-თველი, ღვინისაგან ასე თუ ისე განდგომილი ხარ, ე.ი. არა ხარ ღოთიანი მსმელი, მისი ბოჰემური გაგებით...ქალის კოცნა კი შენთვის ყველაფერია. მაგრამ, რადგანაც შენი ასკეტური ცხოვრება, შენი ტყე, სოფლისაგან მოწყვეტილი შენი ეზო-კარმიდამო, არ იძლევა ნაირნაირ ქალებთან ურთიერთობის დაჭერას, მაშინ, მართლაც ძნელია ალბათ ბუნებისაგან მომადლებულ ვნებათაგან თავის დაღწევა...

როგორ ახსნიხებდი შენ ამას ათეული წლობის მანძილზე: ვნებათა ღელვის დაძლევით, პორნოგრაფიული რომანების კითხვით თუ მამაკაცებ-თან სექსუალურ საკითხებზე საუბრებით?

– ვნებათა ღელვის დაძლევას ვახერხებდი ძირითადად ადგილობრივ ქალებთან ინტიმური კავშირით. ადგილობრივთა შორის იყვნენ, როგორც უმიწონი, ისე დედაქალები ...გარკვეულ დროს ვუთმობდი პორნოგრაფიუ-ლი თუ რომანტიული თავგადასავლებით აღსავსე რომანების კითხვასაც, რომელთა შორის შემეძლო დამესახელებინა რუსი და საზღვარგარეთელი მწერლების ნაწარმოებები. გოეთეს "ფაუსტი" ამ შემთხვევაში კი ფასდაუდებელ ნაწარმოებად მიმაჩნია; ფასდაუდებელია მისივე "ვერთერის ვნებანიც". შეუდარებელია შექსპირის "ჰამლეტიც"... არაფერს ვამბობ არციბაშევის "შეშვისას", ყაზბეგის "ელეონორას", ბოკაჩიოს "დეკამერონისა" და სხვათა და სხვათა გარეშე, რომელთა კითხვისას არაერთი ვნებიანი წამები გამიტარებია... რაში მდგო-მარეობს ვნებათაღელვის დაძლევის სასიამოვნო ფაქტი აღნიშნულ) ნაწარმოებათა კითხვისას? – ადამიანი, მითუმეტეს უცოლშვილო და ქალებს დაღირსებული მამაკაცი, აღნიშნული ნაწარმოებების კი-თხვისას, ცხადია, საკუთარი ფანტაზიის წყალობით, მონაწილე ხდება იმ ვნებიანი და სახიფათო რომანტიული თავგადასავლებისა, რომლებიც ამ ნაწარმოებებშია მოცემული. შეყვარებული ვიყავი და ვარ დღესაც ყაზბეგის ელისოზე და ელეონორაზეც კი...მიუხედავად იმისა, რომ მან თავის პატრიოტმოყვარეობას ათეული ქართველი ვაჟკაცის სიცოცხლე ანაცვალა.

– კი მაგრამ შენი მარადიული სტუმრები /მეტყევე, მწყემსი, მიწის მუშა, შემთხვევითი მგზავრი/ ხომ სექსუალურ საკითხებზე საუბრებისათვის არ ვარგოდნენ: მათ ხომ სრული წარმოდგენა არა აქვთ ქალზე და არც არასოდეს შეიძლება ჰქონდეთ...მათ ხომ არ იციან რას წარმოადგენს ქალი მისი მიწიერი გაგებით და ქალი-

-ზეციური ვაკებით?...ამჟამად სექსზეც საუბრები ასეთ ადამიანებთან უნაყოფოა, რას იტყოდი შენ ამის შესახებ?

- სამწუხაროდ, ხშირად მიხდებოდა საუბრები ასეთი რანგის ადამიანებთან სექსზე თუ ეროტიული საკითხების გარშემო და აშკარა იყო, რომ ისინი ზრდილობის გულისათვის უფრო მისმენდნენ, ვიდრე სექსისადმი ცხოველური ინტერესის გულისათვის... დიახ, მათი წარმოდგენები სექსზე, ცხოველის დონემდე უფრო დაიყვანებოდა...

- გაგითამაშებია თუ არა ისეთი რომანტიული სცენა მშვენიერ ქალთან, რომელზედაც რომანი, პოემა ან რაიმე მაღალი მხატვრული ღირებულების მქონე ნაწარმოები შეიძლება ჭაგებულიყო?

- ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში სწავლის დროს მე მომწონდა ეპარქიალური სასწავლებლის მოსწავლე /ნაადრევად გარდაცვლილი/ ეთერ კიკაბიძე. ეს იყო უაღრესად სათნო, კეთილი, ნაზიერი, ლამაზი, არისტოკრატიულად აღზრდილი და ქალური ღირსებებით დამშვენებული. ეთერთან მე წრფელი, ვაჟკაცური სიყვარული მაკავშირებდა. მქონდა მასთან ხშირი შეხვედრები, დავდიოდით თეატრებში, კონცერტებზე, ბულვარში...მისმა ნაადრევმა დაღუპვამ ჩვენი მომავალი ბედნიერების საკითხი წაშალა...ჩვენს შორის მართლაც იყო ისეთი იდეალური სამიჯნურო დამოკიდებულება, რომელზედაც კარგი ნოველისტი კარგ მოთხრობას ან ნოველას დასწერდა.

- გახვიდოდი თუ არა ქალის გულისათვის დუელში ან მოიქცეოდი ისე, როგორც ეს ყაზბეგის "ელეონორაშია" დახატული?

- თავმოყვარე კი ვიყავი, მაგრამ იარაღის ყოველთვის მეშინოდა, იარაღს გავურბოდი...საქმეს ისე არ გავართულებდი, რომ იარაღით ანგარიშსწორებამდე მისულიყო საქმე. ასე, რომ ქალის გულისათვის მე დუელში არ გავიდოდი.

- ორიათასი მამაკაცი, ერთიც -უმშვენიერესი დამა. ამ

ორიათასთა შორის შენცა ხარ...ორიათას მამაკაცს ევალება სათითა ყვავილი გადასცეს მშვენიერ დამას ისეთი არტისტული მშვენიერები რაც მათ საყოველთაო გამარჯვებას მოუტანს /ქალი რჩება გამარჯვე ბულს/; როგორი არტისტული ჟესტით გადასცემდი შენ ქალს ყვავილს ან როგორ მოიქცეოდი საერთოდ, მაშინ, როცა საქმე ეხება უმშვენიერესი ქალის დაპატრონების საკითხს?

- მივმართავდი ყოველგვარ არტისტულ ჟესტს, ყოველგვარ ხერხ რათა, რაც შეიძლება მეტი მოხდენილობით მიმეწოდებინა ყვავილი ქალი სათვის - მასზე საბოლოო გამარჯვების მიზნით.

გარკვევით არ მესმის როგორ მოვიქცეოდი მაშინ, რადგანაც კაცი გადამწყვეტ მომენტში იბნევა.

- გსურს თუ არა ჰარამხანის სიამოვნებისა, მაჰმადიანთა ბედი, ჯენტლმენებისა, რომლებიც ქალებს ადვილად იმორჩილებენ?

- დღეისათვის ჰარამხანების როლს საქართველოში კერძო ბინებში ქალ-ვაჟთა ცალკე შეკრებანი ასრულებს...წინათ ეს ასე არ იყო, ქალი უფრო მომთმენი და თავდადებული იყო. აღვნიშნავ, რომ იმ დროს არსებობდა ქალ-ვაჟთა საკრებულო, სახელწოდებით: "დომ ტერპიმოსტი" /იგივე ჰარამხანა/...რაც შეეხება შურის საკითხს, ჰარამხანის სიამოვნებას ჩემში ასეთი რამ არასოდეს გამოუწვევია

- ქალის გარეშე არ შექმნილა თითქმის არცერთი ლექსი, მოთხრობა, ფერწერული შედევრი თუ მუსიკალური ნაწარმოები... ყველაფერი ეს გააკეთეს მათ, რომელთაც თავს დასტრიალებდათ მუზა შთაგონების წუთებში და იყვნენ ხელგაშლილნი სიყვარულსა და სიტყვის დამორჩილებაში საერთოდ. შენ კი, რომელსაც არავითარი მხატვრული ლიტერატურის ნაწარმოები არ შეგიქმნია და არც გქონია ამის სურვილი არასოდეს, რით გამოხატავდი ქალისადმი ჯენტლმენურ

თუ პოეტურ დამოკიდებულებას?

– გაცნობისთანავე ვცდილობდი ქალის წინაშე ვყოფილიყავი ზრდილობიანი, თავდაჭერილი, მოხდენილი...ეს ქალის მიზიდვისა და დამორჩილების ერთ-ერთი აღიარებული და საუკუნეობით განმტკიცებული ხერხია.

რაც შეეხება მხატვრულ ღირებულებას, მე არასოდეს მიცდია დამეწერა ლექსი, ნოველა, რომანი უშუალოდ ქალზე ან ჯსიყვარულის ნიადაგზე წარმოშობილ უწმინდეს გრძნობებზე, რადგანაც ბუნებრივად არ ვყოფილვარ სათანადო ნიჭით დაჯილდოებული.

– როგორ რეაგირებს შენზე პოეტური გამონათქვამები: "ბაგე ატმებად გადაპობილი", "სქელ ბაგეებს რომ დაისისხლავენ, ვით თეირანის ბროწეულები"..."ბაღში ვარდი, ჯამში – ღვინო და ქალის უბეში ბროწეულები"?

– მივესალმები აღნიშნულ სტრიქონებს...მე მისინი კარგად მიხატავენ ქალის ვნებიან ტუჩებსა და სილამაზეს, საერთოდ.

– რომელი ლიტერატურული ნაწარმოების გმირს ბაძავ ქალისადმი ჯენტლმენურ დამოკიდებულებაში?

– კონსტანტინე გამსახურდიას "დავით აღმაშენებლიდან" – დედის იმედის თამარისადმი ჯენტლმენურ დამოკიდებულებას...აქვე მინდა ვისარგებლო შემთხვევით და აღვნიშნო, რომ ჩემი დიდი ხნის ოცნება – მომეწვია ჩემს მამაპაპურ ოჯახში ეს დიდი მწერალი კონსტანტინე, სამწუხაროდ ვერ განვახორციელე.

– რა იტყვი შექსპირის ქალებისა და ქალიშვილების შესახებ?

– შექსპირის ქალები " მეფე ლირში" გარდა კორდელიასი, სასტიკი ბოროტები არიან. მე ასე მიმაჩნია...დეზდემონა "ოტელოში"

დიდებულია და ჰაეროვანი, ოფელია მოღალატეა და ა.შ.

- ისურვებდი თუ არა ლეგენდარული /აგრეთვე საარაკო/ საქმეების ჩადენას იმ ქალის წინაშე, რომელიც თავდავიწყებამდე გიყვარს?

- არ ვისურვებდი, რადგანაც ქალის გულისათვის, ჩემის აზრით არ ღირს თავის გაწირვა.

- ძალუძს თუ არა შეყვარებულთა არმიას მსოფლიო დემონიური ძალების განადგურება, როგორც ეს პლატონის "ნადიმშია" მოცემული?

- ჯერ ერთი ასეთი არმიის შექმნა არ შეიძლება, მეორე - შესაძლებელიც რომ იყოს მსგავსი არმიის შექმნა, იგი ვერ გაუმკლავდებოდა მსოფლიო დემონიურ ძალებს.

- ისურვებდი თუ არა ყოფილიყავი ამ არმიის ერთი მებრძოლი?

- არასოდეს.

- როდის უფრო ძლიერია შენში ქალისადმი ლტოლვა, წელიწადის რომელ დროს, დღეღამის რომელიმე განსაზღვრულ საათს: ვარდების აყვავებისას, სავსე მთვარეების დროს, დღისით, ღამით თუ ა.შ. დაუსრულებლივ?

- ქალისადმი ლტოლვა ჩემში ძლიერია მაისის თვეში.

- არის თუ არა ქალი ისეთი ჰარმონიული სისადავისა, როგორც ამას პოეტური რითმა ან სამკაული იძლევა?

- არის ქალში იდეალური რამ, მე ეს მჯერა და მწამს ყოველთვის

- თავისთავად მიმზიდველმა და ამასთან მშვენიერმა ქალმა, შესაძლებელია, არავითარი შთაგონება არ მოახდინოს მამაკაცზე, მაგრამ

კაზის კალთებიდან ოდნავ გამონაკრთომმა შიშველმა მუხლებმა შეიძლება სიგიჟის პირამდე მიიყვანოს იგი. რისთვის ხდება ეს ან რა მიზეზები განაპირობებენ ინერტიულობას შიშველი ქალის წინაშე ან პირიქით – თავდავიწყებას: თეთრი მუხლების წინაშე?

– მე უფრო მაღელვებს და მომწონს ქალის ლამაზი ფეხები, პირველ ყოვლისა – კაზის კალთებიდან მალულად გამონაკრთომი შიშველი მუხლები.

– რას ირჩევდი ქალში: მიმზიდველ ფიგურას ულამაზო სახით თუ პირიქით, ულამაზეს სახეს მახინჯი ფეხებით?

– ცხადია, მიმზიდველ ფიგურას...სახის სილამაზეს არ მივაქცევდი ყურადღებას.

– როგორ გესმის უბიწოების საკითხი: ესაჭიროება თუ არა იგი ქალს მეოცე /მეამბოხე/ საუკუნეში?

– უბიწოებას თვით საუკუნენი საჭიროებენ, არა თუ ქალი...

– შენ, რომელსაც მთელი 24 საათის განმავლობაში ვნებიანად შეგიძლია ისაუბრო ქალზე, ამასთან არავითარ საშუალებას არ დაერიდები მისი მოპოვებისა და დამორჩილებისათვის, რატომ ხდება ისიც, რომ ზოგიერთი მამაკაცები მიყვარულის მაგიერ ძრწოდნენ კიდეც ქალის წინაშე. ისტორიამ იცის ამის მაგალითები: მაკედონელი გაურბოდა ქალს, მაგრამ კი სამიჯ რისებას უწოდებდა მას.

– ქალს ნაპოლეონიც გაურბოდა...მათ შორის მეუღლე ჟოზეფინასაც

– რამდენი კონტრასტია ბალზაკან კოსასათვის ქალი – ეროტიული ჟინის მკვლელია, ალიგიერისათვის –"უკეთილშობილესი"" და "ამაღლებული"...შენ რომელი ერთის მხარეს დაიჭერდი?

– ცხადია, ალიგიერის მხარეს.

- თუ ეს მართლაც ასეა, რისთვის გასწირე თავი კაცმა ტყის პატრიარქალურ მყუდროებაში და საზოგადოებასთან ერთად სამუდამოდ განერიდე ქალს?...განა შეიძლება იმ უდიდესი დანაკლისის შევსება, რასაც ქალი ან ქალური სიტკბოება იძლევა, სულ ერთია მეუღლეა ის თუ ხასა?

- მე უკვე გიამბეთ ჩემი პირველი სიყვარულის შესახებ უდროოდ გარდაცვლილ ეთერ კიკაბიძესთან...მისი ნაადრევად დაღუპვა, ჩემი ბედნიერების დაღუპვაც იყო. ასე, რომ როდესაც მე ეს ქალი სულით-ხორციანად ჩამომშორდა ე.ი. უბიწოდ შეერთო ზეციურ ლაჟვარდებს, სხვა ქალის გაცნობასა და ცოლის შერთვაზე საერთოდ აღარ მიფიქრია. ჩემის მხრივ ეს იყო მიუტევებელი დანაშაული, როგორც ოჯახის, ისე ერისა და ქვეყნიერების წინაშე.

- ქართველი მამაკაცები ხშირად უფიქრდებიან ამას და უცოლოდ დარჩენილ კაცს სხვას არას უწოდებდნენ თუ არა "ჯირკს", თუ არა -"უნაყოფო ხეს", "ბერმიჭას" და ა.შ. მეუღლის მოყვანა ან არ მოყვანა ეს ცხადია, კაცის პირადი საქმეა და მის კონკრეტულ საქმეებს განეკუთვნება; ამდენად არავის არა აქვს უფლება ჩაერიოს სხვის პირად საქმეებში და გააბრუოს ერთი და იგივე შეკითხვებით: "რატომ", "რისთვის"? ...მაგრამ "ინტერვიუს" ძალუძს ნაწილობრივ მაინც შეიჭრას კაცის წარსული ცხოვრების მატიანეში და ათქმევინოს ის, რასაც ის, შესაძლებელია, ნიძლავის გულისთვისაც არ აღიარებდა არავის წინაშე...გამომდინარე აქედან, მე მინდა გკითხო, მიგაჩნია თუ არა თავი სრულყოფილ მამაკაცად ან საზოგადოებისათვის სასარგებლო წევრად მაშინ, როდესაც მეუღლე და საკუთარი მემკვიდრე არასოდეს გყოლია?

- გიორგი ჭყონდიდელი ბერი იყო და უცოლო, რომელმაც დავით აღმაშენებელი აღზარდა. განა ამიტომ ის არ იყო სრულყოფილი და სამშობლოსათვის სასარგებლო ადამიანი? განა ამით მან რაიმე

დაკლო საკუთარ თავს?

– ვისი ან რისი იმედით შეჰყურებ ხვალინდელ დღეს, რომელი სახელოვანი ფურცელი ჩასწერე ერისა და კაცობრიობის ისტორიაში?

– სრული იმედ ი მაქვს ჩემი ძმისწულებისა, რომლებიც სიცოცხლეში და სიცოცხლის შემდეგაც არ მომაკლებენ თავიანთ ყურადღებას. ამის გამო მე სრულიად დამშვიდებით შევყურებ ხვალინდელ დღეს.

– შენ იცნობ ომების ისტორიას. ყოფილა თუ არა საყოველთაო მასშტაბის გამანადგურებელი ომი, რომლის გამომწვევი მიზეზიც ყოფილიყოს ქალი?

– ქართული ზღაპრის "ამირანის" მგალითი ამის უტყუარი დასტურია. იქ ხომ ქალის – ყამარის მოტაცების ნიადაგზე მოხდა ბრძოლა ამირანის ძმებსა და ქაჯების ლაშქარს შორის....ეს თუმცა ზღაპარია, მაგრამ მე მწამს, რომ ადვილი შესაძლებელია ქალის ნიადაგზე წარმოიშვას მსოფლიო გამანადგურებელი ომები....დუელი და ათასნაირი მკვლელობები ხომ ქალის ნიადაგზე ხდებოდა საერთოდ?

– შეუძლია თუ არა ქალს შეაჩეროს ომი?

– შეუძლია . ქართველი ქალის მანდილს არაერთი შმაგი ორთაბრძოლები გაუზავებია...ნონეშვილს აქვს ერთი ასეთი პოეტური ) მიმართვა ქალისადმი: "შენს ბრძანებებზე ქალაქები აშენდებოდა, აშენდებოდა, ო რა რიგად აშენდებოდა"... თუ ასეთი რამ მართლა შესაძლებელია, მაშასადამე შესაძლებელი ყოფილა ქალის ბრძანებებზე შეჩერდნენ ომებიც კი.

– არავითარ ძალას არ შეუძლია დაიმორჩილოს ქალი. მხოლოდ პოეზიას ძალუძს დაატყვევოს ქალი და გახადოს იდეალურად მშვენიერიც კი მაშინ, როდესაც ის უაღრესად გარყვნილი და წრეგადასულია. ამდე-

ნად პოეზია მუსიკასთან ერთად ადამიანის სულიერი ცხოვრების ტონის მიმცემი და სილამაზეა...შენ კი, რამდენადაც ვიცი, ნაკლებად ან სავსებით არ ცემ პოეზიას ჯეროვან პატივს, ისევე, როგორც საერთოდ – ზემო იმერეთის დიდად სტუმართმოყვარე და ფაქიზ ხალხი. პრაქტიკოსი ხალხი არიანო, ამბობენ ზემო იმერლებზე. ამ დროს ჩვენი მომიჯნავე ხევსური თუ ფშაველი, ფშაველი თუ თუში პოეზიით სუნთქავენ და თუ დასჭირდებათ, მუზარადითაც კი სვამენ მის სადღეგრძელოს.

პოეზიისადმი გულგრილი დამოკიდებულება ბევრს აკლებს ამა თუ იმ კუთხის შვილს და ადლენს ჭიდეც მის სულიერ შესაძლებლობას.

რისთვის ხდება ყოველივე ეს?

– მე ვფიქრობ შეუგნებლობაა ეს, რადგანაც ჩვენი კუთხის ხალხი არ დგას პოეზიის გაგების დონემდე...პოეზიას მართლაც შეუძლია დაატყვევოს ქალი. ეს კი კალომრიობისათვის ყველაფერია.

– ცხოვრება ხომ თავისთავად პოეზიაა და მეტი არაფერი. პოეზ მისი მიწიერი გაგებით...სახლი შენი აულოღის ცისის იდუმალებათა ერთგვარი გარდმოვლენაა იმერეთის სინამდვილეში, რომელიც წმე ხშირად მეფე რენის /ოპერა "იოლანტადან" / მშვენიერ სასახლეს მაგონებს...სასახლეს, სადაც დღეისათვის ცხოვრობს არა მეფე, არამედ იდუმალების ჭყვე და ამ იდუმალებასთან მებრძოლი პაკო-მელიტონ აბდუშელიშვილი. მგრგვინავი ორკესტრებისა თუ მაგიური ძალების წყალობით რომ ბრმა იოლანტა სინათლეს იბრუნებს და ამით იგი ქვეყანას ახალი სიცოცხლის ნაკადად უბრუნდება, გან ეს პოეზია და პოეზიაზე ათასჯერ მეტი არაა?...სინათლე და სინათლის ნაკადის შემოჭრა მგრგვინავი ორკესტრების წყალობით, ეს ხომ სიცოცხლის შემოჭრაა კვირტებში, ნაკადულებსა და ირმის გადაფრენებში... შენ ეს კარგად გესმის და მოგეხსენება. ამიტომ შემთხვევითი არ იყო, როდესაც შენს მიერ შემოთავაზებულ მიწვევაზ

ბულბულის მუსიკალურ საღამოებზე კასიეთის ტყეებში მე სიამოვნებით დავთანხმდი და ორთავემ, – შენც და მეც, დიდი სულიერი ამაღლებანი მივიღეთ ბულბულის მუსიკალური პასაჟებისაგან, რაზედაც შემდეგ მე ნაწარმოები "ილუსტრირებული მელოდიები" შევქმენი. მას შემდეგ ათეული წლები გავიდა. შენ ისევ და ისევ ძველებურად უსმენ ბულბულს და ყოველთვის ახალახალი შთაბეჭდილებებით ბრუნდები აღმოსავლური აივნებიდან.

ხომ არაფერს მეტყოდი მოკლედ ამ შთაბეჭდილებათა პასაჟებიდან, რომელიც შენ ამ ახლო წლების მანძილზე ბულბულის მოსმენის შემდეგ მიგიღია?

– კასიეთის ტყეებში 1975 წლის ზაფხულს წინა წლებთან შედარებით ყველაზე მეტი ბულბული იყო. წინა წლების ბულბულებისაგან ისინი თითქოს ხმებითაც გამოირჩეოდნენ... ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს კოლხური ბულბულები მოფრენილიყვნენ ჩვენთან: მეტი სინაზე, უმაღლესი მუსიკალური ტემბრი, ცისა და მიწის დამაკავშირებელი პასაჟები...ერთი სიტყვით, უკვდავებისა და სიცოცხლისაკენ მოწოდება იყო თითქოს ყოველი მათი მუსიკალური გამოსვლა... მე ეს მუსიკალური პასაჟები, სულ ერითა, დღე იქნება თუ ღამე, მავიწყებენ არა მარტო საკუთარ თავს, არამედ ყოველგვარ საქმეებს, რაზედაც კი ხელი მიკიდია მარტოობის ტყვეობაში დარჩენილ კაცს. ბულბულის სტვენას ხშირად ვუხსნივარ შემოწოლილი დარდებისაგან; ბულბულისაგან მე ვრჩები სამუდამოდ დავალებული... აი, რატომ მიყვარს და მოუთმენლად მოველი გაზაფხულის ყოველ შემობრძანებას ჩვენს მშვენიერ და ლამაზ მხარეში.

– შენ გიყვარს ხელოვნება. შენ გესმის მუსიკის ყოვლად უღვთაებრივესი ძალისა; შენ გაბედულად ახსენებ ბაირონს, ბრიუსოვს, შელს...შენ ლაპარაკობ ტონებისა და ობერტონების შესახებ; შენ

მსჯავრს სდებ მეფეებს და აღმერთებ ხელოვნების ლიდერებს; მხსი შენ უკეთესად შეიმეცნე მივიწყებული ფირფიტებიდან, ვიდრე მოგი-ერთმა — ოპერის ლოჟებიდან და მემუარებიდან; შენ იცი დედამიწის მისამართი სამყაროში და გზა, რომელსაც ჰქვია გალაკტიკა და ცის-ფერი გზა; რომ ეს გზა სასრულია მოკვდავთათვის და უსასრულო მაღალი რანგის მეოცნებეთათვის.

ერთი მაღალი რანგის მეოცნებე შენცა ხარ, ამდენად უფლება მაქვს გკითხო: — საით მივქრივართ ჩვენ? სად არის სამყაროს ზღვარი

— ჩემის აზრით, საზღვარი არ არსებობს. საზღვრის წარმოდგენა შეუძლებელია...

— არა გყავს მეუღლე, არც მემკვიდრე. ახლობლები შენი შორს დგანან შენგან სულით-ხორციანად. ისინი ეტრფიან გამოუცნობ კერპებს და სრულიად არ ახსოვთ მეფე ლირივით განზე მდგარი მათი სული და ხორცი. მელიტონ აზღუმელიშვილი. ამდენად შენ გჭირდება შენი მანუ-გემებელი კრიდელია, შენი იმედი...ესეც არა ჩანს. დაგრჩენია ერთა-დერთი გზა — ცისკენ მიმავალი გზა. შენი სახლის აივნიდან, ფოთოლ-ცვენის საღამოებიდან თუ აივნებიდან კარგად მოჩანან ციური ლაბირი-ნთები მოჭიმციმე ვარსკვლავებითა და იდუმალებით მოცული გალაკტი-კებით. რომ ამა გზებით მავალი კაცისათვის — მეფე იქნება იგი თუ მენახირე, ყველაფერი რჩება განზე დავიწყების სიმბოლოებით: დროსტარებანი, მშვენიერი ღამეები თუ წიგნებში ამოკითხული საოცრე-ბანი, რადგანაც ყველაფერი ეს, ბუდას თქმით, ილუზიაა და მეტი არაფერი...შენ, რომელმაც კარგად განიცადე ორთავე დრო, ე.ი. ერთ დროს იყავი დენდი, მერე — ღმერთი და ბოლოს მიწიერი და მოკვდავი არსება ციური ნიღბების სიმბოლოებით, მითხარი: როგორ გესმის შენ ციური და მიწიერი გზების არსებობა, ვინ არის ადამიანის ჭეშმარიტი პატრონი / ზალს ხომ მეზალე პატრონობს?/, რამდენხანს

იარსებებს კაცობრიობა, ომი - არის თუ არა იგი ფატალური, ხელოვნება - შეუძლია თუ არა მას ადამიანი გადაარჩინოს გაველურების საფრთხეს, ხარ თუ არა ვალმოხდილი კაცობრიობის წინაშე და თუ არა ხარ, რა არის ამის ძირითადი მიზეზი? და ბოლოს - მაინც რა არის ქალი, რომლის სიყვარულს თვით პლანეტებიც კი მოჰყავს მოძრაობაში?

- გზა - ხვალინდელი დღეა; ადამიანის ჭეშმარიტი პატრონია ღმერთი არსთა გამრიგე; რაც შეეხება კაცობრიობის არსებობის საკითხს, ეს კითხვა ჩემთვის უცნობია; ომი გარდაუვალია; ხელოვნებას ძალუძს ადამიანი გადაარჩინოს გაველურების საფრთხეს; ვარ ვალმოხდილი კაცობრიობის წინაშე - რადგანაც სიკეთის მეტი ადამიანისათვის არაფერი დამიშავებია, არავინ დამიჩაგრავს, არასოდე არაფერი მომიპარავს; შეძლების ფარგლებში დახმარების ხელი გამიწოდებია ჩაგრულთათვის... რაც შეეხება ქალს, იგი მაინც ყველაფერია. რუსთაველი იტყოდა: სიყვარული აგვამაღლებსო.

- წიგნმა შენ ბევრი რამ გასწავლა. წიგნმა და მისმა კეთილშობილურმა გმირებმა შენ განუგეშეს. მათ თითქოს გასწავლეს ჰარმონიული იდეალებისაკენ მიმავალი გზა, რასაც ცხოვრება ჰქვია. შენი დაუდევრობის წყალობით ვერ იქნა და ვერა ეს გზა ბოლომდე მოძებნილი. ამასობაში დედამიწამ კიდევ ერთხელ შემოჰკრა კამარა გალაქტიკებში და უდიდესი ლეგენდები დაეშვნენ ლაბირინთებში... შენ კი თანდათანობით, ისე - ყველასაგან შეუმჩნევლად ჩამოგშორდნენ შენი საყვარელი ლიტერატურული გმირები, შენი მარად განუხორციელებელი ოცნებები, ფიქრები და ახლობლებიც კი და ყველასაგან მოულოდნელად აღმოჩნდი გაურკვევლობის გაურკვევლობათა პრინციპების წინაშე. ეს უკანასკნელი კი ისეთი საკითხია, რომელთა ამოხსნაზე საუკუნეთა მანძილზე თავს სწირავდნენ უდიდესი მეცნიერებიც კი /აინშტაინი, პლანკი, ნილს ბორი/, მაგრამ , როგორც ჩანს, გაუ-

რკვევლობათა პრინციპების სრული გარღვევა დღემდის არ მოხერხდა.

ვითვალისწინებ რა ყოველივე ამას და შეკითხვებიც მეტი არა და[...] რჩენია რა, შენ, როგორც გაურკვევლობის გაურკვევლობათა პრინციპე[...] წინაშე მდგარი, ალბათ საფუძვლიანად, მოკლედ და ლაკონიურად, [illegible] რა უნდა, შენეული გაგები, უპასუხებ ბოლო 50-ე კითხვას და, ცხადია მეც და შენც აღარაფერი გვექნება სადაო. გაურკვევლობის გაურკვევ[...] ბათა პრინციპი დღესა თუ ხვალე იქნება შენი ცხოვრების ბოლო წერტ[...] [illegible] ანუ სასრული, რასაც სიცოცხლის ლოგიკურ დასასრულადაც კი მიიჩნევ[...] ადამიანები.

[illegible] – ცხოვრებას ყოველთვის ოპტიმისტის თვალით ვუყურებდი, მოვლ[...] ვაფასებდი სადად...ჩემი ასაკის შესაფერისად გაურკვევლობის გაურკვევლობათა პრინციპებს ასევე ოპტიმისტისა და სადი თვალით ვუყურებ; სხვანაირად რომ ვთქვათ, მათ გაურკვევლობათა წინაშე, რასაც[...] ყოფნ-არყოფნის ზღვართან მიჰყავს ადამიანი, არ ავუღელვებივარ.

ესაა და ეს სულ ჩემი სათქმელი.

1975 წელი. ოქტომბერი,
შაბათი. კასიეთი, წვიმიანი საღამო.
[illegible]

- . -

მოკლე ბიოგრაფიული ცნობები

წინამდებარე "ინტერვიუს" /აღსარების/ ავტორი- მელიტონ იოსების ძე აბდუშელიშვილი დაიბადა 1906 წელს მესხეთის /ციხის მეპატრონე/ აზნაურის ოჯახში.

მის მშობლებს იოსებსა და დარია ქადაგიძის ასულს ჰყავდათ ცხრა შვილი: ნუცა, ვანიჩკა, სალომე, კატო, ლევანი, ნიკოლოზი, ნ[...] მურზაყანი და ბოლოს მელიტონი. აქედან ნაადრევად დაიღუპნენ მურზაყანი, ნოდარი, ვანიჩკა და კატო. დარჩენილთაგან სწავლა-განათლება მიიღო თითქმის ყველამ, ზოგმა ქუთაისში, ზოგმაც თბილისის იმდროინდელ სასწავლებლებში. მათ შორის დებმა დაამთავრეს

ქუთაისის წმ. ნინოს კეთილშობილ ქალთა სასწავლებელი, მელიტონმა თბილისის ქართული სათავადაზნაურო გიმნაზია /ახლანდელი უნივერსიტეტი/, ოცნებობდა ყოფილიყო სამხედრო მოსამსახურე, რადგანაც თავადაზნაურთა შვილებისათვის სამხედრო სამსახური მოდაც იყო მაშინ და მიღებულიც ამასთან.

მელიტონის წინაპართაგან ხსოვნას შემორჩა შემდეგი: ბაბუა მურზაყანი, ბაბუის ბაბუა - ივანე ჭიჭინიშვილი, მამა იოსები/ იგივე ჭიჭიკო/...ყველა ესენი დასაფლავებული არიან ითხვისის ნათლისმცემლის ეკლესიის გალავანში.

მურზაყანი გარდაცვალებამდე /გარდაიცვალა 1900 წელს/ მსახურობდა ოზურგეთისა და ონის მაზრების უფროსად. ცოლი მისი იყო დიდი ფეოდალის ნანია ჯაფარიძის ქალი სოფელ სავანიდან, სახელად ლიდა.

მურზაყანს ყავდა შვილები - იოსები, პეტრე, ქალთაგან - ნინო, ნადეჟდა, მარიამი, ბაბუცა.

პეტრეს ცოლად ყავდა მარიამ ნიკოლოზის ასული წერეთელი სოფელ ცხრუკვეთიდან. შვილები არ დარჩენიათ.

შორეული აბდუშელიშვილებიდან მელიტონის ოჯახი ნათესაობდა სამსონ, ალექსანდრე და დავით აბდუშელიშვილების ერთ დროს სახელგანთქმული და უაღრესად დიდი კულტურისა და ტრადიციების მქონე ოჯახთან. ამის უტყუარი დასტურია ალექსანდრეს შვილის - შვილიშვილების მიერ სამემკვიდრეთ გადაცემის სახით დღემდის შემონახული უცხოური წარმოების როიალები და პიანინოები /უმთავრესად ბლუტნერისა და ბეკერის საფირმო წარმოება, ამერიკული სტეინვეი და სხვა/, სასახლის ჩვეული კანდელები - ჭაღები და კანდელაბრეები, უამრავი ფოტოსურათები...მთავარი ის არის, რომ ამ ოჯახმა /იგულისხმება ძმების - სამსონ, ალექსანდრე და დავით აბდუშელიშვილების ოჯახი/ საქართველოს მისცა მუსიკოს -შემსრულებელთა

უნიჭიერესი თაობა: პიანისტ ელისო ვირსალაძისა და მეუღლეების, ქები — მარინე, ირინე და ნანა იაშვილების სახით...დღეს ეს ახალ-გაზრდები მოწიწებით და სიყვარულით ასრულებენ თავიანთ მოვალედ და ამასთან უახლოეს წინაპარის — ივანე ჭილაშვილის სახელს. მანვე ორისა დასაბამის სულიერ-სოციალურად განუყრელი და წარუხოცელი მოგვაქვს: მუხრანბატონ, სამსონ, დავით და ალექსანდრე ამილახვრიშვილების მთამომავლობას და სადღეს გვარიც ჭილაშვილი ანუ ამილახვრიშვილი უწოდებდა... აქ, რომ მეცნიერების წინაპრები, როგორც დავით, ალექსა-ნდრე და სამსონ ამილახვრიშვილებთან განაყოფები, ჩამოსული არიან სოფელ ბერწნევიდან და რუსის თვითმპყრობელ წევრი რევოლუციამდე პასპორტში იწერებოდა "дворянин"-ად ანუ აზნაურად.

-

## საუბარი

### თამარ სამსონის ასულ ქაჯაიასთან

/ ჭიათურის რაიონის სოფ. ბჟინევის მკვიდრი ,რუსული ენისა და ლიტერატურის ყოფილი მასწავლებელი ქ. ჭიათურაში, 84 წლის /

-თამარ მამიდა, თქვენ უკვე 84 წლის ადამიანი ბრძანდებით. ეს ხომ საუკუნესთან მიახლოვებაა. ამასთან დაკავშირებით მინდა გკითხოთ: მადლიერი ხართ თუ არა განგების, რომელმაც იმთავითვე თქვენი ხანგრძლივი სიცოცხლე ისურვა და თუ ხართ, როგორ გამოხატავთ ყოველივე ამას ?

-სრულიადაც არა ვარ ბედის უმადური. 22 წლის ვიყავი, როცა დამეღუპა ოჯახის ძვირფასი წევრი... თუმცა მას უკან ჩვენს ოჯახში სიხარულიც იყო: ჩემი და ცასო რომ გათხოვდა და ღუღუნა დაიბადა.

-ამბობენ, ბავშვი და მოხუცი ერთიაო. როგორ მიგაჩნიათ თქვენ ეს საკითხი ?

-ასე გახლავს: როდესაც ვბერდებით და ბედის კლანჭებში ვექცევით, როცა სიბერეს ვეღარ გავურბივართ, მაშინ უკვე ბავშვივით ვქირვეულობთ. მოხუცი ადამიანი მართლა ბავშვს გავს: პატარა წყენას, პატარა უხარია, ახლოულობს ალერსს და მოფერებას. თინა რომ მაკითხავს, ეს [illegible] ერთი სიხარულია ხოლმე ჩემთვის.

-ისურვებდით თუ არა ხელახლა დაუბრუნდეთ თქვენს ახალგაზრდობას?

-ღმერთმა დამიფაროს და არც არავის ვუსურვებ!..

-არის თუ არა ბავშვი მართლა ანგელოზი ?

-ბავშვი ანგელოზია. ის ზეციდან მოიხმობს და ზეცა მუდამ მის გარშემო ტრიალებს.

-როგორ გესახებათ დღეს თქვენი ბავშვობის ყველაზე ბედნიერი წლები?

-ჩემში განსაკუთრებული ცვლილებები არასოდეს ყოფილა; მხოლოდ ის იყო, რომ ხანშიშესულმა დავკარგე დისშვილები და ახლობლები.

-როგორ აფასებთ თქვენს უახლოეს წინაპრებს?

-ჩემი წინაპრები ყველანი დიდებითი ხასიათით გამოირჩეოდნენ. მაშინ ბატონყმობა აღარ იყო, მაგრამ ქორწილი ლაზრენტი ლოთიც მაინც მეკიდე გვყავდა ოჯახში. ეღარჩენი ახლობლებით ვესტუმრა მას, ცალკე არასოდეს

აქმევდა,ოჯახის წევრად თვლიდა.

-რისა და ვის სიყვარულს ჩაგაგონებდნენ შვილები?

-ბრძოლობას,წრთობას,უფროსების დაფასებას და დაჯერებას.ისინი თავად გვიჩვენებდნენ ამის მაგალითს.მამაჩემს"ცარჩა " ჰქონდა და თვითონ ეზიდ-ბოდა ცეცხლს,ცოლისად თვითონ აწვენდა.ყანაში მუშაობისას მეც ვეხმარე-ბოდი ხოლმე.მუშებთან საჭმელი და სამხარი მიმქონდა;კალოობის დროს ხარებს ვუძღვებოდი წინ.

-როგორ ესმოდათ თქვენ შვილებს სამშობლოს ცნება ?

-რასაკვირველია,სამშობლო სწამდათ...

-თქვენ თვითონ როგორ გესმით სამშობლოს ცნება ?

-სამშობლო … არა,ჩემი გაზრდილი წიწილი მიყვარს და სამშობლო როგორ არ უნდა მიყვარდეს!

-რა განსხვავებას ხედავთ ძველსა და ახალ მეინახეს შორის?

-თამამად ვამბობ,რომ დღევანდელი მეინახეთი კმაყოფილი არა ვარ. ძველად უფრო მეტი სიყვარული და პატივისცემა ჰქონდათ...ახლა ძირხა და-კალი,ღვინის სმა,სხვა მეტი არაფერი არ ახსოვთ...

დღეიდან საუკუნის სიცოცხლე რომ მაჩუქო, მეინახეთა ცხოვრება მაინც არ მინდა.

-ვინ იყო ყველაზე ღარიბი ოჯახი თქვენს უბანში?

-ვერ ვიტყვი...ყველაზე ღარიბი მიხაკო აბდუშელიშვილი იყო,ისეც ქა-ქიაშვილი...

-ყველაზე მდიდარი ?

-დავით აბდუშელიშვილი.მდიდარიც იყო და ნასწავლიც.ქუთაისის გიმნაზი-ისაც მუშაობდა...მისი ძმა სანდროც ნასწავლი იყო.

-ყველაზე სახელოვანი ოჯახები?

-სიმდიდრით დავითისანები და მაღრაძისანები ჯობდნენ.მაგათ ქუთაისში სახლები და დუქნებიც ჰქონდათ გაქირავებული.ეს სიმდიდრე მათ სწავლით ჰქონდათ შეძენილი...ქუთაისში,კორტის ქუჩაზე ,ახლაც დგანან მაგათი ცნობილი სახლები.

-ვის ჯვრისწერას დასწრებიხართ ქორეთის მაცხოვრის ეკლესიაში?

-ვიყავი ჩემი ძმის ელიზბარის ჯვრისწერაზე.ჯვრ ხელი მიწერეს,

მერე ჯვარი დაიწერეს.

-რა რელიგიური დღესასწაულები იმართებოდა მაშინ?

-ჰო,მაშინ სულ რელიგია იყო! ვიცოდით შობა,აღდგომა.ჩვენი სოფლის დღეობა შვიდ და რვა მაისობა იყო.მოდიოდნენ ნათესავები,იმართებოდა ნადიმობა.იმ დღეს ვერსად ვერ წავიდოდით,სტუმრებს ველოდით.რისადმი იყო მიძღვნილი ეს დღესასწაული,არ მახსოვს...

-ახლობლებიდან ვინ არიან დაკრძალული ითხვისის ნათლისმცემლის ეკლესიაზე?

-ნათლისმცემელზე სასო აბრეშელიშვილის ყველაზე საუკეთესო აკლდამა ჰქონდა.თბილისიდან მისმა ცოლმა მაგრინა აბაშიძემ სპეციალურად ჩამოიყვანა ერთი ჯანჯალა რუსი არქიტექტორი,რომელსაც მე დავყვებოდი,როგორც რუსულის მცოდნე.

...

სასოს აკლდამის პროექტი იმ არქიტექტორმა დახაზა...

...

კარგი იყო ვასიკო აბრეშელიშვილის ცოლის,ნიცოლა მარის საფლავიც...
ჩვენების საფლავები ხისგან იყო შემოღობილი,ხე რომ დალპებოდა,საფლავიც იკარგებოდა.ასე დაიკარგა ნაცადიას საფლავიც.მაშინ,ვისაც საფლავზე რკინის ღობური ჰქონდა,ის მდიდარ მიცვალებულად ითვლებოდა.ახლანდელი საფლავები სულ მარმარილოებითაა მოპირკეთებული.

-მომხდარა თუ არა სოფელში რაიმე მკვლელობა?

-მენშევიკები რომ შემოვიდნენ,დიდელის გამო შეიარაღებულებმა დაგვიწყეს სროლა.დაიღუპა შეიარაღებული აბრეშელიშვილის კაცი,მეწიკა თუ ალექსანდრე ერქვა.აქ ჩვენი სადრით აბრეშელიშვილი დაწავდა:პაპისეთის კლდეზე გადავარდა გაქცეული და მხარი მოიტეხა.დიდელიდან შეიარაღებულებს საშენებელი ქვა აჰქონდათ ხოლმე.ეს ,ალბათ,დაუწადეს შეიარაღებულებმა და ჭ ჩხუბიც,უფრო,ამის გამო მოხდა...სხვა ჩვენთან მკვლელობა კი არა უბრალო გალახვაც არ მომხდარა.

-გვიამბეთ სოფლის ძველი სიძველეების ჟამს გადარჩენილი თამამიშვილი

-თამამიშვილისა რა გითხრა და მე კი სულ მქონდა მოწყობილი სოფელში,ქამურაძეები,და მათ შორის ალექსანდრე ჩლაიძეც,ჩემთან მეცადინეობდნენ.მიძაჩენს,როგორც მე ვამზადებდი.ჩემს დას ოთხუცას კი ოთხი ამზადებდა.შერჩევნილი ვიყო,თუ არა,თორმეტი ბავშვი არ მყოლოდა.თორმეტი ბებერი ლეკის ქვეშ "შესვლებში" მქონდა მოწყობილი,სადაც ვამზადებდი ბავშ-

ვენს, ვასწავლიდი "დედა-ენას".

ჩემთან ემზადებოდნენ აგრეთვე მწერალი აკაკი ბ ე ლ ი ა შ ვ ი ლ ი და მისი ძმა. გასამრჯელოდ თუმანს მიხდიდნენ. ამირ აბდუშელიშვილს კი ღვინო მოჰქონდა. ერთხელ მეცია აბდუშელიშვილი ამოვარდა ჩემთან და შაუ-ვები დამიდგანდა: ამას რა უნდა გასწავლოსო, უჭყინა მათ...

-თქვენი დროის ექიმბაშები...რა აკარმკურნეობა ჰქონდა ძველად ხალხს!

-ექიმბაში ერთი იყო. ის ბენდ იყო...აკარმკურნეობის დროს საჩხერიდან ცხენით გამოგვყავდა ექიმი და გასამრჯელოდ 100 მანეთს ვაძლევდით...აკ-არმკურნებანი მაშინ არსებობდა, მაგრამ გამოცნობა არ ეძლეოდა.

-ყველაზე კეთილი და ყველაზე ბოროტი კაცი ჩვენს უბანში?

-ეიმე, რა ვქნა, ბოროტს ვერ დავასახელებ!...ყველაზე კეთილი კაცი მღ-ვდელი დიმიტრი აბდუშელიშვილი იყო, პენსიონერი.

-არსებობს თუ არა ბედის ვარსკვლავი?

-მე ეს არ მწამს, მარა მაინც ვიცი, რომ უბედურ ვარსკვლავზე ვარ დაბადებული.

-როგორ გესმით ბედისწერის საკითხი?

-რა ვიცი, შენ როგორ გესმის?

/ჩემი პასუხი:/- ძველმა რომაელებმა ბედისწერას "ფატუმი" უწოდეს და ადამიანის ცხოვრება გარდუვალობის აუცილებელ რკალში მოაქციეს.

-კარგი, რადგან რომაელებმა თქვეს და შენც გწამს, ეგრე იყოს!...

-რას იტყვით დედამიწის შესახებ?

-" Иц  крутится тоже", -ამბობდნენ მეცნიერები და მე ვერ ვეთანხმე-ვები მათ. Земля  притягивает...

-როგორ გესმით ღვთაების საკითხი?

-არაფერი არ მწამს, ბევრს სჯერა, რომ საიქიოში შეხვდებიან ერთმანეთს ასე რომ იყოს, ყველა თავს მოიკლავდა...რაც ვკვდებით, სულიც ქრება...

რამდენი მადლი მე მიქნია და ასე დამახინჯებული უნდა ვკვდებოდე?..

-გამიგია, რომ თქვენ არასოდეს ლოცულობდით?

-დავამთავრე ქუთაისის ეპარქიალური სასწავლებელი...მეცადინეობას ლოცვით ვიწყებდით და ლოცვით ვამთავრებდით. ღმერთი მწამდა, მაგრამ რა გამიკეთა? დამახინჯა, დამსხვრა. პირჯვარს მაინც ვიწერ...ნაძალადია იგი კიდევ და "ეკლესიებზე" ხატები ესვენა, მუდამ ლოცულობდა, მაგრამ იმა-

სად რა გაუკეთა ხალხმა?

-გვიამბეთ ჩვენი სასაფლაოს "საჯვარეს" შესახებ.

-ჩვენ სასაფლაოს ეკლესია არ ჰქონია.იდგა დიდი ნაძვები ხე და მის ფეხურში ხალხი ესვენა...აი,იქ დაიწყეს დასაფლავება.პირველი შეძლებუ- ლი ქალი დაასაფლავეს,მერე ჩემი გამზრდელი ნაცადია აბდუშელიშვილი, გაუთხოვარი,ისიც შეძლებული...ნაკითხი ქალი იყო:იცოდა "ვისრამიანი" "თამარიანი","ვეფხისტყაოსანი".თავისი სახსრით 100 მანეთიც ჩვენ დაგვ- ხარჯა...

-რა შეიძლება ვუწყოდეთ უწმიდეს აბანიანს?

-თუ აბანიანმა ოდესღაც მომატყუა,მას კარს ვუხსნი. რწმენა სიმართლე- ზეა დამოკიდებული.

-რა მისცა ხალხს რელიგიის უარყოფამ?

-მე რომ მკითხო,რელიგია ხალხს შიშს უფრო შთააგონებდა.

-ებრაული ს რწმუნოების ერთი პუნქტი ამბობს: "მკვდრეთით აღდგომა ჭეშმარიტებაა",დაასაბუთეთ იგი.

-მე ეგ არ მწამს.

-და თუ ეს ასეა,მაშინ რომელი ახლობელი აბანიანის აღდგომას ინატრე- ბდით?

-ისეთ ძალიან მენატრებიან ჩემი მშობლები და დედ-მამიშვილები,მაგრამ მათ აღდგომაზე რა გითხრათ,მე ეგ ვერ წარმომიდგენია.

-რას იტყვით ეკლესიის მსახურებზე?

-მე მათ თავდაპირველად პატივს ვცემდი,მაგრამ როდესაც ღრმად ჩავუ- კვირდი ეკლესიის მსახურთა ცხოვრებას,რწმენა დავკარგე...ჩვენ ისინი მარხვას გვიქადაგებდნენ,თავად კი ღორები ეწყოთ წინ...

-არის თუ არა სული უკვდავი?

-არა.

-გაშინებთ თუ არა სიკვდილი?

-ჩემი წარსული,გაუხარელი ცხოვრება და ავადმყოფობა მაიძულებს,ვი- ფიქრო სიკვდილზე,მაგრამ სიკვდილიც მეშინია.ენაღვლობ ვეღარ სიკვდილს. დასაძინებელი საწამლავი რომ მომცა,სიამოვნებით დავლევდი.

-ისურვებდით თუ არა მარადიულ სიცოცხლეს?

-არა! არა! არა! ..სისულელე ოცდაოთხი წლიდან დავკარგე და მას შემდეგ აღარაფერი მაინტერესებდა ,მარა მერე ნათესავების ძმისშვილები... მკვდარი არის მეცოდებოდა,ახლა ყველაზე ბედნიერად მიმაჩნია.

-კარგი,სადაც თქვენ სწავლობდით...თქვენი მასწავლებლები და თანაკლასელები?

— ვსწავლობდი ქუთაისის ევანგელურ სასწავლებელში.მასწავლიდნენ კათოლიკე ქალები :შუქლოვა,მელისოვა,ესლანოვა,აგრეთვე გაუთხოვარი ფრანგი კათოლიკა მარია იოსების ასული კაუხჩოვი.მარია კათოლიკების ქუჩაზე ცხოვრობდა,სახლის ნომერი აღარ მახსოვს.

ამ სასწავლებლიდან პრავოსლავნაია გიმნაზიაში გადავედი,სადაც მარტო რუსებს იღებდნენ,მაგრამ პროტექციით რამდენიმე ქართველი მაინც მიიღეს.გიმნაზია ხიდთან იდგა.მის ნაჩალნიკად მუშაობდა მადამ ანა სემიონოვნა გოლოვინა-ოგიანოვსკაია,რუსის მსუქანი დედაკაცი,ქერა. გიმნაზიის პირდაპირ რევოლუციონერების ახალაშენებული ციხე იყო.პატიმრები ნახშირით ქაღალდზე წერდნენ წერილს,ან როგორც ჩვენ ახალ გაზეთებს გათხოვდნენ,ჩვენც ვუგზავნიდით გაზეთებს.ეს გაიგო გუბერნიამ და ამის შემდეგ სპატიმროს ეზოს ორმაგი ღობე გაამაგრეს,რომ პატიმრებთან დაკავშირება აღარ შეიძლებოდა.ვინ იყვნენ ეს პატიმრები,არ ვიცი...ცხადია,არც ციხის უფროსს ვიცნობდი.მახსოვს ჩემთან დედაკაცი და ვარი ვანჩიკისანიძეები სწავლობდნენ.ამ ციხის უფროსს ჩინიდან მოსწონდა ვარი,ლამაზი და ხუჭუჭთმიანი გოგო.

-რომელი ახლობლის სიკვდილმა დაგწყვიტათ ყველაზე უფრო გული.

-პირველს ვერ ვიტყვი...უწმინდესი ადამიანი იყო,რომლის დავიწყება არ შეიძლება.იპოლიტეს კი უწერია მისი სახელი თავის წიგნებში...ისე ძალიან ბევრი ახლობლის სიკვდილი მახსოვს .ჯერ დედ-მამიშვილი,მერე იპოლიტე ჩიჩია-მეგობარი,ჩემი სიმამრი და ქმარზე დაწყებული.აქ კიდევ ორმოცი ბავშვი მიყვარდა ძალიან...ამ ერმა სიბერის დროს ძალიან მადგინეს გული მეგობრებმა :ვაჟა და ვერა ლაზარევებმა ,მიმიკა წერეთელმა და ბევრმა სხვებმა.

-იმები,რომელნიც თქვენი ახლობლები და ნაცნობები დაიღუპნენ?

-პირველ მსოფლიო ომში დაიკარგა კაპიტანი ვალერია ქაჯაია. მისი ქალიშვილები ნუცა და ლარისა ქაჯაიები ახლა თბილისში ცხოვრობენ. მეორე მსოფლიო ომში დაიკარგა დისწული ალექსანდრე ვიქტორის ძე ჭუმბურიძე, 25 წლის ყმაწვილი და მისი უმცროსი ძმა, რომელიც სავალდებულო სამხედრო სამსახურის მოხდის შემდეგ, ფრონტზე გაიწვიეს. მფრინავი იყო და ბომბავდა კენიგსბერგს...ეს იყო ჩემი უდიდესი მწუხარება.

-ილაპარაკეთ "ეფრემბერგის" გარშემო.

-მის შესახებ არაფერი არ ვიცი.

-სხვა რომელი წიგნები მოგწონთ?

-ჩამოთვლა მიძნელდება...გამსახურდია არ მომწონს. რა არის "მთვარის მოტაცება?" ქალი особенно красотой не выделяется...

მე და კონსტანტინე ერთად ვსწავლობდით ქუთაისის სათავადაზნაურო გიმნაზიაში, за мостом, თეთრი ხიდის გაღმა. კოწიას უყვარდა შეიწუველი ვერიკო აბესალომის ასული აბდუშელიშვილი, გიმნაზიელი, ლამაზი ქალიშვილი...სამწუხაროდ მან შეირთო ეპარქიალური სასწავლებლის სტუდენტი, მღვდლის შვილი, ქიათურელი ჩეჩეკა ვაჩნაძე. სიმამრი შეძლებული იყო და შეეძლო კოწია საზღვარგარეთ გაეგზავნა...

ამ ღალატისათვის კოწია ძალიან გავლანძღე, მივაფურთხე კიდეც.

კოწიას წინაპრულად ბარიდუს ვეძახდით. მისი ნათესავი - დათა ჩიქოვანი ამავე გიმნაზიის მოსწავლე, ჩემთან მეგობრობდა.

-რას იტყვით თქვენი პირველი სიყვარულის შესახებ?

-სიყვარული სიკვდილამდე განუხორციელებელი და სპეტაკი დარჩა... თინიკო მომიკვდეს, თუ იმას ჩემთვის თავისა დაეძახნოს ან თვალებში შეეხედნოს. სამი წელი ბაჭყული აზიდიოდა ხოლმე ჩემთან სტუმრად. თვალებგახსნილი და უქამრო გარეთ გამოსული ის არ მინახავს.

ჩვენს გარდა ქორწილამდე თეიმურაზ წერეთელმანაც იცოდა ხოლმე მისვლა.

-აღწერეთ თქვენი ახალგაზრდობის დროის სუფრა.

-ახლა იმერული სუფრის ტრადიცია დაკარგულია. რა არის: უწინ სუფრაზე სიხარულს გამოხატავდნენ, რაც ახლა ისმენდი. იმერული სუფრა სულ სხვაა.

-რა აზრისა ხართ მზეზე?

ეროვნული
ბიბლიოთეკა



-მზე რომ ჩადის, გული მიკვდება.

-როგორც ვიცით, თქვენ მემკვიდრეები არ დაგრჩენიათ. როგორ განიცდით ყოველივე ამას?

-სამაგიეროდ ისეთი მემკვიდრეები დამრჩნენ ჩემი ძმისწულების - თინიკოსა და რუსიკოს სახით, რომ საკუთარი შვილებიც არ მეყოლებოდნენ ისეთები.

-სამართლიანად იქცევა თუ არა ბუნება, როდესაც ნაადრევად უსწრაფებს სიცოცხლეს ვაჟკაცს, ღირსეულს, ხოლო უღირსს ხანგრძლივ სიცოცხლეს ანიჭებ

-მე თავი მოძულებული მაქვს. მოვხუცდი; სულ ჩხუბის გუნებაზე ვარ. ასე მგონია, როდესაც მიყურებენ, თითქოს ვეზიზღები. ახალგაზრდები კი იხოცე-ბიან. ეს დიდი უსამართლობაა. ამიტომ ვემდური ჩემს წინაპრებს, ადრე რომ არ წამიყვანეს... საწყალი პუსიმისცდა ვარ...

-რომელი ქართული სიმღერები გიყვართ. მღერიხართ თუ არა თქვენ პირა-დად რომელიმე სიმღერას?

-მე თითქმის ყველა ქართული სიმღერა მიყვარს. მაწყენარებდა ვარდია-შვილის "იავნანა", აკაკის "სულიკო" და ბევრი სხვა. ხმა მეც კარგი მქონ-და, განსაკუთრებით პირველი და მეორე. ბანი ბაკა, ვალიკო და კოტე აბ-დუშელიშვილებმა მასწავლეს. და როცა საჭირო იყო, მეც ვეხმარებოდი ხოლ-მე მათ. ვმღეროდი ძველ ქართულ სიმღერებს, ვმონაწილეობდი ეპარქიალური სასწავლებლის გუნდში. როდესაც გიტარას ვუკრავდი, ჩემი ძროხა "კიკია" თავს მაღლა სწევდა, გაეჩერდებოდი და ისიც ძირს ხრიდა თავს... რა ბანე-ბი ჰქონდათ გრილი და ვაზი მაჭავარიანებს!

მიმღერალმ მოიცანა და მინდა გითხრა ვარინკა წერეთლის შესახებაც : მინახავს იგიც საჩხერეში ფერისცვალობის დროს. იყო საშუალო ტანისა და სავსე სახის. მისი ოჯახური მდგომარეობა აღარ მახსოვს. შევრჩერ დაემ-ჯზარვარ ვარინკას დიდებული სიმღერით.

-კიდევ რამდენხან იარსებებს კაცობრიობა?

-სანამ სიცოცხლე არსებობს.

-როგორ გესმით სამყაროს სასრულობისა უსასრულობის საკითხი?

-დასასრული არა აქვს.

-არსებობდა ბრინჯაოს, რკინის, ოქროსა და ვერცხლის ხანა. რა შეიძლება

ვუწოდოთ დღევანდელ საუკუნეს?

-დღეს სულ სხვა საუკუნეა,არნახული წინსვლაა ჰაერსა თუ მიწაზე.

-ქართველი ქალისა და მამაკაცის უმაღლესი ღირსება?

-შრომა და პატიოსნება.

-როგორ მოქმედებს თქვენზე დროისა და ამინდის ცვალებადობა?

-ძალიან ცუდად.წვიმა ისე არ მოქმედებს ჩემზე,როგორც ქარი :მეცვ-ლება ხასიათი და სასოწარკვეთილებაში ვვარდები.

-რას იტყვით თავად-აზნაურთა ღირსება-ნაკლოვანებებზე?

- -მათი უმეტესი ნაწილი უქნარა და უსაქმური იყო.მოსამსახურეთა შრომით ცხოვრობდნენ,მაგრამ დადებითიც ჰქონდათ.მღვდელი ბაბუა დიმიტრი ღმერთისა და სინდისის განსახიერება იყო..მამარჩემი აზნაური იყო,მა-გრამ ფიზიკური მუშაობა არ ეთაკილებოდა.

-ქართულ გლეხკაცურ ღირსება-ნაკლოვანებებზე რას იტყვით?

-ვერაფერს ვიტყვი.

-თქვენს თვალწინ მთელი სოფელი დაიცალა,ძველები წავიდნენ და სამა-გიეროდ ახლგაზრდები მოვიდნენ.როგორ მოქმედებს თქვენზე ყოველივე ეს? იქნებ ამიტომაც არ გიჩერდებათ გული ბუნებეში?

-ძველებიდან ბევრი კარგი სიკეთე და სჯა-ბაასი მახსოვს.მყავდნენ შესანიშნავი ახლობლები,ნათესავები და სიძეები.ახლანდელი ახალგაზრდე-ბი ყურს არ გვიგდებენ,არაფრის გაგება არ უნდათ.ჩვენც დამუნჯებულები ვართ და ამ სიბერისას მათ მიმდურებას ვერიდებით.

-გვიამბეთ თქვენი გვარის ისტორია.

-ქაჯაიები აქ საჩხერეთის რაიონის სოფელ ქალწირიდან გადმოვიდნენ.მა-მარჩემი -სამსონ გიორგის ძე ქაჯაია, НАДВОРНЫЙ СОВЕТНИК, დაესიძა დი-მიტრი აბდუშელიშვილის ოჯახს;ცალკე ყავდა მისი ძმისწულის გრიგოლის შვილი კატო.ქონდათ ერთი საერთო სახლი,რომელიც დღესაც უცვლელად დგას მისი ნახევარი ჩვენი იყო.სახლი აშენებულია პასიეთის გზის მხრით გა-სულ საუკუნეში დიმიტრი ბაბუას მამის მიერ.

გაყოფის შემდეგ,მამარჩემმა საგვარეულო სახლის გვერდით დიდი ორ-სართულიანი სახლი ააშენა,ისიც პასიეთის მხრით,რომელიც შენც კარგად

გახსოვს.ჩვენი სახლი სულ ცხრა თვალი იყო.შიგით ხუთი ოთახი,ქვევით-ოთხი.სამ გვერდზე აივანი შემოუყვებოდა.სახლის წინ მამაჩემის დარგული ბიის ხე იდგა,ცოტა მოშორით-კაკლის ხე,რომელიც ახლაც დგას.

ცხრა წლამდე მუდამ სოფელში ვცხოვრობდით.შემდეგშიაც შობა-აღდგომას აქ ვატარებდით.მამაჩემი ქუთაისში,მალახოვის ქუჩაზე,პოლკოვნიკ ქაიხოს-რო ქაჯაიას ოჯახში ვიდექით.

ჩვენი ოჯახის ძირითადი საზრუნავი სოფლის მეურნეობის გაძღოლა და შვილების აღზრდა იყო.მშობლებმა ხუთი შვილი:ერთი ძმა და ოთხი და გვზარდეს.ჩემი ძმა ვოლდემარი ქალაქ ვენაში სწავლობდა.

დარკვეთში ჩვენ ქვის სამტეხლო გვქონდა,საიდაც მეურმეები შეზიდებოდნენ და ყოველ კვირაში 100 მანეთი ამოგვქონდა.ამ ფულის ნაწილს ვოლდემარს უგზავნიდნენ ევროპაში.

-თქვენ ძმას ვოლდემარს დღესაც წმინდანად იხსენიებენ ~~ხალხი~~.რაში გამოიხატებოდა ეს?

-ბაბუათქვენი იპოლიტე ამბობდა ხოლმე: ძველი დრო რომ იყოს,ვოლდე-მარი წმინდანად იქნებოდა აღიარებულიო.მართლაც და უკეთილშობილესი ადამიანი იყო.ეს სიკეთე სახეზე ეხატა მას.ცუდს არავისზე იტყოდა.ბე-დნიერი ვარ,რომ ვოლდემარი ერთ-ერთ საუკეთესო მასწავლებლად მიაჩნდათ სკოლაში.

დაიბადა იგი საჩხერეში 1883 წელს.სწავლობდა ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში,რის შემდეგ ერთი წელი ოდესაში და ბოლოს ავსტრია-ვენგრი-აში დაასრულა მეცადინეობა.პირველი მსოფლიო ომის დაწყებას გამოასწრ-სამშობლოში.მსახურობდა ბათუმში,ქიათურის საინჟინრო ფილიალსა და სა-წყალო სკოლებში.სულ ხუთგან ასწავლიდა ქართულ და რუსულ ენებს.უყვარ-და სოფლის მეურნეობაც.ღვინის ნაკლებად ეტანებოდა.მთვრალი ორჯერ არ მინახავს სიცოცხლეში.ასევე ზომიერი ქალებთანაც მის დამოკიდებულებაზ-რელიგია არ წამდა.ვოლდემარს და გრიგოლ ლაბაძეს ენციკლოპედიებს უწო-დებდნენ.

-შეხვედრიხართ თუ არა გამოჩენილ მწერალს,მხატვარს,მუსიკოსს,ექიმ

-ამათგან არავის შევხვედრივარ,გარდა აკაკი წერეთლისა.1914 წელს,

როდესაც ქუთაისის ეპარქიალური სასწავლებელი დავამთავრე,იპოლიტეს წყალობით,სოფელ მერჯევში დამნიშნეს მასწავლებლად.იპოლიტემ წერილი გა-მოგზავნა თბილისიდან მეგობარ პოლიტოვთან,რომელიც განათლების ინსპექტორი იყო;ბერძენი,ერთი აწოწილი კაცი.ნოემბერი იყო.მოულოდნელად თბილისში ჩამოვიდა ნიკოლოზ II,რომელსაც დღევანდელ კამოს ქუჩაზე დავხვდით.გა-მოიარა ჯინჯილებიანმა და მედლებიანმა კაცმა ფაიტონით.ყველას ნიკოლო-ზი გვეგონა;თურმე პოლიცმეისტერი ყოფილა.მერე გამოიარა სამხედრომ და ბოლოს ნიკოლოზიც გამოჩნდა,რომელიც ასევე ფაიტონში იჯდა.ბავშვები "ურ-ას" ვყვიროდით და ისიც თავს გვიქნევდა საპასუხოდ.იმპერატორი ჯერ კა-დეტთა კორპუსში წაიყვანეს.ჩვენ ვსდიეთ და ვსდიეთ ქანცგაწყვეტამდე.

აკაკი წერეთელი პირადად მინახავს ქუთაისში ვიღაცის იუბილეზე... შემდეგ,როცა გარდაიცვალა,მერჯევის სადგურზე დავხვდით მოწაფეებით.დაჩო-ქილი და თავჩაღუნული ვიდექით ბაქანზე.კუბო ერთ-ერთ ვაგონში ესვენა.

-ჭიათურაში შავი ქვის უცხოელი წარმომადგენლები იყვნენ 1928 წლამდე. იცნობდით თუ არა რომელიმე მათგანს და თუ იცნობდით,რას მოიგონებდით მათზე?

-შორიდან მინახავს ბელგიელი ძმები მიულერები,რომლებსაც დარკვეთში ქარხანა ჰქონდათ და იქვე ცხოვრობდნენ.ვნახე ინგლისელი მრეწველები თბილისში,რომლებიც საქმიანად დადიოდნენ.ქართველი მრეწველებიდან ვიცნობდი ჯიბო აბაშიძეს, სესილია ლეჟავას,ანჯაფარიძეს და სხვებს.

-აღწერეთ თქვენი ახალგაზრდობის დროის ზეიმები.

-ჩვენ ადგილ-მამულები სოფელშივე გვექონდა.ბევრი მიწები ჩვენი იყო ახალოსეული,ყურასეული.ვენახი გვქონდა ეწერში,ციხეზე-საპირე ყანა. ეწერში დღემდე უძახიან ქაჯაიების ნავენახარს.შავი ქვის მადანი ჩვენ არ გვქონდა.პასიეთში ცხრა ვერსი ტყე გვექონდა,ხოლო მის ქვემოთ-დიდი კარიერი,იქაური ქვით აშენებდნენ ეკლესიებს და რკინიგზის სადგურებს. სამეურნეოს უფროსი იყო ქუთათელაძის კაცი.

ჭიათურიდან დარკვეთამდე რკინიგზით ავდიოდით,დარკვეთიდან-ცხენით. თუ სტუმარი გვყავდა,ქართულ ურემს გავახვედრებდნენ.ასეთი ურმები ჩვენთა-ნი იყო: ერთი დიმიტრი აბდუშელიშვილს ჰქონდა,მეორე-იოსებ აბდუშელი-შვილს.არაბა ურმები ყველას გვქონდა.ქართული ურმები ძალიან დიდი და მა-

ღალი იყო.მაღლა დასახლობში ქონდა მოწყობილი.უბნის თავში ბაბუა დიმიტრი ხდებოდა,გვერდით მე ვუხდებოდი.მოკლედ,ნამდვილი დიაკონი ვიყავი....ისე მომენატრება ხოლმე ბაბუა დიმიტრის ფუფუნა თვალები,რომ ცრემლების გარე ზე თავს ვერ ვიკავებ ხოლმე.

მეურმეებად ჩვენი კარგი მეზობლები-ლომიძის კაცები მყავდა.დიდხანს იყო ჩვენს ოჯახში ფხალაძის კაცი.

-როგორ შეხვდა ჩვენი უბნის ხალხი ახალ ცხოვრებას?

-წინააღმდეგობა არ გაუწევიათ...ჩვენი და ბაჩანა აბდუშელიშვილის სახლები უმიზეზოდ იყო ჩამორთმეული.შეგვაერთეს ქოჩიკო აბდუშელიშვილთან და ვითომ პასიეთში გადაგვასახლეს.სახლები სინამდვილეში არ დაგვიცლია.

რაც შეეხება დავით აბდუშელიშვილის სახლს,ისიც ჩამორთმეული იყო. იქვე ეწყო ოთხნაირი ხავერდის ავეჯი.იდგა დათო ერისთავის საუკეთესო როიალი,რომლის წკაპება უკვე მოასწრეს.იქაური ქალები გამხდრდნენ,მამა-კაცები დაიხოცნენ და პატრონი აღარ იყო.ყარაულმა სახლს ცეცხლი მოუკიდა და ეს ამოდენა სახლი ორ საათში მოსპო.

-აღწერეთ ძველი ქიათურა და მისი საყვარელი ადამიანები.

-მე ქიათურაში ადრე არ ვცხოვრობდი,მხოლოდ სადგურზე თუ გამივლია. ჩემი საყვარელი ადამიანები მე ბებოთ დავისახელე.

-იცით თუ არა მშობლების საფლავები?

-მამა იოხეისწიაში დასაფლავებული,დედა,ძმა და რძალი-ბეწინევში.მა-მის საფლავი დაკარგულია.

-რა გსმენიათ ბეწინევის ციხეზე?

-ბეწინევის ციხის,ბეწინევის სახელწოდებისა და აბდუშელიშვილთა გვა-რის შესახებ არაფერი არ ვიცი.მამაჩემს ბევრმა ცხენიანმა მიაკითხა ხოლმე და პასუხი ვერ გასცა ციხის წარსულზე.ოლღომარის ამხანაგები მანდ ქურჭელს იღებდნენ ხოლმე მიწიდან.

-რა გინდათ მიამბოთ თავად?

-არაფერი არ მინდა სიკვდილის გარდა.არაფრის სურვილი არა მაქვს. მეშინია მხოლოდ მარტო სიკვდილისა.

-როგორ მოხვდით თხმებურებიდან ქიათურაში,საიდან მოდიოდნენ ისინი, ვინ არიან მათი წამომავლები ?

-ნიკოლოზ გაბრიელის ძე ოხმეზურს ცოლად ყავდა [illegible] ეკატე-
რინე გაბრიელის ასული წერეთელი, მეუღლის [illegible], რომელიც [illegible]-
ბიდა მე. ისინი ქიათურაში აქირავებდნენ ოთახს და ჩვენ [illegible] და-
ქირავებული ბინა, რომელშიაც [illegible] წელი [illegible] ვცხოვრობდით.

ოხმეზური გურიიდან იყო მოსული. მუშაობდა უცხოელ მრეწველ [illegible] ბუღალტრად. ლამაზი, მაღალი და [illegible]-მარილიანი კაცი იყო და მისი ოჯახი ერთ-ერთ ბრწყინვალე ქართულ ოჯახად ითვლებოდა მთელ ქიათურაში. ასეთი კარგი ოჯახი ქიათურაში ცოტა იყო. [illegible], [illegible] და [illegible] იყო ქალაქი სავსე.

ოხმეზურებს შვილები ყავდათ. დღეს შვილიშვილები არიან დარჩენილნი და თბილისში ცხოვრობენ. ერთი მათგანი საუკეთესო ქიმიკოსია, მეორე-ექიმი.

-გაამხელთ თუ არა თქვენს ყველაზე დიდ საიდუმლოს?

-ასეთი საიდუმლო არაფერი მქონია.

-გიყვარდათ თუ არა რომელიმე ლიტერატურული გმირი, რა მოგწონდათ მასში?

-მიყვარდა "ანა კარენინა", ტატიანა- პუშკინიდან, ვერა-ლერმონტოვიდან. [illegible] ყაზბეგის ყველა გმირი, მაგრამ მათი ცხოვრება ყველასი ტრაგიკულად მთავრდება. მიყვარს ვაჟას გმირები, მისი ბუნების აღწერა.

-გიცდიათ თუ არა დაგეწერათ მხატვრული ნაწარმოები?

-არასოდეს... სურვილი მქონია, მაგრამ ნიჭი არ გამაჩნდა.

-თქვენი საყვარელი მასწავლებლები?

-ეპარქიალური სასწავლებლიდან -ვარდოსანიძის ქალი, ნიკოლოზ ქელბაქიანი; ეკონომი-სახელი დამავიწყდა, ჯაფარიძის [illegible] და სხვა.

-თქვენი საყვარელი მოსწავლეები?

-ძნელია არჩევა. 44 წელი ვმასწავლებლობდი და კარგი ბევრი მყავდა ზოგიერთები ლექტორებიც არიან; ამასწინათ მნახეს.

-თქვენი მოკლე ბიოგრაფია?

-სახელი: თამარა სამსონის ასული ქაჯაია. დავიბადე ქიათურის მაზრის სოფ. ბჟინევში 1891 წ /ძვ. სტილით/, ახალი სტილით 1892 წლის 13 იანვარს საშუალო აზნაურის ოჯახში.

დედა: ჯაგო გრიგოლის ასული აბდუშელიშვილი იყო მშვიდიანი ადგილ-მა-მულიანი ქალი, წერა-კითხვის მცოდნე, გაზრდილი დიმიტრი ბაბუას მიერ. ლამაზი არ იყო, მაგრამ ელეგანტური კეთილშობილი სახე ჰქონდა.

მამა მსახურობდა ჯერ აღმასრულებლად ოზურგეთში, მერე-საჩხერეში, სადაც დადიოდა ცხენით, იცვამდა ევროპულად, ატარებდა კოკარდიან ქუდს. იმ დროს ავაზაკების დამჭერი ჯარი-პოლიციელები დადიოდნენ, რევოლუციის დროს სოფლებს არბევდნენ ხოლმე, მაგრამ მამაჩემს ხმას ვერ სცემდნენ.

—მეტად თავს აღარ შეგაწყენთ, თამარა მამიდა, ალბათ, დაიღალეთ კი-დეც, თუმცა შეკითხვები ჯერ კიდევ ბევრი მაქვს... უღრმესი მადლობა, კა-რგად ბრძანდებოდეთ.

—არაფერს, ჩემო ავთანდილ! მკითხე, თუ რამე გინდოდეს; მე მზად ვარ... კარგად იყავი!

1975 წელი, აპრილი,

ჭიათურა, სოფ. ბჟინევი.

# შ ე კ ი თ ხ ვ ე ბ ი

## ვერიჩკა კოწეს ასულ აბდუშელიშვილს -ძინძიბაძეს

/ საჩხერის რაიონის სოფ. კალეათის მკვიდრი, 90 წლის /

-თქვენ უკვე 90 წლის მოხუცი ბრძანდებით.ეს ხომ უკვე საუკუნესთან მიახლოვებაა.ამასთან დაკავშირებით მინდა გკითხოთ :მადლიერი ხართ თუ არა განგებისა,რომელმაც იმთავითვე თქვენი ხანგრძლივი და ჯანმრთელი ცხოვრება ისურვა? და თუ ხართ,როგორ და რა საშუალებით გამოხატავთ ხოლმე ამას?

-მადლიერი რავა არა ვარ...ხომ გითხარი:რასაც ღმერთს ვთხოვდი,ყველაფერს მომცემდა.ბევრი წამება გავიარე და ბევრი სიხარულიც ვიგემე, მაგრამ არის კიდევ ბევრ სიხარულს მოველი მარტო ჩემთვის კი არა,სხვისთვისაც...ადრე შვილებისთვის რომ საჩუქარს მომცემდნენ,სხვასაც ვუნაწილებდი,უფრო მეტად გაჭირვებულებს.მე რომ შვილებს ბლუზას შევუკერავდი,იმისთანავე ბლუზას მეზობლებსაც ვუკერავდი.

-ამბობენ,მოხუცი და ბავშვი ერთიაო.არის თუ არა ეს სინამდვილეში?

-ეს მართლაც ასეა,დედაშვილობას! თუმცა მე კიდევ არ მგონია ჩემი თავი ძალიან მოხუცებული.

-ისურვებდით თუ არა დაუბრუნდეთ საკუთარ ბავშვობას?

-დედა,ბავშვს როგორ არ ვისურვებდი,მაგრამ ეს რომ არ შეიძლება?! სურვილით კი მინდა 18 წლის ვიყო ახლა.იხარე შენ,იმდენი მინატრია,ახალგაზრდისათვის რომ შემიხედავს.აგერ წუხელი ქალიშვილი ვნახე.გოგო-მეთქი,ნეტავი შენისთანა ვიყო-მეთქი!-გულში ვუთხარი. ნეტავი შენი ყმაწვილ-ქალობა გამიყო-მეთქი!

-ამბობენ,ბავშვი ანგელოზიაო.როგორ გესმით თქვენ ეს საკითხი?

-მეც ასე მაქვს გაგონილი,ბავშვი ანგელოზიაო,უანგარო.არავითარი სიგლახე მისგან არ მოდის.მერე რა იქნება,არ ვიცი. ცოდვებს გზა და გზა იძენს,თუმცა ცოდვა აუცილებელი არაა.ბოროტი ადამიანი მუცლიდან არ იბადება.მე ჯერ კიდევ აკვნიდან მისწავლებია შვილებისთვის,თუ ვის როგორ უნდა მოექცეოდნენ.ბოროტს არ უნდა გაჰყვე,მხოლოდ უნდა აგრძნობინო თავისი სიგლახე და მერე თვითონ მიხვდება.

ცოდვიანს რავა გავამართლებ,მარა ზოგი გასამართლებელია :ადრე შენ რომ მკლავდი,მერე მე მოგასწარი და მოგკალი.მაგრამ სხვები რომ გამზრდა კლავენ?მამას რომ კლავს?ამათი გამართლება მე არ შემიძლია...ბავშვე ეს არა აქვს.

-როგორ გესახებათ დღეს თქვენი ახალგაზრდობის ყველაზე საყვარელი წლები?

-ბევრჯერ მითქვამს: ნეტა იმ დღეს-თქო!

-დაახასიათეთ თქვენი უახლოესი წინაპრები.რა გააკეთეს მათ კარგი ოჯახისა და ქვეყნისათვის?

-ბიჭოს,ეგ რანაირად გიხსნა?!..კიდევ გამიმეორე ეგ კითხვა,დედა!

...მაშინ ხელმწიფისთვის რომ გააკეთებდით,იქნება ახლა უარყოფითი იყოს.ჩვენი წინაპრები ემსახურებოდნენ იმ წინა ამბავს,უფროსისათვის შეწირობდნენ და ეს ახლაც ასეა.სამსახურისათვის არაფერი ჯილდო მიუღიათ.

-რის სიყვარულს გვაჩვევდნენ თქვენი მშობლები?

-მშობლები,ბებია,წესიერებასა და რიგიანობას გვაჩვევდნენ.დედამ იქ,აკვნიდან რომ გადმომიყვანა,სიკეთე მასწავლა და ამას ახლაც ვაკეთებ.ჩემი ხალხის ბავშვები ახლა ვერ დაფასდებიან,ბევრია არის იქანა,არ დაფასდებიან.

-კარგა ჭამის,კარგად.თუ საჭმელი არ იყო,მაშინ არაფერი არა ხარ ქვეყანაზე.

-ვინ იყო ყველაზე უმდიდრესი თქვენს გვარში?

-დედა,დასახელებით ვერ დავასახელებ.ერთხელ ერთ ოჯახში ვიყავით მე და გრიგოლ კაპანაძე.თერთმეტი ბავშვი ტილოებზე ეყარა.მშობლები მოვიყვანეთ,გვითხრეს:წეიყვანეთ,გაზარდეთ,რაც გინდათ,ის უქენით,ზრდა არ შეგვიძლიან.ჩვენ გადავიხადეთ იმისი ვალი...ოჯახის ხსენება რა საჭიროა?

-ყველაზე მდიდარი?

-ჩვენც ადრე ღარიბთა სიაში ვიყავით,მერე გამიჩნდა ნალდა.ჩარეული ვიყავი ყველაფერში.ამ ხელისუფლებამ ყველას კარგად მოგვისწრო.უწინ იყო ზოგიერთი მდიდარი,ახლა ყველა მდიდარია.

-ვინ იყო ყველაზე სახელოვანი კაცი თქვენს სოფელში?

–მაგალითად, ისევ ილიკო გულაშვილზე გეტყვი, ჩემს ბავშვობაზე, ვე- ქსილებს რომ წერდა. ის ამბავურებშიაც კი გამოირჩეოდა, ძველებში ხომ გამოირჩეოდა და გამოირჩეოდა. ამასწინად მისი დაწერილი ვექსილი ვნახე და ჩემმა ძმისწულმა შეინახა... კაი კაცები იყვნენ კიდევ ძველი ნამამა- სახლისევი ბურძგა გულაშვილი, ელიზბარ ჩიკვილაძე, ილიკო გულაშვილი; ვითომ ნასწავლები იყვნენ იმ დროში. მე ვფიქრობ, თავის დარგში ახლაც სხვაზე დიდები იქნებოდნენ ისინი.

–ვის ჯვრისწერებს დასწრებიხართ საერთოდ ?

–ჯერ ჩემს ჯვრისწერას დავესწრებივარ. ნუგზ–ტეტიდალს ეკლესიაში ვი- საპიჯვრელად ამ სიგრძე აზრებუბი გადმოიწვეს, წითელი ალაში. მღვდელმა ცოფწიძემ მკითხა: ხომ გსურს, შვილო, ეს ამბავი? მე, დალოცვილო, რომ არ მინდოდა, ამ შუაღამისას აქ რიღათ მოვიდოდით, ვუპასუხე! მე და ჩემი ქმ- არი ერთად გავიზარდეთ. სამღვდელოს ვურჩევდი, თურმე მე ვყოფილვარ დასახელ 17 წლის ვიყავი, როცა გავთხოვდი.

დავესწრებივარ კიდევ მაკარ ქუბანეიშვილს ჯვრისწერასაც. ეკლესიას ნუგზ- ეეოფალს ვერ ნახავდი.

–რა რელიგიური დღესასწაულები იმართებოდა თქვენს ახალგაზრდობაში?

–დიდა, აღდგომა ხომ იყო და ამის! ამაზე დიდი დღესასწაული აბა რა ყოფი- ლა. მერე შობა იყო; ახალწელი და ნათლისღება. ჯვარს რო ფილეუბობდა წყა- ლში, ავზში ან ტბაში /ტბაც კი ეკურთხებოდა ხოლმე/, გოლჩენზე მიგვქონ- და წყალი. ამ დროს ეკვე ნამთავრდებოდა.

–ყველაზე ძველი საფლავები კალაურის ეკლესიის ეზოში, ვინ განისვე- ნებენ იქ?

–სულ ძველის–ძველი, დედაჩემის მერე, ილიკო და მაგრინა გულაშვილე- ბის საფლავებია. ჩვენი ღვთისმშობლის ეკლესია ძალიან ძველი არაა. ის ააშენეს ბერძენმა ხელოსნებმა, ჩვენთან რომ ფალავანდიშვილები არიან, იმათი ნათესავები იყვნენ. ქართული კარგად არ იცოდნენ. ეკლესიის შენე- ბლობას ხელმძღვანელობდა სევასტი კორკელაძე და ილიკო გულაშვილი. ილიკო სულ მუდამ სტაროსტა იყო ამ ეკლესიის. "შკაფში" სანთლები ეწყო და გვეუბნებოდა: იქ ხელი არავინ ახლოთ, თორემ ცხვირს დაგხლიჩავთ.

ეკლესიის ქვეშ ქვევით კლდეში ჩახვდნენ და აქამდე ბერძნები

ეროვნული ბიბლიოთეკა



ამუშავებდნენ.

ეკლესიაში ყველაფერი ინახებოდა: სახარება, ბარძიმ-ფეშხუმი, საწინდ-ნობელი; ლოცვისას დაჩოქილი ვიყავით ხოლმე და მას შემდეგ მტკივა მუხლები. ეკლესია რომ დაწვეს, კაი მოზრდილი გოგო ვიყავი. შეიქნა ერთი კივილი. შენობას ცეცხლ-ცეცხლი გაუჩნდა... დედა, რა კაცმაც ის დაწვა!.. ისინი ქვე დაისაჯნენ, მარა გაქრნებოდა ის დალოცვილი!

-მომხდარა თუ არა რაიმე მკვლელობა თქვენს უბანში?

-დედა, ის კაცი, უცხოეთიდან რომ მოიხარ, იქ მოკლეს. მაშინ ისევ ნიკოლოზი იყო. მოკლულის ვინაობა ვერ გაიგეს. მას თითი მაღლა ჰქონდა აწეუ-ხილი, არ მომკლათ, ალბათ ეხვეწებოდა მკვლელებს. ექიმებმა რომ გაჭრეს, შიგ ჩვენი [illegible] ღელის გამოღმა დაასაფლავეს. ამბობენ, ცარიელი იყო

-რა ახალგაზრდული თამაშობანი იმართებოდა სოფელში?

-ბიჭო, ვეჭიდაობდით ხოლმე. შევიკრიბეთ ამხელა ბიჭებს კისერზე და მოვაძუნძულებდით. დააგდებდნენ ბრტყელ ქვას და სადაც დადებდნენ, იქით ფეხს ვერ გადაადგებდი. მერე გავისროდით ტიკოს და თუ მოვარტყამდი ქვას, ჩვენ მოვახდებოდით სხვას, თუ არა და ის უნდა მოგვეყვანა კისერზე. სარბოლო, მანამდე უფრო სულელური თამაშობები იყო. კაი დიდი გოგო ვიყავი, ბიჭებთან ერთად წყალში რომ ვბანაობდი. ახლა რომ ისე გოგოს გააკეთოს, თავს მოუჭრიან. ახლა აღარ შეიძლება?! მაცნიერი აქვთ, თუ რა? მაშინ არ იყო ეს უსაქციელობა. სხვაგან გავიზარდე, უცხო სახლისა ვიყავი, მაგრამ ლოგინში რომ ჩავწოლოდი ცუმარტილს, და-ძმასავით გიყვარდა ერთმანეთი. ახლაც ისე მიყვარს. მიმტან არც ჰური უნდა ქალი. მე სამი წლიდან აქ გავიზარდე და ძალიან კმაყოფილი ვარ.

-რა აღდგომობანი აწყობდა არეს ხალხს?

-ახლა რომ გვირილა, იმისთანა ურთ არ ცოცხლა. თუ იყო და სახელობოება არ ჰქონდა. ქლექი არეს იყო და ამ ყელიანს სხვაგან გადაწვენდნენ, შინს დაუდგამდნენ სახლს. ჭირიანკაცები რომ არიან, ეს დიდიხნის ამბავია, იქ შორიახლოს არ გავდიოდით: ფოლადოებით აღადგენდნენ ეშვათ და მასზე მღვდის ერთი ქალი ყავდათ გაგზირეზებული. მისის ქალი მოყვედა.

ექიმები და ექიმბაშები მაშინაც იყვნენ.ქოლერიანი და ჟამიანი გამოჯანმრთელებათ,ერთხელ ძროხა დაეცა და რძეც დაუშრა.მაშინ საჩხერეში ექიმობდნენ.ამიტომ ჩემმა ნათესავმა ვალიკო ძალახაძემ და მითხრა: გოგო,ეს ვერ გაიგე,ბავშვს რძე აქვსო? წეილვანა ფერშალ გარასი ქრის-ლოცვიდან.

ექიმბაშების გვარი არარ მახსოვს.ისინი ახლაც ჩნდებიან აქა-იქა.

-ყველაზე კეთილი და ბოროტი ადამიანი თქვენს სოფელში?

-ბოროტს ნუ მახსენებ,დედაშვილობას! ..ჩემი თავიდან ყველა უბ-როტი მეგონა..რა ვიცი,იქნებ მეც ბოროტი ვარ?..კეთილი ჩვენთან ძა-ლიან ბევრი იყო,მაგალითად ბერძენა გულიაშვილი.ჩემი სიქვრივე და გაჭირ-ვება იმ ოჯახმა გადამატანინა.

-არსებობს თუ არა ბედის ვარსკვლავი?

-მე კი ვარსკვლავზე ვარ,დედა,დაბადებული,სხვისი რა მოგახსენო. ამ ვარსკვლავის სახელი კი არ მახსოვს.ბევრ ფულიანება,მაწვალე და ჩავწერით.

-მოწყალობს თუ არა ღვთაებრივი?

-ახლა აქ რაღა ვ თქვა,შვილო,რა ვიცი! ამბობენ,ღვთაებამ მოწყალ-ბსო,მაგრამ რა ამოწმებს?

-როგორ გესმით ბედისწერისა და სიზმრის საკითხი?

-ადამიანი რომ გაჩნდება,მისი ბედისწერაც მერე არსებობს...სიზმა-რი კი ადამიანის განწყობილებაა,მისი შეგრძნებაა.მე პირადად არ მწამს სიზმარი.

-არსებობს თუ არა საიქიო ცხოვრება?

-ჰოდა,ისე იარსება მენმა ღმერთმა!ჩვენზე დიდი ხალხი არყევს და ამბობს,არ არისო და მე გამოჩერჩეტებულმა ბებერმა საიდან უნდა ვი-ცოდე მისი არსებობა?იქ არავინ არ არის.საიქიო და სააქაო აქაა.აქ მთავრდება ადამიანის ყველაფერი...ისე კარგ ყურს დაუგდებული იყვნენ ამ ამბავს.მაშინ იძახოდნენ ხოლმე,რომ ადამიანი სიკვდილის მერე იქ განაგრძობს სულიერ ცხოვრებასო...ბოდი რამ თქვენ ღმერთმ შეასწორეთ.

-როგორ გესმით ღვთაების საკითხი? ლოცულობდით თუ არა ოდესმე?

-ახლაც ვლოცულობ და კიდევ ვილოცულებდი.ახლაც მინდა ხოლმე უფერიძე წასვლა.ღმერთი ისეთი არის,რომ უნდა იფიქრო.ის მე იესო ქრისტესავით მყავს წარმოდგენილი.ღმერთზე ვლოცულობ და ვთხოვ,რომ ყველა კმაყოფილი ამყოფოს.ვინც სატანჯველშია,ავადმყოფები-თქო.მშვიდობაზე ვლოცულობ.

ღმერთი იმ ნახატებს არ ემსგავსება,ეკლესიაში რომ არის.ღმერთი უფრო სხვანაირია.ჩვენის ეკლესიაშიც არის ნახატები,მარკოზას სურათი...წელს იქ მიმიყვანა!

-მოიამბეთ ცხრაასიანი წლების უფერიძის შესახებ.

-არც ამაღლება ვიცოდით.ხალხი ღმერთის მორწმუნე იყო.ერთხელ ცხენიაშვილმა კაცმა გამოიარა.კაცი ფეხშიშველი მიუძღოდა წინ თავის ცხენს. გამოვიდა დედაბერი,შეხედა ამ თავადს და ჰკითხა:შვილო რატომ არ წამოიყვანე,ცხენს გაუძლებდი.მაშინ ცხენისაშვილმა უპასუხა:მე იმისთანა ადგილზე მივდივარ,ჩემი დედინო,რომ აქ ფეხშიშველმა უნდა ვიარო.მხილიო ხიდთან რომ მივალ,მაშინ მაქვს ცხენზე შეჯდომის უფლება,ისე ვერიდება ღმერთს.

ახლა უფერიძის შესახებ:იქაური მღვდელი იყო დიმიტრი აბდუშელიშვილი. საუფლო დღეებში პარმენ ყოფნიძეც სწირავდა.საკურთხს რომ დააკურთხებდა, დიმიტრის სახლში კი არ მიჰქონდა,გაჭირვებულებს ურიგებდა.სადილს ჩვენთან ერთად ჭამდა.მე სულ გვერდში ვუდექი...უფერიძე არავინ არ იმარხებოდა.იცოდნენ ხოლმე:ვიღაც მკვდარი დამარხეს და მიწას უკანვე ამოაყრიო.

არც საჩხერეს სიმართლეც იყო წირვა.ელისაბედ მერქელის სახლთანაც იყო ეკლესია.ერთხელ ელისაბედმა წირვაზე მოფერიშვილის ქალი გაგზავნა: რომ დაგიძახე,რატომ მაშინ არ მოხვედიო.

-რა შეიძლება ვუთხრათ უწმინდური ადამიანს?

-ვიცი,უწმინდურს რა უნდა ვუთხრათ?! არ ვიცი!..მაგაზე ძალიან სიცხე აღარ არსებობს.ერთხელ მამაჩემს ვკითხე:"დიდოფს"რომ ხშირად ხმარობ, რაზაიტს ეშიდება-თქო...რაჟარს და თქვით რომ არაფერი იცის და შენ რომ მიუთითებ,ისე დააკვდი,არც იმას აკეთებსო.

-სკოლა,სადაც თქვენ სწავლობდით,თქვენი მასწავლებლები და თანაკლასელები?

–ვსწავლობდი სამხედროს ორკლასიან სასწავლებელში.მისი გამგე ჯინ-ჭველაშვილის ქალი იყო.მასწავლიდა მხოლოდ აზნაურიშვილი.მისი სახელი არა დამავიწყდება,ვლადიმერი ერქვა.ისე მოგვექცეოდა საკუთარ შვილს,რომ ყველაფერი თავში იბეჭდებოდა.მერე მასწავლებელი სოფო თოდაძრი-ლიძე იყო.ის ახლაც ცოცხალია.

ვლადიმერს ორი ქალიშვილი ჰყავდა: ლუბა და ვერიჩკა.ცოცხალი არცერთი აღარ არის.

სასწავლებელში ვსწავლობდი რუსულს,"რუსსკოე სლოვას",საღვთო რჯულს. "რუსსკოე სლოვა" ახლაც შენახული მაქვს.საღვთო რჯული სწავლისა და წამოსვლის წინ ლოცვით უნდა გვეთქვა.

სამხედროს შემდეგ ქუთაისში,კორძაიას კლასში ვსწავლობდი.კორძაია 80 წლის ქალი იყო.

ჩემთან სწავლობდნენ ვალიკო აბდუშელიშვილი და დათიკო აბდუშელი. ამას მამამის ეძახდნენ და ჩვენებურად იყო მოსამღვლე.ვალიკო მეფურველი იყო,თეთრი,ბუწკულა,იმას ვენაცვალე!

–ომში,რომლებიც თქვენი ახლობლები მონაწილეობდნენ და უკან აღარ დაბრუნებულან?

რომელი ადამიანის სიკვდილმა დაგწყვიტათ გული?

–ორი ძმა ჩემთან იყო,მათ შორის ჩემი ვაჟიშვილიც,რომელიც უკან აღარ დაბრუნებულა.სხვაზე რა გითხრა?

–ილაპარაკეთ "ვეფხისტყაოსნის" ან სხვა წიგნების გარშემო.

–რა წავიკითხავ,ყველა წიგნი მიყვარს.

–რას იტყვით თქვენი პირველი სიყვარულის შესახებ?

–ვიმე,მაგაზე წუხარ მელაპარაკებ! სიყვარული სად მქონდა,შენ არ მოუკვდე ბებიას!როგორ,ამას სიყვარულით გავყევი? ჩემი სიყვარული სხვა იყო.ეს იყო სულიერი სიყვარული,რომელიც სიყვარულადვე დარჩა...ამას წიწკნა-გლეჯით გამაყოლეს...მაშინ კაცებს რომ მოიყვანდნენ,ქალები საჭახლებში იმალებოდნენ...ახლა?

–დაახასიათეთ მაშინდელი ქართული სუფრა.

–მაშინ სუფრაზე 24 საათი რომ მჯდარიყავი,ერთმერის უნდა ყოლილიყავი იქ.ახლა ყველანი დადიან და დადიან...

ერთმა ოლიმპიელმა სუფრაზე ქალები აღაფრთოვანა—შუას ქვევით გადი-მარჯვით.კაცებმა იუკადრისეს,სცემეს ოლიმპიელს.მან თავი იმართლა :სხვ-ნაირად არ მიიქციათ.როგორ არ უყურებთ :შუას ქვევით ქალებს სხვა რამე გვაქვს...

მაშინდელი სუფრა,ღვინო,ღორი გადიღლე ხე იყო.თუ ქონდათ,სუფრას გა-რადგარებდნენ,თუ არა და მარტო ხე იყო.მე ერთ სუფრაზე ვიყავი მანდა-ეთში.ხორცი და ღვინიანი ქოქა ლავაშებზე ეწყო.მეც წინ ლავაში მედო და ზედ ჩემი ულუფა მქონდა.ოჯახში სულ ერთი საინი იყო.ქონდათ ხის კა-თხებიც.საინს ერთ რომ იხმარდნენ,გარეცხავდნენ და ახლა მეორეს მისცემდ-ნენ.

სუფრაზე ქალები და კაცები ცალ-ცალკე ისხდნენ.ქალებს ცალკე სუფრა ჰქონდათ.

-რა აზრისა ხართ მზეზე?

-მზე ბრწყინვალეა,დედა!დაე,მისი შუქი ყველაფერმა იგრძნოს!..

-პატარა ვიყავით,როცა მე და დედა გარეთ გავიდოდით.გაქათქათებული მთვარიანი ღამე იყო.დედა,ნეტავ იქ ამიყვანა,ვინაღლე! ..როცა კი მთვარეს ვიხარე,ბევრჯერ მიიქვამს: ერთ დღეს,ადამიანი ისწავლის და მთვარეზე ავა.

-ისურვებდით თუ არა,გაუფრინდეთ მარად?

-მე კი მსურს,მარა ეს არ შეიძლება.

-რამდენად სამართლიანად იქცევა ბუნება,როცა ზოგს ხანგრძლივ სიცოცხლეს აძლევს,ზოგს კი-პირიქით?

-რაღომ არის მერე ეგ ,დედა? მაგას ახლავე მოგახსენებ,ეგ ბუნე-ბაა ვიცი : დაე,ბორბალი დიდხანს იყოს ცოცხალი,რომ იგარეცხოს! ზოგიერ-თა ბედიძლია გინდა?-ღმერთსაც ჰქონდა ვეერთო,ნათქვამია. ამ სიტყვე-ბით ვიცოდებდით ჩვენ ბავშვები,როცა ნათელა დაბერდება.

-რომელი ქართველი სიმღერები გიყვართ? მღეროდით თუ არა თავად?

-მიყვარდა თარხნიშვილების სიმღერა."თავო ჩემო" ყველაზე უფრო მიყვარდა და ახლაც მიყვარს. ნათელას სიკვდილამდე ჰქონდა ემღერო ამ სიმღერას.

-რა მისცა ხალხს რელიგიის დაკარგვამ?

-სარწმუნოების დაკარგვით ხალხმა ბევრი რამ შეიძინა,მაგრამ ის მაინც არ უნდა დაეკარგა.

-ებრაული სარწმუნოების ერთი პუნქტი ამბობს: "მკვდრეთით აღდგომა ჭეშმარიტებაა". და თუ ეს სინამდვილეა,მაშინ რომელი უახლოესი ადამია-ნის მკვდრეთით აღდგომას ინატრებდით?

-მე ეს არ მჯერა: ქართველები არასდროს ამდგარან და რადა ებრაელები ადგნენ? და თუ ჩემიანი არ ადგება,მაშინ მის აღდგომას არც ვინატრებდი.თუ ინატრებ,უნდა სჯეროდეს კიდეც.

-კიდევ რამდენხანს იარსებებს კაცობრიობა?

-სანამ მეორედ მოსვლა არ მოვა.მეორედ მოსვლა იყო წყლით. ახლა ცეცხლით იქნება.

-აქვს თუ არა სამყაროს დასასრული?

-ე,ბიჭო,მაგრე მეტეხმარე რამე!..

-რა განსხვავებაა ადამიანსა და ცხოველს შორის?

-ვიშე,დიდი განსხვავებაა!..ადამიანი ადამიანია,ცხოველი ცხოველი, მაგრამ დედა-შვილური გრძნობა ცხოველებსაც აქვთ.ერთ ჩემ კრუხს წიწილ დეეკარგა და დედამისს გლოვდა.ახლაც ეძებს გამწარებული.

-არსებობდა ბრინჯაოს,რკინის,ოქროსა და ვერცხლის ხანა.რა შეიძლება ვუწოდოთ ჩვენ საუკუნეს?

-რა ვიცი,რა ვუწოდო? დაწერე ჩემ მაგიერად.

-ქართველი ქალისა და კაცის ყველაზე კარგი ღირსება?

-როდესაც იტყოდნენ: ეს ქართველი კაცია და ეს ქართველი ქალია, ამაზე უფრო დიდი სახელი და ღირსება არაფერი იყო.

-როგორ მოქმედებს თქვენზე დროისა და ამინდის ცვალებადობა?

-ვიშე,ბიჭო,ახლა რა რიგის რამეებს მკითხავ?!..მშვიდობიანი ამინ-დი ყველაფერს მირჩევნია.მიხვდი სულ ცისა და ამინდის შემყურე: არ წვიმა არ იყოს,არ ქარი არ ელვა.ელვასი მეშინია.საშიშიც არის,შეშია.

-რას იტყვით თავად-აზნაურთა ღირსება-ნაკლოვანებებზე?

-თავადებს რომ ღირსება ჰქონდათ,მაგაზე მეტი რაღა შეიძლება იყოს. ახლა გლეხები არიან ღირსეულნი,მაგათ ადრე სუფრაზე არ აუშვებდნენ. ეს ყველაფერი მახსოვს და ნეტა არ მახსოვდეს!ამიტომ ვწუხვარ ახლა.როცა სუფრაზე ვჯდებოდი,მგონი ჩემთვისაც კი უკითხავთ ხოლმე.

-რას იტყვით ქართველ გლეხ-კაცურ ღირსება-ნაკლოვანებებზე?

-განსხვავებულნი გლეხებშიაც იყვნენ.მამაჩემი აქებდა გლეხკაცურ ღირსებას და ამბობდა,რომ გლეხ ცოლ-ქმარს ზედმიწევნით უყვარდა ერთმანეთი,ერთმანეთის ჭირის თანაზიარნი არიან.გლეხის კაცი ცოლს სულ თვალებში შეჰყურებდა.

საღუწინჭელის ქალმა აკაკის გლეხური აზრები მისცა,გლეხური სულის-კვეთება,სული და ხორცი და აკაკიც ბოლოს დაერია თავადებს.თავადებსაც ბოლოს არ უყვარდათ იგი.

-რას იტყვით ეკლესიის მსახურებზე?

-რას ვიტყვი,დედა, და ჩემი ილიკო ყოველდღე დადიოდა ეკლესიაში,დაასუფთავებდა ხატებს,წიგნებს.ღმერთი სწამდა და ბოლომდე უყვარდა იქაურობას.იმით ასწავს ახლა მეც ღმერთს.ეკლესიის მსახურებში მე ვხედავდი [redacted] ღვთის მორწმუნეებსა და თაყვანისმცემლებს.

-თქვენს თვალწინ მთელი სოფელი დაიცალა,თქვენი ტოლები წავიდნენ,სამაგიეროდ ახალგაზრდები მოვიდნენ.როგორ მოეწონება ყოველივე ეს თქვენზე?

-ბიჭო,როგორ მოეწონება და ჯარგად :ძველები რომ წავიდნენ,მაგიერად ახლები გვეხვეწებიან.ამათ თავს მაინც წუხარ მომაკლებს ღმერთი!ომიამბის დროს თბილისში ვიყავი,ქუჩაში გამოველი და ბევრა ხალხი რომ დავინახე,ვთქვი:ამდენი ხალხი მოგვაკლდა და მაინც ვენაცვალე ღმერთს,კიდევ რამდენი ადამიანი დადის ქვეყანაზე!

-თქვენი გვარის ისტორია?

-შვილო,გვარი სულ არ მეხსიერება მე,თუმცა შენ ქე გამოჩნდა,სადაც იყო

-წერხვედრიხარი თუ არა რომელიმე გამოჩენილ ადამიანს?

-შევხვედრივარ,მარა გვარები აღარ მახსოვს.

-იცნობდით თუ არა ჭიათურის წავ ქვაში დასაქმებულ რომელიმე უცხოელ მიწერელს?

-არ ვიცნობდი.

-აღწერეთ თქვენი დროის კაბები.

-სოფლები ცხენით და ფაიტონით დადიოდით.სოფლის მამულების მეტი ნაწილი კურკულაძეებს ეკავათ.მათგანი იყო მთელი წყაროს ძმა.ბულიაშვი

ლეშმა მაგათგან 9 მანეთად იყიდეს ეს ტყე.სოფასტი და მალხაზი აზნაუ-რიშვილები იყვნენ,მარა მაგათ მეძიებლებს უწყოდნენ.ჟორაშრელიძეებიეთ ნამდვილი აზნაურები არ ყოფილან.

-გინახავთ თუ არა აკაკი წერეთელი?

-12-13 წლის ვიქნებოდი.მამაჩემთან-კოდე აბდუშელიშვილთან ერთად . თბილისში მუჩიაძის სასტუმროში ვიდექით.ძალიან კარგი სასტუმრო იყო. თვეში 20 მანეთზე ნაკლებს ვიხდიდით.რამდენი მოსამსახურე ქალი და კა-ცი იყოდა იქ!...

მეორე ნომერში აკაკი წერეთელი ცხოვრობდა.მარტო იყო და ჩვენთან ხშირად შემოდიოდა,რაცა ისვენებდა ხოლმე.ერთხელ აკაკიმ მამაჩემს კი-თხა:-კოდე,საცვლებს რამდენჯერ იცვლი კვირაში?-ორ-სამჯერო,-უპასუხა მამაჩემმა.მაშინ შენ,ჩემო კოდე,ძალიან ჭუჭყიანი ყოფილხარ,მე მხოლოდ ერთხელ ვიცვლიო...

აკაკი საჩხერეშიც მიდიოდა ხოლმე.მაშინ ჩვენ იქ ვარდენ ქამუშაძის სახლებში ვცხოვრობდით,მერე აკაკისთან გადავედით სხვიტორში.აკაკი ფა-ეტონით მიდიოდა.ფაეტონი ბევრი იყო:საიდაც მიდიოდა,იქ იყო გაჩერებული.

პირველად მამაჩემმა აკაკი თბილისში გაიცნო და მერე სიცოცხლის ბო-ლომდე ერთად იყვნენ.

მე აკაკის თბილისში ვაჩუქე ძაფით ნაკერი 2,5 არშინი სიგრძის პირსახოცი.ჩემი ხელით გაკეთებული იყო,ძვირფასი,რომელიც არიკომ მი-ყიდა.

აკაკი რომ გარდაიცვალა,მის სურათს გულზე მიმაგრებულს ვატარებდი. ამ სურათს დავით აბაშიძე იღებდა.თუ ახოვანი,თეთრი წამოდიოდა.სოფელ ჭალიდან იყო.

-როგორ შეხვდა თქვენი უბნის ხალხი ახალ ცხოვრებას?

-ძალიან კარგად.

-აღწერეთ თქვენი დროის საჩხერე.

-ვიცი,სოფელს გავდა,დედა!ქუჩებში აქა-იქა ეკიდა ხოლმე ფარანი.ჩე-მი კისდა იყოდა:ახლა ვერიჩკა მიდის და ის გაანათებსო.ჩემი ქმარი წე-რილებს სულ ხელის გულზე ყავდა დაჯენილი.ჭიდაობდა,მოქნილი კაცი იყო

ერთხელ ფერისცვალობაზე კოსტავამ ქიათურაზე წამიყვანა საჩხერეში. ფრიდონ და ამირიდონ წერეთლებმა გვერდით მომიჯდნენ. გამოჩნდა ერთი ორმეტრიანი რუსი. ვი, ვალერი, ვინ არის-თქო, მკლავზე ვიცი ფრიდონს. ახლა გაგიქომავს ბაგ რუს ჩენი ქმარი, მითხრა ფრიდონმა. და ეს მაშინვე ასე მოხდა: ლაპარაკით გააკრა მიწას.

-როგორ წარმოგიდგენიათ სიკვდილი?

-სიკვდილის სულაც არ მეშინია. რომ ვიცოდე, ან საიდან მოვკვდები, წუთითაც არ ვინაღვლებ. სიკვდილი მარადიული მოსვენებაა. იგი დაუსრულებელია. მკვდარს აღარც სიმწრისა ესმის და აღარც სიტკბოებისა. მაგ ახალგაზრდას ძალიან ეშინია სიკვდილის...

-ღირს თუ არა სიცოცხლე?

-მოყვასისთვის ღირს, მტრისთვის-არა. ღმერთმა რომ გამაჩინა და ამდენი ძალა მომცა, ხომ უნდა გავაკეთო რამე კეთილი და სასარგებლო?

-არის თუ არა სული უკვდავი? ღმერთი ხორციელად წარმოგიდგენიათ თუ სულის სახით?

-ამბობენ, სული უკვდავიაო და თუ არის, ეს ძალიან კარგია! აბა მე და ეგა რომ გაჩნდა, ღმერთებმა სული ჩაუდგეს და მას მერე მრავლდება ადამიანი. მხოლოდ სულის დანახვა არ შეიძლება.

ისე ეს ძალიან რთული შეკითხვა მომეცი. ღმერთი სულის სახით როგორ შეიძლება?! სულიწმინდა- ეს შენ რომ იქნები მუწუბით, აი ეს არის...

-გაამხელთ თუ არა თქვენს ყველაზე დიდ საიდუმლოს?

-ისეთი დიდი საიდუმლო არაფერი მქონია, რომ არავისთვის არ მეთქვას.

-გიყვარდათ თუ არა როდესმე ლიტერატურული გმირი, რა მოგწონდათ მასში?

-დედა, "ქართველი ქალი" რომ არის, ის მე ჰავარამ წავიკითხე და ვიტირე. რამდენი შვილები შესწირა მან სამშობლოს? მეც მისი მიხედვით შევწირე ერთი ვაჟიშვილი სამშობლოს და არავის არ ჩამოვრჩი.

-თქვენი მოკლე ბიოგრაფია?

-ჩემი დაბადება, გვარსახელი, ასეთია: მე, ვერიკა კოჯვის ასული აბდუშელიშვილი, დავიბადე 1885 წელს. სამი დის ხუჭუჭზე დაკრული მომიყვა-

ნეს საერნეში-ციმაკურიძის უშვილო ოჯახში. სამი წლისა კალეათაში ჩამო-მიიყვანეს. ჩემი გამზრდელი იყო მაწყაველი ჯოლიძის ქალი, რაჟინი გი-ქოს ასული, მაქსიმე ბულიაშვილის მეუღლე იყო, შვილები არ ყავდათ.

მამაჩემი, კოწე იოსების ძე აბდუშელიშვილი, დაბადებულია ბჟინევში. იყო იურისტი და ექიმიც. ახლანდელ ექიმებს არ ჩამოუვარდებოდა. რუსული ენა იცოდა. ბჟინევში ორი ბაღი ჰქონდა, იქაური მცენარეები ზოგი ქუთაი-სიდან, ხოლო ზოგი თბილისიდან იყო მოტანილი. სამწუხაროდ ეს ბაღი მისმა მოწვეულმა ვალიკო ქურციკიძემ დაინარჩუნა.

---

მიჰყავდა საუბარი: ავთანდილ ვართაგავას.
მასთან [illegible] ერთად მონაწილეობდა ახალგაზრდა კალ-ეათელი ქალი -რუსუდან მაჭავარიანი.

საჩხერე, სოფ. კალეათა,
აგვისტო, 1975წ.

# ს ა უ ბ ა რ ი

## ვასილ მელიტონის ძე კ ა პ ა ნ ა ძ ე ს თ ა ნ /

/ახმეტის რაიონის სოფ. კალღათის მკვიდრი,83 წლის ჭარმაგი მოხუცი/

ვასილ კაპანაძე დედაჩემის– ნინო ილიას ასულ კაპანაძის –ბიძაშვილია.მას ბავშვობიდან ვიცნობდი.დედაჩემისაგან გაგონილი მქონდა, რომ ახალგაზრდობაში იგი მანდოლინის შესანიშნავი დამკვრელი იყო.სხვა მხრივ მის შესახებ ძალიან ცოტა რამ ვიცოდი.მასთან დიალოგები მისი ვაჟიშვილისა და ჩემი თანაკლასელის ტიტეს რჩევით მოვახერხე,ვინაიდან, როგორც ამ უკანასკნელმა მითხრა,მამამისი ბევრის მომსწრე და მნახველი იყო.

1975 წლის აგვისტოში მოხდა ჩვენი შეხვედრა მის საკუთარ ეზოში.დიალოგები მართლაც საინტერესო გამოდგა.

ქორეთის დაწყებითი სკოლისა და ქუთაისის სამოქალაქო სასწავლებლის კურსდამთავრებული,პირველი მსოფლიო ომების მონაწილე ავსტრიისა და თურქეთის ფრონტებზე,აკაკი წერეთლისა და სხვა დიდგვაროვან ადამიანთა მომსწრე,ქიაიურის ბაგი ქვის ნარჩენების მცნა ადგილობრივ და უცხოელ მრეწველებთან და ბოლოს სოფლის უბრალო მეურნე,–აი,ასეთად წარმოგვიდგა ვასილ მელიტონის ძე კაპანაძის მოკლე ბიოგრაფია;ამ ფონზე იქნა გაშლილი მისი საინტერესო საუბარი,ამ ფონზე გაცოცხლდნენ უკვე დიდიხნის მივიწყებული ჩვენი ადამიანები და მოვლენები.

ეს არის ისტორიის დაუწერელი მონაკვეთი,რომელსაც აქვს თავისი დიდი ღირებულება.

მაშ,ასე:ვუსმინოთ სოფლის ყველაზე უხუცეს კაცს,ვენდოთ მის ქარაგმას და ვესაუბროთ ნათამთავრობას მისი უბრალო,მაგრამ მართალი და შესანიშნავი ენით.

I

–მიძია ვასილ,რამდენადაც ვიცი, თქვენ უკვე კარგახანია გადააბიჯე თხუთმეტ წელიწადს.ამასთან დაკავშირებით მინდა გკითხოთ:მარტოხელი ხართ თუ არა განგების,რომელმაც იმთავითვე თქვენი ხანგრძლივი და ჯანმრთე-ლი ცხოვრება ისურვა? და თუ ხართ,როგორ და რა საშუალებით გამოხატავთ ხოლმე ამას?

–მარტოხელი ვარ; ჯერ არავის სიყვარულს შევეწირებივარ უფროსისას, წერე მიმადწრის გამჩენმა ისე მოხუცობა თავისას არ იცის.

–ამბობენ,აფხაზებს ორი ბავშვობა აქვსო,ერთი,როდესაც ის მართლა ბავშვია, და მეორე,როცა ის ღრმა მოხუცებულობის სტადიაში შედის; თქვენ,რომელმაც გადალახეთ აფხაზების ასაკის ორივე სტადია, ე.ი. იყავით ბავშვი ოდესღაც და ხართ მოხუცი,მიგაჩნიათ თუ არა,რომ ეს მარ-თლაც ასეა სინამდვილეში?

–მე უკვე ბავშვებს ვეღარ ავყვები,რადგან ბავშვობის გრძნობამდე ჯერ არა ვარ დასული.

–ისურვებდით თუ არა ხელახლა დაუბრუნდეთ თქვენს სიყმაწვილეს?

–ეგ აღარ არის ჩემთვის საჭირო:არ მსურს უკან დავუბრუნდე ჩემს და-ბჯვას.

–არის თუ არა ბავშვი ანგელოზი ჩასახლებული?

–ბავშვი ანგელოზია.ეს ახლა,ჩემი მაკა რომ არის,ანგელოზია.

–დაახასიათეთ წლები,როდესაც თქვენ ბავშვი ან მოზრდილი იყავით. საუკუნის მიჯნიდან როგორ გესახებათ იგი?

–13-14 წლის ქვევით აფხაზური მახსოვს.მის ზევით იმას ვაკეთებდი, რასაც მთავრობა მეუბნებოდა.ხმა მეონდა და მამღერებდნენ ხოლმე.გვე-უბნებოდნენ: თვითმპყრობელობა ჩამოვაგდეთ.პროკლამაციებს ვეძებდნენ, რომელსაც ხან აქ მიაკრავდით,ხან იქ ხოლმე...

მაშინ ქუთაისის სამოქალაქო სასწავლებელში ვსწავლობდი,გიმნაზიელ ბიჭებს ვინ მიიღებდა.შინაც მამაჩემის ქვისლ დომენტი ლისანეთიძესთ-ან ვცხოვრობდი.მისი სიძე,კოსტავას კაცი,სახელი აღარ მახსოვს,პროკ-ლამაციებს მაძლევდა გასაკრავად,რადგან მენდობოდნენ;ამბობდნენ,არ გაგვცემსო.

გამოვყვებოდი ოჩპირის ქუჩიდან, სადაც კუბოები გვქონდა დაწიწნული მთაწმინდის გამწკრივებით. მოვურბენდი, გადავკრავდი; მოვურბენდი, გადავკრავდი. ერთხელ ერთი სამჯერ გადავკარი. ვერავინ ვერ გამიგეს. ერთ დილას, მარჯი არის, წვეულება იქანა, სადაც ლუკები ქვაბებს კალავდნენ. ერთმა მათგანმა სპორტე მაშინ დამინახა, რომელსაც თეთრი ცალი პროკლამაცია მქონდა ჯიბეში დაჩრეწილი. უცბად ცხენის ხმა შემომესმა. მიკოლის მთაწმინდის კამკი ცოცხლად და ლეკოსთვის უკითხავს: აქ ხომ არავის გაუვლია. ხმა რომ გავიგონე, პროკლამაცია დავკუჭე და გავუხიე ქონდარში ჩავაგდე. მოვიდა კაზაკი და მათრახი გადამკრა, მიყვირა-ჩემთან წამოდი. წავყევი. თვით ხიდან, ლაპიძის გასაყრელთან, ჩასაძირში პადრეჯანი იყო. ჩამოხე დი. სამამის ცხენს დაამგრა, მე საკონიაზე ვეელი. ამით იუნედეს თავს. ნამდვილად ჩამომაცდუნებდნენ და თანაც მათი ...ნებოდნენ, პროკლამაცია ვინ მოგცა.

პროკლამაციას ეწერა: ძირს თვითმპყრობელობა, გაუმარჯოს ერთობას!

-რაღარ ამბავს თქვენს უახლოეს წინაპრებს: რა გააკეთეს მათ ქვეყნისა და ოჯახისათვის? დაახასიათეთ ისინი და მოგვიყევით თქვენეული პორტრეტები შეძლების ფარგლებში.

-მშობლები ადრიდან გამოსწავლოდნენ. სიძულეთი რა ვიცოდით მაშინ...

-რას იტყვით ახლობლებს იქით არსებულ აღმაფრენებზე?

-მე ყველანი გვეხმარებოდნენ, მაგრა მაშინ გასაქანი არ გვქონდა მეგობრა რომ არის, ისე კი არ იყო ვწინ... ერთხელ მიხეთაზე ნეველი ტიკავურაში, მარა ყურადღებას ვინ მაქცევდა. იქ ერთი რუსი ინჟინერი სოფრინეე ფერის პოლიციური იყო. მითხრა, მიჩვა რაღა გინდა, ჩემთან წამოდი. იმან წამიყვანა და რვა წელი ვმუშაობდი მათი ქუის ჩამოსატანებ სპასკურზე, კარადებზე. ჩემთან ერთად იყო ჩიხლაძის კაცი.

-სამშობლო-რაღარ ესმოდათ ეს წინანდა ცნება თქვენს მამა-პაპებს?

-მაშინ ხსენება არ იყო. მე რას ვიცოდი, თავად არაფერს გვბობოდნენ.

-თქვენ თვითონ როგორ გესმით სამშობლოს ცნება?

-სამშობლო არის ჩემთვის ყველაფერი. მას შესწირა ხალხმა თავი. ჩვენც იქ უნდა მივაკლათ თავი, თორემ მოსწყდება მიწური და ნიადაგს.

-რა განსხვავებაა თანამედროვე კულტურასა და თქვენი სიყმაწვილის დროინდელ კულტურას შორის?

-ახლა დიდუბული ბევრნაა.ამაზე ბედნიერი თაობა არასოდეს ყოფილა.

-ვინ იყო ყველაზე ღარიბი ოჯახი თქვენს უბანში?

-უღარიბესი არავინ იყო.სახლ-კარობაზე არავინ ფიქრობდა,საჩრო ქე მუშობდა.

-ყველაზე მდიდარი?

-მდიდარს ჩვენ გვეძახოდნენ.საქმელი გვქონდა;ისე რა მდიდარი ვი-ყავით,უმრავლესი გვქონდა ყველაფერი,ქე თუ გავიცდიდით...

-ყველაზე სახელოვანი ადამიანი თქვენს უბანში? რით გამოირჩეოდა ის

-სახელოვანი მამაჩემიც იყო,ბაბუაჩემი ილიაც,ალექსი ბიძაჩემი სა-ამი.ამათ არაფერი არ აკლდათ,უმრავლესობა ყველაფერი ჰქონდათ.მხოლოდ მაშინ დაბეჯდა,ქე რო დამხვდეს.

-ვის ჯვრისწერებს დასწრებიხართ კალვათის ღვთისმშობლის ეკლესიაზე? დაასახელეთ ისინი,ვინ არიან მათი ნათლიმამები დღეს?

-ბევრის ჯვრისწერას დავსწრებივარ აქაც და ქუთაისშიაც.კოლა წერეთ-ძემ რომ საერხედან ქალი წამოიყვანა,საერხეში არ დაწერეს ჯვარი და ჩვენს ეკლესიაზე მოიყვანა სადილო.მისი ეზიდი იყო რკინიგზის "მას-ტერი" ვალოდია ნარიძე.

საერხეში რატომ არ დაწერეს ჯვარი? იქაურმა მღვდელმა ანთიმოზ მე-სხმა ალბათ ბევრი თხოვა ჯვრისწერისა და ამიტომ ჩვენთან ჩამოიყვანა.

-რა რელიგიური დღესასწაულები იმართებოდა უწინ?

-რელიგიური ყველაფერი ტარდებოდა.ახლა,მაგალითად,მარიამობაა.მა-შინ ჩვენ ვილოცით ელიობა.ელია იყო წმინდანი და ხალხი მის საპატივ-ცემოდ თავს იყრიდა უეჩიძე.

-ტაძრის ეზოში ბევრია ძველი საფლავის ქვები.გვითხარით,ვინ გან-სვენებენ მათ ქვეშ?

-აქ არის მამაჩემის ბიძის ოდია კაპანაძის საფლავის ქვა.ის კაცი უშვილოდ გარდაიცვალა.მის ქვაზე ძალიან წვრილი წარწერა არის.ჩვენ ამო-ვიხიკეთ მასწავლ ჩაკეთებული ხატი და საფლავს ისე მივაგენით.ეს 200 წლის ამბავი მაინც იქნება.ყველაზე ადრე ჩვენ ეკლესიაზე დასაფლავე-ბული არიან ოდია კაპანაძე,უფლისა და ძოირგი გელიაშვილები,ალექსი ტალაძე.აი,ისინი,ვინც ჩემს მახსოვრობას შემორჩა.

-მომხდარა თუ არა თქვენს უბანში მკვლელობა?

-არ მახსოვს.

-რა ბავშვური თამაშობანი არსებობდა თქვენს ახალგაზრდობაში?

-მარტო რიკ-ტაფელობა იყო.გამოვჭრიდით ჯოხებს,ჩავკრავდით ტაფელას რიკი წვერიდა და მანძილს გადავზომავდით ტაფელათი.ვისი რიკიც ახლოს დაეცემოდა,იმას მოაჯამდნენ კუდს.

-რა ავადმყოფობანი აწუხებდა ძველად ხალხს? რა ითვლებოდა განუკურნებელ სენად და ვინ იყვნენ მაშინდელი მკურნალები?

-ოოოო,1919 წელში ისპანკამ დაწყვიტა ხალხი.საურხისა და ჩვენი ეკლესიები სულ გადაჭედებული იყო...კაცო,თბილისიდან მოაფრინდნენ მაშინ ძველ დარისხვით,იმას იცავდნენ და ხალხი ავად ხდებოდა...ჩვენი ფერშალი იყო ტარასი გრიძელიძე,ექიმი-ქოლოშვილი.

-ყველაზე კეთილი ადამიანები თქვენს გვარში?

-მელიტონი,სააბი და ილია კაპანაძეები.ისინი არავის ცუდს არ უკეთებდნენ.თუ ეჭირებოდათ,ასესხებდნენ და ხელსაც უმართავდნენ კიდეც.

-არსებობს თუ არა ბედის ვარსკვლავი? თქვენ თვითონ რომელ ვარსკვლავზე ხართ დაბადებული?

-ამბობენ,ბედი არსებობსო,მაგრამ მე არ მინახავს,არავერი გამომცხადებია.

-რას იტყვით დედამიწის შესახებ?

-ჩვენ დედამიწით ვარსებობთ...რაც არის ამბობენ,ბრუნავსო.ჩვენ კი გვაქვს წარმოდგენილი,ვითომ მზე უვლისო.საოცარია: არავერი მეტყობა,ღერძზე ტრიალებსო,ღერძი არ გაცვდა? ზამთარი თავის დროზე მოდის,ზაფხულიც,შემოდგომაც.

-როგორ გესმით ტელევიზორის ან სიზმრის საკითხი? ...

-ტელევიზორი არის,სიზმარიც დაუცადია.რა მოლაპარაკება,არ ვიცი...რიცა ბიძაჩემი სურთი დავასაფლავეთ,მერე ღამეს სიზმარში კიდევ მოვედით მასთან სასაფლაოზე.ეხლავე,ორი ვიღაც ფრთებიანი ეკლესიაზე შემომხვდა.დამინახეს და გადმომძახეს: კიდევ ცხრა დარჩაო.რას ნიშნავს ეს ცხრა,არ ვიცი.მას უკან ორი წელი გავიდა.ალბათ,კიდევ შვიდი წელი უნდა ვიცოცხლო.

-არს ბოძს თუ არა საიქიო ცხოვრება?

-ჩემი აზრით,არ არსებობს.აქ არის ყველაფერი–სამოთხეც და ჯოჯოხეთიც.ვინც ცოცხალი იტანჯება,მისი ჯოჯოხეთიც აქაა.

-როგორ გესმით ღვთაების საკითხი,ლოცულობთ თუ არა როდისმე?

-როგორც ბავშვობაში,ღმერთი დღესაც ისე წარმომიდგენია.ქრისტე აღდგაო,გვასწავლიდნენ მაშინ.მკვდარი მართლა როგორ უნდა აღმდგარიყო?მარხ ნანგრევი რომ ნახეს,აღდგომაც იწამა ხალხმა...ქუთაისში საღვთო რჯულს კაპანაძის მღვდელი გვასწავლიდა.თუ საგანი არ ვიცოდით,მაშინვე ორიანს გვიწერდნენ.

-გვიამბეთ ცხრაასიანი წლების ურეკის შესახებ.ვინ მღვდლობდა მაშინ ან რა საღვთო რიტუალები სრულდებოდა?

-ურეკში მღვდელი ყოველთვის მიდიოდა.ბჟიწევიდან დიდი ქვირვასი კაცი დიმიტრი აბრამიშვილი ურმით ჩამოჰყავდა ხოლმე საალდგომოდ. დიმიტრი ტკბილად გვიკურთხავდა ხოლმე.სახლში არაფრის ნაღება არ იცოდ როგორც გაბრიელ ეპისკოპოსს აქებენ,ისეთივე იყო დიმიტრი მღვდელიც.

როგორც სათიბში შეიქნებოდა,დეიძახებდა ხოლმე მთელი ჯალაბი,ეთხოდით დიმიტრისგან,დოუთხნიდით ვენახებს და ისიც იმიტომ გვეცემდა პატივს.

ურეკზე ელიოზას ვიხდიდით,ეწირებოდა ცხვარს.ცოდვა შესაწირი კი არ მიდიოდა! ურეკის დაბლა ერთ ადგილს "მამალისეული" ქვია.მამალა იყო კაპანაძე;როდის ცხოვრობდა,არ მახსოვს.დაკავშირებულა პორტახის დროს.

-რა შეიძლება ვუწოდოთ ურწმუნო ადამიანს?

-რა უნდა ვუწოდოთ,ის ურწმუნოა.

-სკოლა,სადაც თქვენ სწავლობდით? ვინ იყვნენ თქვენი მასწავლებლები და თანაკლასელები?

-ჯერ ქორეთში ვსწავლობდი,სადაც პეტრე ცქიტიშვილი მასწავლიდა.ის ქვეყნიური კაცი იყო;წინათ,ბერი,ვასილ აბრამიშვილიდან იდგა.პეტრე სკოლის გამგეც იყო და მასწავლებელიც.

თანაკლასელებიდან მახსოვს შეიწეველი მისწავლე-გოგოები.ერთი ანნუკა აბრამიშვილი იყო,მეორის სახელი აღარ მახსოვს.

მაშინდელი ქორეთის სკოლა კაკალთან იდგა,ახლა რომ საბჭოს შენობა დაანგრიეს იქ...

-რომელი ახლობლის სიკვდილმა დაგწყვიტათ ყველაზე უფრო გული?

-ამან,კაცო: სერგო და სიმონიკა კაპანაძეებმა.მაგათზე უფრო,არავი-სზე არ დამწყვეტია გული.სიმონიკა რომ დაიღუპა,ჩვენს ოჯახში იზრდებოდ დედაჩემს ქონდა ასეთი ხასიათი,ობლებს თან ჰყვებოდა.

-რომელ ომებში მიგიღიათ მონაწილეობა?

-1913 წელს სავალდებულო სამსახურში გამიწვიეს.1914 წელს უკვე ავ-სტრიის ომში ვმონაწილეობდი,ლვოვის აღებაზე.იქ მარცხენა ხელში დავი-ჭერი და კიევში ორი თვე ვიწექი,მერე მომცეს ექვსი თვის თავისუფლება და სახლში ჩამოვედი.მალე ისევ მიმიხმეს: ამითი არაფერი გიჭირსო და ახლა უკვე თურქის ომში გამიწვიეს,სადაც ტრაპიზონის ახლოს ვმონა-წილეობდი.თურქებმა რამდენიმე გემი ჩაძირეს.ჩვენ იარაღი დაგვირიგეს და მოვუდეთ თურქებს.ინგლისელები ნიკოლოზის მთავრობას ეხმარებოდნენ. იქაური მეფე ნიკოლოზის მოყვარე იყო.რუსებს გერმანელებიც უწევდნენ დახმარებას.ნემცები სულ გენერლები იყვნენ და ნიკოლოზი რომ ჩამოაგ-დეს,უღალატეს მას.ეს გენერლები თავადაც გარბოდნენ და ჩვენც გვითხო-ვდნენ.ერთ კვირას ტრაპიზონში გაგვაჩერეს,რადგან გემების გასვლა არ შეიძლებოდა.მერე,როგორც იქნა,დავიძარით ადგილიდან,მაგრამ იმხელა რი-გი იყო,რომ...ამ გემების სახელები აღარ მახსოვს,აქედან კი "რასია"-თი წავედით.

-ილაპარაკეთ "ვეფხისტყაოსნის" გარშემო.

-მის შესახებ არაფერი არ ვიცი.

-ერთი რუსული წიგნი მიყვარდა.სამოქალაქო სასწავლებელშიაც ამ წიგნებს გვასწავლიდნენ.ჩვენ კარტებს გვაძლევდნენ,რომელსაც ეწერა: "ილაპარაკე რუსულად".ვისაც კარტი საღამომდე შერჩებოდა,იმას ცე-ემდნენ ჯოხით.

-რას იტყვით თქვენი პირველი სიყვარულის შესახებ?

-/იცინის/ რა უნდა ვთქვა?..

-შეადარეთ ძველი და ახლანდელი სუფრა.

-ახლანდელი სუფრა უფრო კულტურულია.

-მოკლედ აღწერეთ ეგ სუფრები.

-მაშინ ძრიელი მადლიერები იყვნენ.ქალები ცალკე ჯდებოდნენ,კაცები-ცალკე.თამადა ჩვეულებრივ უხუცესი.ნამდვილი მსმელები იყვნენ.პირველს თასის წვერს არაფრძლებდნენ.

-რას იტყვით მზეზე?

-მზე ძლიერია.მათი ვარსკვლავი ჩვენ.ყოველთვის არსებობა არ წყდე-ლება.

-ისურვებდით თუ არა შეკვეთავებას?

-მერამ არავის უცოცხლია და მეც თავის დროზე უნდა მოვკვდე.რად მი-ნდა უკვდავება!

-სამართლიანად იქცევა ბუნება,როცა ის ნაადრევად უსწრაფებს სიცო-ცხლეს ვაჟკაცს,ხოლო ხანგრძლივ სიცოცხლეს აწიჭებს გაიძვერასა და მო-რილეს?

-ბუნების კანონი ასეთია და ჩვენ ვერ ვარღვევთ მას.

-რომელი ქართული სიმღერები გიყვართ ან მღეროდით თუ არა თქვენ თვითონ მათ?

-ვმღეროდი "მრავალჟამიერსა" და "თავო ჩემოს".ეს "მრავალჟამიერი" განსხვავდებოდა კახური "მრავალჟამიერისაგან".კახური ყველას ჰქონდა, მაგას თვალწინაც მღერიან.

-რა მისცა რელიგიამ ხალხს ან რა დაუკარგა ხალხმა მისი უარყოფით?

-რელიგია ბევრს გვაძლევდა და ამიტომ მისი უარყოფით ბევრი არა-ფერი დავკარგავს.ბერები მარხვას ტვიქრძალავდნენ,თავად კი მიირ-თმევდნენ.ისინი არაფერს ტოკურობდნენ,თუ ლოცვაში ორ მანეთს არ გადაუხდიდი.ეს ორი მანეთი კი ორ კოდ სიმინდს უდრიდა.ერთხელ სიღარიბ ქალაქში ორი მანეთი არ გადაიხადა და ჩვენმა მღვდელმა პაპჩემს ყოფ-ნისას მას არ უკურთხა.

პაპაჩემმა თქვა სულელიათ.თუ სულელი ვარ,კიდევ გამოცდებანი ბარ-ქალსაო,წინწინის მოგებით უთხრა სიღარიბმა...

კარგია,რომ ეგ გადასახადი აღარ გვაქვს!

-ებრაული სარწმუნოება ამბობს:"მკვდრეთით აღდგომა ქვეშქვეყნიერებაა".თუ ეს ასეა,მაშინ რომელი თქვენი უახლოესი ადამიანის აღდგომას ისურ-

ვებრით?

-არც ეგ მომხდარა და არც ვისურვებდი.

-რამდენ ხანს იარსებებს კაცობრიობა?

-მერამ ვერ იარსებებს: ან იმი დამწყვიდავს ან სხვა რამე. ჯერ, მამა ჩემი იცოდა, ბავი ჭირი გაჩენილა და სოფელში ცოცხალი არარავინ დარ-ჩენილა. კაცს რომ თავზე ბავი მეწყერი დააცდებოდა, საუბამდე ვერარ გაა-ცანდა ცოცხალი.

ხალხი მიკვდებოდა, იქვე ჩაამარხებდნენ; ეკლესიაში არ მიაქონდათ.

-არსებობდა ბრინჯაოს, რკინის, ოქროსა და ვერცხლის ხანა. ჩვენი საუ-კუნე რომელს შეიძლება მივაკუთვნოთ?

-ოქროს საუკუნე ახლა არის. დღეს ხალხი ფუფუნებაში ცხოვრობს.

-ქართველი ქალისა და მამაკაცის უმაღლესი ღირსება?

-ქალისა-შეგიოსნება, მამაკაცისა-სწავლა.

-როგორ მოქმედებს თქვენზე დროისა და ამინდის ცვალებადობა?

-დროის ცვალებადობით ბუნება შეცვლება. ზამთარში სხვა ბუნებაზე ვარ, ზაფხულში სხვა ხასიათზე. ზამთარში უფრო მაგრად ვარ, გაზაფხულზე-ცუდად, ზაფხულზე უფრო ცუდად. შემოდგომაზე ისევ კარგად ვარ. მადლობა, ახლა არ-აფერი არ მიჭირს.

-რას იტყვით თავად-აზნაურთა ღირსება-ნაკლოვანებებზე?

-სამღვდელოებისა არ ვიცი, მაგათზე ბევრი ნაკლი ვის ჰქონდა? ჩვენთან იყვნენ სამსონ და ნიკო გოდაბრელიძეები. ვინმე თავი არ დევინსუნდა, ყველაზე კარგ დღეებში მაგათ ვუხმარებდით. ეს კარგი ძლები იყავი, ოც-დაათ ოქროს გადაახდევინებდნენ, ეს ცუდი-ნაკლებს. იმათგან თავის გამო-სახსნელად, ყველაფერი გაუყიდეთ. ამის შემდეგ მამერი სარჩენში აბაში-ძისგან მარჩენლიან, რომელი ც "მირონი პირველია"-ნიშვილობის ჩამომ-დებლად მეწამდა და იმასთან დაუცდარეთ. კარგად მახსოვს ის კაცი: მოღ-ვალი იყო, ეასიკო კეკელიძელის წინაზე იდგა, ახლა რო ძველი აფთიაქია. სახლიდან რო გამოვიდოდა, ყველას ბეჭინოდა. სამხედრო ფანისამოსი ეცვა. თეთრი ქუდმიური იყო, ბეწვის. აქ მარტო ცხოვრობდა; მზარეულად სხვაგან-ჩელი თოფაძე კირილეძე ყავდა. ის დადიოდა ბაზარში, ყიდდა ქათამს, ხორცს.

-რას იტყვით ქართველი მღვდელ-კაცის ღირსება-ნაკლოვანებებზე?

-მღვდელს არაფერი არ გააჩნდა:ყველაფერი წერეთლების ხელში იყო.მახსოვს,ერთი უწვერო ბატონი ნესტორ წერეთელი რომ მოკვდა, და ჯრუჭში ჩაასვენეს,მის ოქრო-ვერცხლს მათხოვრებს ურიგებდნენ.

მაშინ წერეთლებს ჯრუჭში ასაფლავებდნენ...ახლა ეს ეკლესია სპილენძით იყო დახურული.იქაურ ბერებს ქონდათ,გუდაძეების უბანში,ბერები ქონდათ,ახლაც ბერების ბერებს რომ უძახიან.

-რას იტყვით ეკლესიის მსახურებზე?

-პირველად რწმენაზე იყვნენ;მერე ქვეყანა რო ერია,არაფერს აღარ აკეთებდნენ.

-თქვენს თვალწინ მთელი სოფელი დაიცალა;ძველები წავიდნენ,სამაგიერო ახალგაზრდები მოვიდნენ.როგორ მოქმედებს თქვენზე ყოველივე ეს?

-ბუნების კანონმა ასე ინება და მეც ასე მომიწევს.

-თქვენი გვარის ისტორია?

-კაპანაძეები ჯერ იმჩიდან და საბოლოოდ გუნდაეთში დასახლებულან. კალევათში ნიკო და სამსონ გოდაბრელიძეებს წამოუყვანიათ.კალევათ მაშინ [illegible] წერეთლებს ეკუთვნოდათ გოდაბრელიძეებიანა.ის კაპანაძეები პეტრე და ბეჟანი ყოფილან.მას უკან პეტრეს ხუთი შვილი ყავდა: ივანე,ნიკოლოზი,ბერო,თედა და სიმონი.ჩვენ ვართ ნიკოლოზის შთამომავლები.ნიკოლოზს თავის მხრივ ორი შვილი ყავდა: ბაბუაჩემი ილია და მამაჩემი-მელიტონი.

-შეხვედრიხართ თუ არა რომელიმე გამოჩენილ ადამიანს?

-მინახავს აკაკი წერეთელი.ის რო საჩხერეში ამოვიდოდა,აკაკის დააჯენდნენ ურემზე ან ცხენს მიართმევდნენ და ასე წაიყვანდნენ სხვიტორისკენ.მაშინ მამაჩემს ძველ ადგილას დუქანი ქონდა გამართული.აკაკის სუფრა იქ ამოაგარდებდნენ ხიდზე და შემეძლო კარგად დავკვირვებოდი მას.

აკაკის დამხვდურებს შორის იყვნენ მისი მეზობელი კირვალიძეები, რომლებიც დიდის ამბით ხვდებოდნენ მგოსანს.აკაკის ძმისშვილი ვასიკო წერეთელი ინჟინერი იყო,მისი ცოლი,მარინა,ახლაც ცოცხალია.

დაუვიწყარი აკაკის გამოსვენებასაც.მთელმა ხალხმა გამოაცილა სხვიტორიდ-
ან სადგურამდე.

მერე ელისაბედ წერეთელს ხვდებოდნენ დიდებულად.მისი ქმარი სანდრო
წერეთელი ადრევე მოკვდა ;შვილები თამრების ოთხი მოუკლეს.რო მოუტანეს
მიცვალებული,სოფონიზე გაუკეთეს საუკეთესო ძეგლი.
ბაღები სასახლის უკან სულ ელისაბედ წერეთლის იყო.მისი დარგული ნაძვის
ხეები სასახლეში,ეწნაღელების უბანში,ახლაც დგანან,შორიდანაც კარგად მო-
ჩანან.

ძველი სკოლა და სოფლისმმართველობის შენობა მისი აშენებულია.აშენებ-
ბოთლებში ჩადო და შიგ ჩაატანა საძირკველში თავიდვე.როცა დაინგრევა და
ნახავენ,გაიგებენ,ჩვენ აშენებულიაო.

ელისაბედი თავად წულუკიძე იყო გვარად.სიბერეში გამხდრილმა ქალიშ-
ვილებმა წეიყვანეს ქვემოურში,სადაც გარდაიცვალა კიდეც.რაც მე მახსოვ
ძალიან ბებერი იყო,ნამეტანი მოხუცებული,ძლივს ახელდა თვალებს.გიმ-
ნაზია რომ აშენა,კიდევ კარგად იყო,მერე ძალიან მოხუცდა.

ძველი საავადმყოფოს ნანგრევები რომ არის,იქ ალექსანდრე წერეთელი
ცხოვრობდა.ხვადაბუნში რო კაცი გეივლიდა,გამოხედავდა დერეფნიდან,ისე-
დაც კარგად ჩანდა, და გამოეძახებდა ბიჭებს...არ ყავდა ,თუ?..ეიყვან-
და სახლში გამელოლს,სცემდა და გადაამყუდრებდა დიდ ბალავერში და თან
ეძახოდა:კიდევ გაივლი ხვადაბუნში?!..რაღაც ბრახიანები,ისეთები იყ-
ვნენ ისინი.მისი სახლის კედლები ძლივს აალეწეს ლაქებებით...

გაიმა თოდაჩრელიძეები რო გაცოფილან,ხაბაზი დარჩენილა გასაცოდი.
არა მე უნდა წევიყვანო,არა მეო,იძახდნენ თურმე ძმები.მოსულია გული
ერთ მათგანს,თოდუძრია ლუკური და მეხე გადმოუწებია ხაბაზი :-წეიყვანე
ახლა,ნახევარი შენ გქონდეს,ნახევარი-მეო.

-იცოდით თუ არა ქიათურის შავი ქვის რომელიმე უცხოელ მწარმოე-
ბელს?

-მღვიმევში ფერუქი იყო;მაღარო და ქარხანა ქონდა საკუთარი.მახს-
ოვს ბელგიელი ხუთი ძმის მიულერების გვარიც.ქარხნებთან ახლა რო დგა-
და,კლდეზე შავი ქვის ჩამოსაშვები კანატი გააკეთეს,მერე ვაგონი ჩა-
მოჰკიდეს და მადანსაც იქით ეზიდებოდნენ.

საჰაერო ვაგონები პირველად მაშინ შემოიყვანეს ჭიათურაში.

ტრესტს მაღაროში ცხენების რკინიგზა ჰქონდა და იმით გამოჰქონდათ გარეთ მადან ქვა. სავსე და ცარიელ ვაგონებს ერთი-მეორე მიჰქონდ-მოჰქონდათ.

მე თვითონ ვიმუშავე ამერიკელებთან ორი წელი. უფროსი ჰარიმანი იყო. იმას კიდევ ინჟინრები ჰყავდა და ისინი გვამუშავებდნენ. ვმუშაობდით თხილის წყალზე.

-როგორ შეხვდა თქვენი უბნის ხალხი ახალ ცხოვრებას?

-სიხარულით.

-იცით თუ არა მემამულეების სასახლეები?

-მემამულეებისა კი არა, თვით ჯაპარიძისა და სხვებისაც კი ვიცი.

-განსხვავება მაშინდელ და დღევანდელ კალვათას შორის.

-ახლა განათლებაა დიდი. მაშინ მარტო მაღაროებს ჰქონდა ქვის სარეცხი მანქანა "ტრიერი", რომელიც მარგანეცს ცალკე არჩევდა, ნაგავს -ცალკე. სხვებსაც მიჰქონდათ ურმით გასარჩევად. არავინ არ შეაგდნა. ის მანქანა ახლაც არის ჩვენს კანტორაში. ჩვენ თვითონ გადავეცით კალვათის კოლმეურნეობას. რატომ გვინდოდა. ახლა ცხრილი აღარა აქვს, ფეხებზე კი დგას. ესენი რო შემოვიდნენ, ჩალის საჭრელი მანქანაც წაართვეს. გურიდის საქონელი ისევ მანქანაში გადიოდა, მარა იმას აღარ ვსაჭიროებდით.

-არის თუ არა სული უკვდავი?

-სულს რა მოკლავს. მთიერ ქვე ჩავა მიწაში, სული ჰაერში წავა.

-გაამხელთ თუ არა თქვენს ყველაზე დიდ საიდუმლოს?

-მე ასეთი არაფერი მქონია. მეზობლებიც ამას გვეუბნებოდნენ მაშინ.

-თქვენი საყვარელი მასწავლებლები?

-ქართულში-ცქიტიშვილი, ქუთაისში-პო[illegible] ინასარიძე.

-რას მოიგონებდით თქვენი სურვილით?

-1905 წელს პარტიულმა ხალხმა შესაფერისად გამოიყვანა ჯარისკაცები თავისი აღჭურვილობით და დააბინავეს პაპუნა წერეთლის სახლში, ახლა რომ რედაქცია არის. მასზე ორი ყარაული უდგა: კალმახელიძე და ერთიც ხიმშის კაცი. ისინი აწვალებდნენ ჯარისკაცებს. შესაფერისად სახსნელად მოვიდნენ კაზაკები, რომლებმაც შესაფერი დარბიეს. სარხერე მაჩაბელმა

გადაარჩინა.უთხრა: აქ საბუთები მაქვს და ცეცხლი არ გაუჩინოთ.15 იანვარი იყო.ცივი თოვლი იდო..გვიბრძანეს,მოიყვანეთ ჰაჯრულები ან მათი სახლები გვაჩვენეთ,თორემ ყველას გადაგწვავთ.მართლაც,გადაგვწვეს.ჩვენი ძის კაცი ხალიფაურში წინ სახლში გამოწვეს ცოცხლად.მთელი კალევათა გაჯიის კლდის ძირაოში ჩვეედით და ერთი ღამე სიცივისაგან ვკანკალებდით. მეორე დღეს იქიამ შევეხიზნეთ.დანარჩენები მათიდასთან ვიყავით ჯრწით-ლში.

წაგვყავნენი,ილია კაპანაძე,მამარების მელიტონის ძმა იყო.ჩვენი გაყოფა კარგად მახსოვს.გაცდგას ვსწრებოდნენ მეიაკორები:ძმები ჟღენტა და ტიორკა გულიაშვილები,ჩიქარების ძმები და სხვები.საერთო სახლი იქ იდგა,სადაც ახლა ნინა ცხოვრობს.მანამდელი დამწვარი ქვები ახლა ამოყარეს,ეს სახლი ახალი გაკეთებულია.

...მახსოვს,ჩვენი ეკლესია რომ აკურთხეს,ქუთაისელი ეპისკოპოსი და მისი თანმხლები კრუქლი წლეულაჩიანი ჩვენს სახლში იყვნენ.სანამ ჩვენთა მოიყვანდნენ,ჯერ ეკლესიას შემოუარეს,აკურთხეს და მერე სადილი ჩვენთან მიირთვეს.

მანამ ეკლესია ახალი აშენებული იყო.ეს ეკლესია დაწვეს საერხელმა მოხაკო დოლიძეებმა და ქორთელიებმა: ციცია და გერვასი ენიაშვილებმა და ვალიკო მექრელმა.ცეცხლი საღამოს წაუკიდეს,თან თოფების სროლა დაიწყეს,ვითომ ცეცხლის ჩაქრობა უნდოდათ.

ახლა გერვასისა და ვალიკოს გვარი,ცოცხლები აღარავინ აღარ არის. ყველანი დაიკარგნენ;რა ვიცი,რამ მისჯო.

...

...

ავთანდილ ვართაგავა

1975 წლის აგვისტო,ს.კალევათა.

# შ ე კ ი თ ხ ვ ე ბ ი

## ამბროსი ექვთიმეს ძე აბდუშელიშვილს

/ქიათურის რ-ის სოფ. ბჟინევის მკვიდრი, 82 წლის მოხუცი, პარტიზანი და მშრომელი, ბედნიერი ოჯახის შემქმნელი, კაცთა მოყვარე. მრავალი წელი მუშაობდა ქიათურის შავი ქვის მწარმოებელ ბელგიელ ძმებთან მიულსებთან

-ბიძია ამბროსი, თქვენ უკვე 82 წლის ადამიანი ბრძანდებით. ამასთან დაკავშირებით მინდა გკითხოთ: მადლიერი ხართ თუ არა თქვენი ხანგრძლივი სიცოცხლისა და თუ ხართ, როგორ გამოხატავთ ყოველივე ამას?

-უფრო მადლიერი ვარ. დღეს ისეთი დროა, რასაც კაცობრიობა ვერასოდეს იფიქრებდა.

-ამბობენ: ადამიანს ორი ბავშვობა აქვსო: ერთი, როცა ის მართლა ბავშვია, მეორე კი, როცა ის ღრმა მოხუცებულობის სტადიაში შედის, თქვენ როგორ გრძნობთ ყოველივე ამას?

-მოხუცს ბავშვის გული აქვს...

-ისურვებდით თუ არა, დაუბრუნდეთ თქვენს სიჭაბუკეს?

-იმე, მაგის სურვილი კი მაქვს, მაგრამ სად არის?

-არის თუ არა ბავშვში ანგელოზი ჩასახლებული? როგორ გესმით თქვენ ეს საკითხი?

-ბავშვი ანგელოზია.

-დაახასიათეთ წლები, როდესაც თქვენ ბავშვი ან მოზრდილი იყავით. საუკუნის სიღრმიდან როგორ გესახებათ იგი?

-მაგონდება საცოლეს პირველი გაცნობა... კმაყოფილი ვიყავი, მაგრამ ცხოვრების საშუალება არ მქონდა.

-დაახასიათეთ თქვენი ოჯახის უახლოესი წინაპრები. რა შექმნეს მათ ხალხისა და ქვეყნის სასიკეთოდ?

-ბაბუაჩემს ბევრი ადგილ-მამულები ჰქონდა, მაგრამ რაღ გინდა: ღვინის მსმელი კაცი იყო. ერთ ძროხაში ორ ქცევა ადგილს მისცემდა, მერე დაადგე-ბოდა და ქეიფობდა. ბევრი ბჟინეველი, გალობა კოკნაძეები რო არის, მის ადგი-ლები მისი გაყიდულია.

-რას გასწავლიდნენ და შთაგაგონებდნენ იმთავითვე თქვენი მშობლები?

-ოჯახის,მეგობრებისა და ნათესავების სიყვარულს.

-როგორ ესმოდათ მათ სამშობლოს ცნება?

-საქართველო უყვარდათ...

-თქვენ თვითონ როგორ გესმით ეს დიდი ცნება?

-სამშობლოსთანა ქვეყანაზე არაფერია.1918 წელს,როცა ტრაპიზონში ვი-ყავი,საქართველოზე ვფიქრობდი...ნიკოლოზს თურქეთში გზა გაკაფა,რა-დგან თურქებს ვირის სასიარულო გზების მეტი არაფერი არ ჰქონდათ.მეც ამ გზების მშენებლობაზე ვმუშაობდი.

-რა განსხვავებაა თანამედროვე და თქვენი სიყმაწვილის დროინდელ ზეგ-ნევს შორის?

-შედარებაც არ შეიძლება...

-ვინ იყო ყველაზე ღარიბი ოჯახი თქვენს გვარში? ვინ არის მათი შთამომავლები?

-ყველაზე ღარიბები ჩვენ ვიყავით...ამჟამად,რაც ქონება გვაქვს, ჩემი შეძენილია.ღარიბები ვიქნებოდით ,აპა რა ;ბაბუაჩემი,როგორც გი-თხარი,მოქეიფე კაცი იყო და ყველაფერი გაყიდა.მის მიერ ჰასიეთში გა-ყიდული ბაღ,მე დავიხსენი...ეს ბაღი ვალში ჰქონდა წაღებული საჩხერელ ვაჭარს ენუქა ხოჯაშვილს...ახლა იმას მოვესწარი,რომ ჩემს ორთავე შვილ მანქანები ჰყავთ...

-ნ ყველაზე მდიდრები?

-სამსონ და დავით აბდუშელიშვილები,დიმიტრი მღვდელი,სამსონ ქაჯაია

-ყველაზე სახელოვანი ადამიანი?

-დავით აბდუშელიშვილი...ის მოლარიუსად მუშაობდა ქუთაისში.

-ვის ჯვრის წერას დასწრებიხართ აქაურ ეკლესიებში?

-არავის ჯვრის წერას არ დავსწრებივარ,რადგან მაშინ სახლში არ ვყოფილვარ:ჭიათურის ყავახანაში მოჯამაგირედ ვიდექი,მერე უცხოელებთან გავედი.

-რა რელიგიური დღესასწაულები იმართებოდა სოფელში თქვენი ახალ-გაზრდობის წლებში?

-იხდიდნენ შობას,ახალწელიწადს,აღდგომას.ჩვენ თვითონ რვამარისობა

ვიცოდით.გავდიოდით იახვისის "ნალისმცემლზე".მიდიოდნენ სტუმრები დარკვეთიდან,ბოლიდან,პერევისიდან,საჩხერიდან,ქორეთიდან.მერე ჩვენ მისული სტუმრების დღესასწაულებზე მივდიოდით...

საჯვარე იყო ჩვენს ცაცხვთანაც.იქ იდგა ხის "ბუდკა".მღვდლის სამკუ-თხვრის ქვას,რომელიც იქ აგდია,ახლაც სწირავენ ხოლმე ფულს მორწმუნე-ები.ჩვენს ცაცხვთან თურმე ჯვარსაც იწერდნენ მექორწილეები.ეს გადმოცე-მა მამაჩემისაგან მახსოვს.საჯვარეს ქვევრებს ჩვენი აბდუშელიშვილები წმინდა ზედაშით ავსებდნენ...ზედაშისთვის აიღებდნენ მტევანს,ზედა კი-მპლებს მოაჭრიდნენ და იმას სწურავდნენ;ზედაშეც ამიტომ ერქვა.საჯვარე ბაქარია აბდუშელიშვილის ეზოში იდგა და ყურადღებასაც ის აქცევდა...

წარსულში,დიდი მარხვის დღესწყებას,ტარდებოდა ყეენობა.ყეენი აქ-ეური კაცი იყო,ბეწვში ან ფარდაგში გახვეული,ცხენის ქუდით თავზე. ყეენს უბაგონო ხმას ვერ გასცემდი...

ახლა საქმე რაშია:ბერიკებს ყავდა შეკაზმული ყეენი;ასეთივე ყეენი ქორეთსაც ყავდა.თუ ისინი ერთმანეთს შეხვდებოდნენ,უნდა დაჭიდებოდნენ. დამარცხებული მთელ სანოვაგეს გამარჯვებულს აძლევდა.ერთხელ გრიგოლ მა-ჭავარიანის სახლში ყეენად შეკაზმეს გრიგოლ წერეთელი.ამ დროს ზედა ბერიკებმა გამოგზავნა დელეგაცია:ვიჩხუბოთ თუ შევრიგდეთ,თან ქე ეში-ნოდა ჩვენი ყეენის,ზედა ბერიკელებს ყეენად ტარიელ აბდუშელიშვილი ყა-ვდათ.მისი ამალა ჩვენს ამალას შეუერთდა,მთელი იახვისი მოიარეს მეხუ-რწინესთან ერთად.შეგროვილი პურ-ღვინო ტარიელის მამა–ვასილ აბდუშე-ლიშვილთან მიჰქონდათ და იქ იწყებდნენ ქეიფობას.

–ვინ განისვენებენ იახვისის "ნალისმცემლის" ეზოში თქვენი ნაცნო-ბებიდან ან ახლობლებიდან?

–ძველებიდან ძმები ალექსანდრე და სამსონ აბდუშელიშვილები.მათი მესამე ძმა–დავითი ქუთაისშია დამარხული.

–მომხდარა თუ არა მკვლელობა ჩვენს უბანში თქვენი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე?

–ჩვენთან არასოდეს მომხდარა,მხოლოდ ქორეთის "მაცხოვრის" ეზოში ელიობაზე ტყუილუბრალოდ მოკლეს ალექსი აბდუშელიშვილის შვილი:გრძელი-შვილის კაცმა მიპარვით გაუყარა ხანჯალი და ისე დასცა ძირს.მიჯი კაათ

ცეკვავდა და მისი მოკვლის მიზეზიც ეს იყო.

–რა იყო თქვენ დროს ხალხური თამაშობანი?

–"რიკ-ტაფელა" და "ჭიკრაობა". "ჭიკრაობას" ასე თამაშობდნენ: ქვაზე იდო ქვა, რომელსაც ასევე ქვას ესროდნენ გარკვეული მანძილიდან. მოგება ქვის გადაგდებაში გამოიხატებოდა. გამარჯვებული დამარცხებულს ზურგზე მოაჯდებოდა და მიყავდა გაანგარიშებულ მანძილზე...

–რა ავადმყოფობები აწუხებდა ხალხს ძველად?

–ხოლერა, შავი ჭირი და კიდევ ბევრი სხვა. ავადმყოფებს მოხუცი ექიმბაში ქალები მკურნალობდნენ. ასეთი ექიმბაში ბებიებში არჩილ აბდუშელიშვილის დედა იყო. აკეთებდა წნევების წამალს...

–ყველაზე კეთილი კაცი თქვენს უბანში?

–ყველაზე კეთილი კაცი ისაკო აბდუშელიშვილის მამა-გიორგი იყო... მაინც უნდა მათქმევინოს ბირილის ქვარი...

–არსებობს თუ არა ბედის ვარსკვლავი?

–არსებობს... მე ოთხჯერ ვარ საიქიოდან მობრუნებული –ჩემი მძიმე ავადმყოფობის გამო.

–როგორ გესმით ბედისწერის საკითხი?

–ამაზე რომ გიპასუხო ერთი სიზმარი უნდა მოგიყვე: 1918 წელს ძალიან მძიმე ავადმყოფი ქუთაისის საავადმყოფოში მიმიყვანეს. მომაკვდავი ვიყავი და განსასვენებელში დამაგდეს. მეზმანა: ორი კაცი მოვიდა და წაყოლა მიბრძანეს. ერთგან ორმო იყო კუპრით სავსე, ზედ ჯოხი იყო გადებული ამ ჯოხზე უნდა გამევლო. ვხედავ, კუპრში ვიღაც წაწყმედილი კაცი აგდია, თითებით ნაპირს ეპოტინება. მე ჯოხზე მშვიდობიანად გავედი და კაცის საშველად დავიკუზე. წამყოლებმა განზრახვაზე ხელი ამაღებინეს: თურმე კაცისთვის ხელი რომ მომეკიდა, კუპრში ჩავვარდებოდი.

გზა გავაგრძელე და მისთანა ბაღში შევედით, რომლის მსგავსი არც ბუნებაში მინახავს. ბაღი სავსე იყო მოხუცებითაც და ახალგაზრდებითაც. მოხუცებმა სახლში წამიყვანეს. ერთმა კაცმა ჯოხი ხელში ეჭირა და მიკივლა: აქ რა გინდათ და წადით. ამ დროს კიდეც გავახილე თვალი... მე ისევ პალატაში გამიყვანეს.

რა არის ეს, თუ არა ბედისწერა? რაც შეეხება სიზმარს, მისი ახსნა

მიჭირს...

-არსებობს თუ არა საიქიო ცხოვრება?

-ამ საკითხზე ხალხი ათასნაირად ლაპარაკობს...ბევრჯერ ამოუღიათ საფლავიდან ძვლები და მათ მაგივრად ახალი მკვდრები ჩაუგდიათ.მერე და შეერთდებიან ეს ძვლები?

მხოლოდ სული არის უკვდავი,როგორც ქარი,ისე დადის...

-როგორ გესმით ღვთაების საკითხი,ლოცულობთ თუ არა?

-ღმერთი უნდა ვახსენო დაწოლისას,აჰა!..ღმერთო მიშველე,მომეცი სიამის დღე!-ვამბობ,ასე[illegible] მაქვს შეთვისებული. არის თუ არა ღმერთი, არ ვიცი.იესო ქრისტე კაცი იყო და ისე გააღმერთეს,ვითამ ღვთისშვილი იყო.მხოლოდ ქონდათ,ალბათ,იმას მისაზრება.

-გვიამბეთ 900-ანი წლების უდერძის შესახებ.

-უდერძი კარგად მახსოვს.ქორეთის "მაცხოვარზე" ჩვენი დიდიდი ამ-დუწელიშვილი წირავდა და უდერძზეც ის მეწამდა ხოლმე მღვდლად.უდერძის ამბავი ასეა გადმოცემული:მანდ ადრე ტბე ყოფილა,რომელიც მერე გლეხმა გაცრბა და ხევს ცეცხლი მისცა.ამ ცეცხლიდან ამოვარდა ცეცხლი;წვავდა ეს ცეცხლი და დევდა საზხერის ხიდთან.დაღამდა და დაწვა ხალხი.ერთს სიზმარი ეზმანა:ამა და ამ ადგილას ქვა არის და შენ რო მოზვერები გყ-ავს,დოუბი და მოიყვანეთ.კაცი გადარეულა:მხეცი,გაუხედნელი ხარები ყო-ფილან,დაჭერა არ შეიძლებოდა მათი.დილით ხარები ეზოში ნახა,თვინიერად იდგნენ.დააბა ხარები და წავიდნენ საზხერები ქვის მოსატანად...ადგო არის ქვა,კაცო!რამდენი გადააკრეს ქვა ურემზე რამდენი დაწყდა..ბოლოს ფრინველივით წაიღეს.შემოღმართზე კაცს წვიმამ მოუსწრო და ქვა დამ-ძიმდა.ხარებმა დაიჩოქეს და მათი ნამუხლარები ახლაც ატყვია ქვებზე, რომლებიც უდერძს გარშემო ჰქონდა შემოვლებული.დადეს ქვა და აშენდა უდერძის წმ.გიორგის ეკლესია. 1905 წელს ქამუშაძის კაცმა გამოიტანა ეს ქვა და კლდეზე დაამტვრა.მერე ქვ ამოიტანა და ისევ ეკლესიაში დადო. ქვის საზხერიდან გამოტანის 85 წლის თარიღზე ქამუშაძე მოკლა დანი[illegible]

"ნათლისმცემელზე" შემდეგს გეტყვი: კალვათაში ცხოვრობდა გორამ გო-დარელიძე,რომელიც ლეკებს მოტაცებული და ჩამწყვდეული ყავდათ ორმოში. როგორც ძაღლი,მიუგდებდნენ წყალს და საჭმელს.

მოაგანა ახლა რვა მაისმა.გორამი დირის.ლეკმა კითხა,რა გადირებსთ? ეჰ,რავა რა მადირებს,ხვალ რავარი დღე ვიცით ჩვენ სოფლები,მე კი აქ ვზივარო!

რა არის თქვენი სასწაულით,კითხა ლეკმა.იოანე ნათლისმცემლით,უპასუხა გორამმა.თუ ძალა აქვს,ის გიშველისთ,უთხრა ლეკმა...

დილით გორამი ითხვისში,მუხის საჯვარესთან ნახა მისმა საყვარელმა ხახიშვილის ქალმა სურასთან ერთად შეზოქილი...გორამმა იმ მუხაზე გააკეთა ერთი ჯვარი,მერე ჯავთაძეებში დასვა,მერე მუხლისთავით აუდა "ნათლისმცემელზე",აქედან ქორეილის ჯვარზე ჩასულა და შილის სახლში მისულა.გორამზე არიან მოწყენებული გორაშრელიძეები.

"ნათლისმცემელზე" მღვდლად იყო ითხვისელი იოსებ წერეთელი ,"დეკანოზს" რომ ეძახიან ახლა.

-რა შეიძლება ეწოდოს ურწმუნო არაბიანს?

-ურწმუნო ურწმუნოა.

-სკოლა,სადაც თქვენ სწავლობდით,თქვენი მასწავლებლები და თანაკლასელები?

-სკოლაში არსად არ მისწავლია...

-რომელი არაბიანის სიკვდილმა დაგწყვიტათ გული ყველაზე უფრო?

-სარწყალმა შაბუაშენმა-იპოლიტემ -გული არ დამწყვიტა,კაცო?ვისთვის რა დაუშავებია,რა კეთილი არაბიანი იყო!

გული დამწყვიტა,რა თქმა უნდა,შვილის დაღუპვამაც,ძმისშვილის სიკვდილმაც,რომელიც სავალდებულო ჯარში იყო გაყვანილი,მერე ომმა მოუსწრო და ბრძოლაში დაიღუპა.

-ილაპარაკეთ "ეფრემბერის" გარშემო.

-ეს წიგნი ჩვენ არ გვქონია,მარა სხვისი წამიკითხავს.მე მან რაცხა მასწავლა.ეფრემ ბერი კაცი იყო,ახე გამიგონია...

-კიდევ რომელი წიგნები წაგიკითხავთ?

-ყაზბეგი,შოთა რუსთაველი...

-რას იტყვით თქვენი პირველი სიყვარულის შესახებ?

-მე ჩემი თავი მიყვარდა...

-სმისა და ქეიფობის ტრადიციები თქვენს სოჭაბუკები ? დაკარგა თუ არა მან თავისი ეშხი და სიდარბაისლე?

-მაშინდელი სუფრის წესებიდან ბევრი რამ დეიკარგა.რავა არ დეიკა-რგა,კაცო :აბრე რო დეითვრებოდნენ,ხანჯლებით ისე სცემდნენ ერთმანეთს, რომ სისხლის წვეთიც არ გადმოვარდებოდა.მე თავად არც არავინ გამილახია, არც არავისთან მიჩხუბნია. ერთხელ ხელისმოჭერით ავაცრიე ერთი რაჭველი

-რა აზრისა ხართ მზეზე?

-მზე ათბობს და ანათებს ყველაფერს.

-ისურვებდით თუ არა უკვდავებას?

-რა თქმა უნდა:მაგას ყოველთვის ისურვებდა კაცი,მაგრამ უკვდავი არავინ არის...

-ზოგჯერ ბუნება ნაადრევად უსწრაფებს სიცოცხლეს ღირსეულ ახალგაზ-რდას,ჯაიძეერას და ბანკიერს კი ხანგრძლივ სიცოცხლეს აჩუქებს.რამდე-ნად სამართლიანია ეს?

-ბუნების ეს სამართალი ნამდვილად არ ვარგა,მაგრამ რას იზამ :ეს ღვთის კანონია,ალბათ...

-რომელი ქართული სიმღერები გიყვართ? მღეროდით თუ არა თქვენ თვითო როდისმე?

-მიყვარდა "მრავალჟამიერი",რომელსაც მე კარგად ვმღეროდი.

-რა მისცა ხალხს რელიგიის დაკარგვამ ან რა შესძინა?

-რელიგია ახლაც ბევრს სწამს.რო გახსნა წირვა ეიქ,ბევრი მივა სა-ლოცავად,მაგრამ ხალხს ერთიმეორისა რცხვენია...

-"მკვდრეთით აღდგომა ჭეშმარიტებაა",-ამბობს ებრაული რელიგიის ერ-თი პუნქტი.სწორია თუ არა ეს?

-ისე ამბობდნენ ისინი...

-და თუ ეს ასეა,მაშინ რომელი ახლობლის მკვდრეთით აღდგომას ინა-ტრებდით?

- ბევრისას ვინატრებდი,მაგრამ აღდგებიან კი?

-ქართველი კაცისა და ქალის უმაღლესი ღირსება?

-პატიოსნება.

-როგორ მოქმედებს თქვენზე დროისა და ამინდის ცვალებადობა?

-სულ კარგი ამინდი მინდა.

-რას იტყვით თავად-აზნაურთა და გლეხთა ღირსება-ნაკლოვანებებზე?

-თავად-აზნაურები გლეხებს ჩაგრავდნენ.ჩვენები კი პირიქით იქცეოდნენ :ბაბუა გრიგოლმა ყველა ყმები გაანთავისუფლა,მათ შორის,მეგრელიშვილები...გლეხები გვყავდა ითხვისშიაც და ჭალაშიაც.ჭალაში ჭავჭავაძის კაცი იყო,რომელსაც სიკვდილმა მოუსწრო და ბაბუაჩემმა ვეღარ გაანთავისუფლა იგი.

ჭალიდან ქაქიმ აბდუშელიშვილს ყავდა იავნე წერდკვირაშვილის /აბაშიძის/ ქალი,რომელიც ჭალის მთის მეწახევრე იყო.ბაბუამ ჭავჭავაძე იქ დაასახლა და უვლიდა ჩვენს მამულს.

-რას იტყვით ეკლესიის მსახურებზე?

-ყველიერის დოუწყებას მღვდელი მოვიდოდა ჩვენთან.საკურთხს რომ მივიტანდით,მღვდელი დოშს კვერზე კი არ აძებდა დანას,ხეჭზე გადამწკავლავდა ხელით.შენ უნდა გადაგეჭრა დოში და მიგერთმია...
მღვდელს დიაკონი და"სტოროჯი"ყავდა!"სტოროჯი" საცეცხლურს მიაწვდიდა. როცა დაჭირდებოდა,ჩამოართმევდა.დიაკონი ზაქარია მეტხი ჩქარი მოლაპარაკე იყო;ამიტომ მღვდელი აჩერებდა :ზაქარია,ნელა! ზაქარია,ნელა!..

ქათამი რომ გვყავდა ეკლესიაზე შეწირული,ზარკალი თავის გადანახსენით"ცარსკი კუსოკ",მღვდლის იყო,რომელსაც ოჯახში ხორაგეულის წასაღებად ხურჯინი ჰქონდა წამოღებული.

ითხვისის "ნათლისმცემელზე" ორი მღვდელი მუშაობდა :ქორეთელი გერასიმე მოსიაშვილი და მეორე ებიაშვილის კაცი.ერთხელ ჩამოიარა ებიაშვილმა ცხენით;სახლი უნდა ეკურთხებინა.მღვდელს ხარის რვა ბეჭი ჰქონდა ხურჯინში მოგროვილი,მეცხრე ჩვენი უნდა ყოფილიყო.ამიიღო ძიძაჩემმა ილიკომ ერთი ბეჭი მღვდლის ხურჯინიდან და ბეღელში დამალა.მერე საკურთხეველად მისივე ბეჭი მიუტანა.სახლში მისვლისას მღვდელმა ნახა,რომ ისევ რვა ბეჭია.იფიქრა,იფიქრა და ვერაფერი გაიგო...

ხედავთ,ერთხელ ელიოზას აქეთ მოდის ეს მღვდელი.ჩვენ უდერძობაზე მივდიოდით.ნირვის მერე ებიაშვილმა სახლში წაგვიყვანა საქეიფოდ.სწორედ მაშინ კითხა ძიძაჩემმა:-მამაო,რამდენი ბეჭი მიიტანე სახლში?

მღვდელი ახლა-ღა მიხვდა,რაშიაც იყო საქმე.

-თქვენი გვარის ისტორია?

-ჩვენი წინაპარი აბდუშაჰილი ყოფილა,ქართველი კაცი,ლეკებიდან მოტაცებული და გაქცეული.ჩვენებს ქართლის სოფელ ალი,ზეინდევი ,წალოურისა /ტირისა/ და გუნდაეთშიაც ჰქონიათ მამულები.ქართლელებს ფიცით კალოზე აბდუშელიშვილის ფეხმძიმე ქალი მოუკლავთ...

-რას მოიგონებდი ქიათურის შავი-ქვის უცხოელ მრეწველებზე?

-უცხოელი მრეწველები სოფელ-სოფელ დადიოდნენ და მუშა ხელს ითხოვდნენ.ჩვენ ოჯახში ფული არ გვქონდა;ავდექით და წავედით ბელგიელ ძმებ მიულსებთან დარკვეთში,სადაც სარეცხი ქარხანა ჰქონდათ აგებული.შავი ქვის მადანს დარკვეთშივე იღებდნენ.მიულსებიდან ერთ ძმას ჰენრიხი ერქვა,მეორეს-ავგუსტი,მამას- თეოფილე.თეოფილე დარკვეთის ეკლესიის სასაფლაოზე მარხია.მისი ცოლი შვილებმა წაიყვანეს სამშობლოში.

ავგუსტს ცოლად ყავდა განათხოვარი ქალი-ლიზა წერეთელი,რომელიც თავის გერებთან ერთად ბელგიაში წაიყვანა.ერთ-ერთი გერი სამი წლის წინათ ქიათურაში ჩამოსულა დელეგაციასთან ერთად. ჩემი ნახვა ნდომებოდა, მაგრამ ეს არ მოხერხდა.

თავის დროზე მიულსებს ჩემი წაყვანაც უნდოდათ ბელგიაში,წერილებშიაც მთხოვდნენ.ისინი ზეინდევში მეურნედ ყოფილან. ჰენრიხი ჩემი ტარიელის ნათლიაა:..

-აღწერეთ თქვენი ბავშვობის დროინდელი ზეინდევი.

-მახსოვს შემოღობილი დიდველი,რომელიც მთლიანად ქვედა ზეინდევლებს ეკუთვნოდათ.ველს სამი ჭიშკარი ჰქონდა :ერთი-თქვენთან,მეორე-ჩვენს კარებზე,მესამე ბოსტანში.დანარჩენი ქვეშითა ნაწილი თავად ხალხს ჰქონდა შემოღობილი.შინდორში საქონელი ძოვდა.თქვენი ეზოს ჭიშკრიდან ციხის კოშკამდე ქვის ყორე ადიოდა.

-იცით თუ არა მშობლების საფლავები?

-მშობლები ზეინდევის "საკვარეზე" მარხიან,ბებია და ბაბუა- ითხვისის "ნათლისმცემელზე".

-რას მოიგონებდით თქვენ თვითონ?

-მოსაგონარი ბევრია,მარა მაინც ოსებთან შეტაკების ამბავს გავიხსენებდი.მაშინ ორი თაობები შემოვიდნენ 18 წელში,თოფებიანად გამოვიქეცით სახლში,ბორჯომ ჯლენში აგვიცვანდნენ და შიმშილი დაგვხოცავდა. ამ დროს ოსები გვარბევდნენ.მთელ ზემო იმერეთს მოითხოვდნენ შორაპნამდე. შორაპანი ჩვენი დედაქალაქია,ამბობდნენ.ისინი ხალხს არბევდნენ, ძარცვავდნენ და ჭიოკებდნენ.ბოგი სოფელი კლდე-დრეში გაეხიზნა.ოსები "მოდემხახეს" ციხეში იყვნენ გამაგრებულნი.მათ დასასჯელად ქუთაისიდან გამოიწვიეს ჯარი.სულ 100 კაცი იქნებოდა,რომელსაც შეშერი კახელი გენერალი მეთაურობდა.ჯარმა ზარბაზნები დარკვეთში დადგა და სროლა ატეხეს. სად არ უწევდნენ ყუმბარას:ზედვი,სარეკი,მოხვანი...

მე და მამაჩემმა სროლის ხმა გავიგონეთ;ჯარში ნამყოფი ვიყავი და ვიცოდი,რომ ზარბაზანს ისროდნენ.ჯვარით დიდვლის ციხეზე და უკანა მხრიდან მივუდექით კედელს.ზარბაზნით ყუმბარას ისროდნენ და რასაც დაეცემოდა,ყველაფერს არიავებდა.ბოლოს "მოდემხახეს" ციხის კოშკსაც ესროლეს;მთელი კლდე წამოიღო ძირს.გამოცვივდნენ ციხიდან ოსები და გაიქცნენ.მე და ჩემი მეზობლებიც ჯარს შევუერთდით რაჭველები და ოსებს გამოვეკიდეთ.საჩხერეში ერთ წერეთლის ოდა ეზოსა-ყორით შემოღობილი. ოსებიც იქ გადამალულიყვნენ.რო დაგვინახეს,მოუსვეს ბაყაყური.სროლა გვინდოდა,მაგრამ გენერალმა გაგვაჩერა,გაქცეულებს ნუ ესვრითო.

ოსეთამდე ვდიეთ,მაგრამ კაციც არ გვინახავს თვალით.

-გაიხსენეთ თუ არა თქვენს ყველაზე დიდ სადღესმლოს?

-არ გავიხსენე.

-გიყვარდათ თუ არა რომელიმე ლიტერატურული გმირი?

-ბევრი,მათ შორის ყაჩაღის გმირები...

-თქვენი მოკლე ბიოგრაფია?

-ამბროსი ექვთიმეს ძე აბდუშელიშვილი,82 წლის,დაბადებული ქუთაისის მაზრის სოფელ ბჟინევში.

მეუღლე: ანა სპირიდონის ასული ბაქრაძე,რაჭველი ქალი,79 წლის. ჰყავს ორი ვაჟიშვილი და ერთი ქალიშვილი,ექვსი შვილიშვილი.

---

ს.ბჟინევი,აგვისტო,1975წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ი ნ ტ ე რ ვ ი უ

სანდრო /ალექსანდრე/
გიგას ძე

დ ა რ ბ ა ი ძ ე ს თ ა ნ

1981 წლის 24 ნოემბერს, დღით სამშაბათს, ჭიათურის რაიონის სოფელ ბჟინევში ინტერვიუ მიეცა ამავე სოფლის მკვიდრს - 85 წლის ხანდაზმულ და კეთილშობილ ადამიანს, უაღრესად მშრომელს, შესანიშ-ნავი ოჯახის მეპატრონეს, კლასიკურად გაუნათლებელს, მაგრამ ცხოვ-რებისაგან დაბრძენებულს -სანდრო /ალექსანდრე/ გიგას ძე დარბაიძეს.

სახელდახელო აუდიენცია მისსავე ბინაში სრული გულახდილობისა და ურთიერთგაგების ვითარებაში მიმდინარეობდა.

აუდიენციას ესწრებოდნენ ორნი - თვით ამ ინტერვიუს გმირი - სანდრო დარბაიძე, რომელიც შეკითხვებს ყოჩაღად და სხარტად, დაფი-ქრებისა და მიკერძოების გარეშე უპასუხებდა და ინტერვიუს ავტორი, ამ შეხვედრის ინიციატორი - ქარიელ ვართაგავა.

ქროდა დასავლეთის ქარი და წვიმის თქორი ფანჯრის მინებზე წკრიალა ხმების მელანქოლიას...

მიუხედავად ამისა ჩვენ მაინც დინჯად, აუჩქარებლად განვაგრძ-ობდით საუბარს, რომლის პარტიტურაში, როგორც ობერტონი, ჩართული იყო - მარადის შეუცვლელი და შეუცნობელი გენია - სიყვარული მარადიულო-ბისა.

85 წლის მიტანებული კაცის თითოეულ პასუხში, მომავალისადმი მის ოპტიმისტურ დამოკიდებულებაში, ეს ნათლად გამოსჭვიოდა.

აუდიენციის ჟამს ის იჯდა დაბალ, ნამაპაპურ სამფეხა ხის სკამ-ზე და ბუხრის სიღრმიდან ავარდნილი ნელი ცეცხლის შუქს ნელა უერთე-ბდა თავის თქმის, თავის ოპტიმიზმს, ენივთებოდა ის ამ უწმინდეს სტიქიონს და ნათლის შარავანდით იმოსებოდა.

ქარიელ ვართაგავა

ეროვნული ბიბლიოთეკა

- მადლიერი ხართ თუ არა განგების, რომელმაც იმთავითვე თქვენი ხანგრძლივი, ჯანმრთელი და ბედნიერი სიცოცხლე ისურვა, და თუ ხართ, როგორ ან რა საშუალებით გამოხატავთ ყოველივე ამას?

- რატომ არა ვარ  აბა არა ვარ .... სამჯერ ვიყავი ომში და სამჯერვე გადავრჩი, ღმერთმა არ გამწირა, როგორც ჩანს ...

დღესაც მე ღმერთის იმედი მაქვს და ყოველთვის, როცა დროა ან ამის მოცალეობაა, პირჯვარს ვიწერ და ვადიდებ მის მადლს, მის მეუფებას.

- ადამიანს ორი ბავშვობა აქვსო, ამბობენ. პირველი, როცა ის მართლა ბავშვია და მეორეც - როცა ის უკვე მოხუცია და ყავარჯენსაა ნდობილი. თქვენ, რომელმაც განიცადეთ ერთიც და მეორეც, მაშასადამე- იყავით ბავშვი და ხართ მოხუცი ამჟამად, მიგაჩნიათ რომ ეს ასეა სინამდვილეში?

- მეც ასე ვარ... კამფეტებს არ გამოვილევ ჯიბეში და, როცა ავტობუსში ვარ, დავუძახებ ხოლმე ბავშვებს: - მოდი აქ, ბაბუ - ვეტყვი და ვაწოდებ კამფეტებს.

ახლა მარტო ვარ, სახლში ჩემს გარდა არავინაა და რო ბავში იყოს აქ, იმას რა აჯობებდა?..

-ისურვებდით თუ არა თქვენი სიჭაბუკის, ახალგაზრდობის ხელახალ დაბრუნებას?

- ვინ დამიბრუნებს თუ არა... მე სადღა მაქვს ამისი თავი... ნაშრომი კაცი ვარ: რვა წლის ვიყავი, თოხნა რო დამაწყებინეს.

- ბავშვი: არის თუ არა ის მართლა ანგელოსი, როგორც ეს ჩვენს წინაპრებს ან აღორძინების დროის მხატვრებს მიაჩნდათ?

- რავა არა, კაცო, ბოვში ანგელოსია, აპა რა არის...

- რა განსხვავებაა თანამედროვე ბუინევსა და თქვენი სიჭაბუკის დროინდელ ბუინევს შორის? რა დაკარგა ან რა შეიძინა მან ამ ხნის განმავლობაში?

- ყველაფერი განსხვავდებოდა. ვერ დეინახამდი კრამიტიან სახლს. რაზმაძეების უბანს რომ გახედო, არის სულ კრამიტიანი სახლები, ერთ დროს, რასაკვირველია, ჩალით და წალმით დახურულნი.

ჩალით და წალმით დახურულ სახლში წყალი არ ჩამოდიოდა, ისე იყო გაკეთებული.

ჩვენც დეგვეწვა ერთი ასეთი წალმიანი სახლი და გრიგოლ მაჭავარიანთან ვიყავით შეკედლებულნი.

ჩალით დახურული სახლი /საჯალაბო/ ედგა ცაცხვთან ალუა ბუჭუაშვილსაც. მისგან ვიყიდეთ ჩვენ ეს სახლი და დავდგით იქ, სადაც დღეს კოლიას ძველი სახლი, სამზარეულო და სასიმინდეა აშენებული.

- ყველაზე ულარიბესი ოჯახი თქვენი სიჭაბუკის დროინდელ ბუინევში. ვინ არიან დღეს მათი შთამომავალნი?

- რა გითხრა... ღარიბნი ჩვენც ქე ვიყავით, რითი ვიყავით მდიდრები? მიხაკო იყო ქვეით ქაქინიშვილი, ძმა მისი ილიკო, ეფთიმე - ყველანი ღარიბები იყვნენ.

- ყველაზე სახელოვანი ადამიანი თქვენი სიჭაბუკის დროინდელ ბუინევში. რით გამოირჩეოდა იგი?

- სახელით აქ უფრო ეგენი იყვნენ, კაცო, და ბაბუაშენიც სახელოვანი იყო, დავითისანებიც, იმიტომ რომ სწავლულები იყვნენ.

კოტეც არ იყო უსახელო - ბუჭუაშვილი, - აკაკისთან რო მსახურობდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

- ვის ჯვრისწერებს დასწრებიხართ ქორეთის მაცხოვრის, ითხვისის ნათლისმცემლისა და, საერთოდ, შემოიმერეთის ნებისმიერი რაიონის მართლმადიდებლურ ეკლესიებში, ვინ არიან დღეს მათი შთამომავალნი?

- ვასო გათხოვდა ქაჯაია, მაგრამ სად დეიწერა ჯვარი არ მახსოვს; ჟუცა გათხოვდა - სანდროს და, ჩემი დებიც ქე გათხოვდნენ და აქ დეიწერეს ჯვარი...

- რა რელიგიური დღესასწაულები იმართებოდა იქ - იმ ეკლესიებში იმ დროს და რა სახისანი იყვნენ ისინი?

- ითხვისში რვა მაისობა იყოდნენ, ქორეთში - ელიობა; მაშინ ლამისთევა იყოდნენ უდერძე, ჯვრისწერა - ქორეთში.

- სად არიან დაკრძალულნი თქვენი უახლოესი წინაპრები /მამა, დედა, უფრო შორეული წინაპრები/ და შესძლებთ თუ არა მიაგნოთ მათ საფლავებს, თუკი, რასაკვირველია, ამის აუცილებლობა ან საჭიროება გიკარნახებთ? ესეც არ იყოს - ყოველი შთამომავლის უწმინდესი მოვალეობა ხომ ისაა-იცნობდეს წინაპარის სამუდამო განსასვენებ სავანეს, ყურადღებისა და პატივისცემას არ აკლებდეს მას და იმავე შთამომავლებსა და ახლობლებში განადიდებდეს მათ საქმეებს? - თქვენ კი, რასაკვირველია, ამის შესახებ შეხსენება არ გესაჭიროებათ, რამეთუ წინაპართაგან მიღებული ტრადიციული კანონების ღრმა ცოდნე, გეხმარებათ - ჯეროვანი პატივი მიაგოთ მათ, განადიდოთ და განანათლოთ ისინი ყოველი აწეული სასმისის დროს...

- დედ-მამა ჩემი თითხვისის ნათლისმცემელზე არიან დაკრძალულნი. თუმცა ჩვენ მათ საფლავებს, ვერ ვაგნებთ, რადგანაც მოუვლელობისა გამო შვილები მათ საფლავებზე აღარ დავდიოდით და... ამასობაში დავკარგეთ

კიდევ ისინი.

დღეს ისეა გამინდვრებული იქაურობა, ვეღარ მიხვდები სად ვინაა დაკრძალული და დასაფლავებული.

მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ აქ-ამ გამინდვრებულ და უსახელო სამარეებში განისვენებენ: მამა ჩემი გიგო დარბაიძე, მეუღლე მისი რუსუდანი და ძმის კოლიას მეუღლე - სონა...

ყველა ესენი ერთ ფარგალში არიან მოქცეულნი სასაფლაოს შესავალ ჭიშკართან რაიმე გამოსაცნობი ნიშნების გარეშე.

-გვიამბეთ თქვენი ჭაბუკობის ჟამს სოფლად გავრცელებულ ბავშურ და ახალგაზრდულ თამაშობათა შესახებ და აღწერეთ ზოგიერთი მათგანის შესრულების წესი.

- ბურთაობა გვიყვარდა ყველაზე მეტად, მაგრამ ბურთი არ გვქონდა, ხოლო მის მაგივრად საქონლის მრგვლად შეკრულ და დახვეულ ბანალს ვიყენებდით და იმით ვიტყუებდით თავს. ვიცოდით "ჭიკრაობაც".

"ჭიკრაობა" ასე ითამაშებოდა -ქვას დავდებდით წინ ცოტა მოზრდილს და შორიდან პატარა ქვებს ვესროდით, როცა მოვარტყამდით, ვიგებდით, ვიცოდით "რიკტაფელაც" და სხვა ამგვარი სოფლური თამაშობანი.

-რა ავადმყოფობები აწუხებდა ძველად ხალხს? რომელი ითვლებოდა მათ შორის განუკურნებლად? ვინ იყვნენ ადგილობრივი ექიმბაშები?

- მალარია, ციებცხელება, ბუასილი, - ამითი იყვნენ უმეტესად დაავადებულნი იმ დროს. დანარჩენებს იშვიათად გეიგონებდი.

ახლა რო არის ყველაფერი ავადმყოფობა, - მოწამლული წყალი და ჰაერი არის ამის უმთავრესი მიზეზი.გუშინწინაც მოქონდა ამის შესახებ ლაპარაკი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



- არსებობს თუ არა ბედის ვარსკვლავი თქვენ თვითონ რომელ ვარსკვლავზე ხართ დაბადებული?

- რა ვიცი ... რა უნდა იქნეს: ვარსკვლავი ვარსკვლავია.

- ღმერთის თქვენეული გაგება - როგორ გესმით ან წარმოგიდგენიათ იგი: წმინდანთა მოძღვრების მიხედვით თუ მარტივი, თქვენეული, ე.წ. გლეხური გაგებით?

- ამბობენ და გამიგონია... იქნება აპა რა რაის? მღვდელს რო დავინახავდი წინათ, ღმერთი მეგონა. მაშინ ქორეთელი გერასიმე მოხიაშვილი წირავდა ნათლისმცემელზე და ჩვენ ოჯახშიდაც ხშირად უხდებოდა სიარული. პატივს ვცემდი, რასაკვირველია.

თითოეულ გლეხზე მაშინ სამი მანეთი იყო ეკლესიისაგან შემოწერილი. ფული მაშინ ჭირდა.

1925-შიც ჩემი ბუბიკა რო დეიბადა, გერასიმემ მონათლა იგი 6 მაისს. ნათლობის წინა დღეს მე ეკლესიაზე წავედ და ვუთხარი - აქ ნუ გამომაყვანინებ, ბატონო, ბავშვს, სტუმრები მყავს შინ და შენც იქ მობრძანდით. წირვას ჩავატარებ, გამოვალ და მოვნათლავო, თქვა და ასეც მოიქცა.

მერე ნათლიად ქეთო მყავდა ქაჯაია მოწვეული. იასული იმ ნათლობას ესწრებოდა მაშინ.

- ურწმუნო ადამიანი, რა შეიძლება ეწოდეს მას?

- ასეთი ადამიანად ჩასათვლელი არ არის, რადგანაც ის არც თავისთვის და არც სხვას არგია არაფერში.

ურწმუნო კაცი ყველაფერს იკადრებს, სიგლახეს ნებად.

ეროვნული ბიბლიოთეკა



- სკოლა, სადაც თქვენ სწავლობდით. ვინ იყვნენ თქვენი მასწავლებლები?

- ქორეთში. მასწავლებლად მყავდა გურული კაცი გვარად - ძიძიგური. ორ თვეს ვსწავლობდი და სულ "დედაენას" გვიკითხავდნენ: "აი ია", "აი თითი", "აი თათი"... ეს ვისწავლე სულ, მეტი ვერაფერი.

- ომები, რომლებშიდაც მონაწილეობდით... თქვენი გვარიდან ან მეგობრებიდან რომლები იბრძოდნენ, დავუშვათ, პირველ ან მეორე მსოფლიო ომებში? რევოლუციურ ამბოხებებსა და გამოსვლებში? თანამებრძოლებიდან ვინ დაბრუნდა, ვინ არ დაბრუნებულა?

- მე, ბატონო... 1914-ში ხო იყო ომი გერმანიასთან. იმ დროს მე პატარა ვიყავი და ჭიათურაში ვმუშაობდი, ჯერ მრეწველ ჩილინგარიანთან, მერე ადგილობრივ კლუბში.

ჩილინგარიანი თბილისელი სომეხი იყო და ოთხ ძმასთან ერთად იქ ცხოვრობდა. მის საქმეებს კი ჭიათურაში მეურვე სერგო ისაევი /ისიც სომეხი/ განაგებდა.

მაღაროები ჰქონდათ დარკვეთში, მღვიმევში, შუქრუთში.

მე მხოლოდ შინაურულ საქმეებს ვასრულებდი მასთან: დავდიოდი ბაზარში, წავიდოდი სადგურში და ა.შ. წელიწადში ას მანეთად იყვნენ მორიგებულნი.

მაშინ მე წერა-კითხვა ჯერ კიდევ არ ვიცოდი, და იქ მყოფი გოგონას დახმარებით, რომელიც ჩემსავით შინაურულ საქმეებს ასრულებდა, ვისწავლე ქართულ-რუსული წერა-კითხვა, რაც ძალიან გამომადგა შემდგომ ცხოვრებაში.

ოთხი წელი დავყავი სულ იქ.

მერე, როცა დღევანდელი თეატრის ადგილას ადგილობრივი კლუბი გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა



იხსნა და მის გამგედ გამრეკელი იქნა დანიშნული, ვთხოვე ამ კაცს: მივედი მასთან სამსახურში. მანაც მიმიღო: ბანქოს სათამაშო ოთახი და მისი ავლადიდება ჩამაბარა.

ღამით ვმუშაობდი, როცა იქ თამაში იყო გახურებული, დღისით კი ვისვენებდი.

დატოვებდა ბუღალტერია კარტს - 15 კოლოდს, მოვიდოდა ვინმა, მოითხოვდა კარტს, დაჯდებოდნენ და თამაშობდნენ მერე მთელი ღამე.

12 კარტი ეტეოდა ხის პატარა ყუთში, საიდანაც თითო უნდა გამომეყარა კარტები სათითაოდ. რაიმე მაქინაცია, არევდარევა, ეშმაკობა, აქ არ გამოდიოდა.

ერთხელ სანდრო ამდუშელიშვილმა დიდძალი თანხა მოუგო ბერძნებს, მაგრამ ამასაც არ დასჯერდა - კიდევ განაგრძო თამაში.

ამ დროს მეც იქ ვიყავი, მეც ვესწრებოდი ამ სეირს და მინდოდა, გულით მინდოდა - ჩემს მეზობელს, ხელგაშლილ და დარდიმანდ ადამიანს მოგებული თანხა არ წაეგო, ხელახლა არ დაეკარგა, რისთვისაც - ტელეფონზე გიძახიანო, მოვიმიზეზე, გარეთ გავიხმე და გულახდილად ვუთხარი: მოიგე თანხა, ახლა თავი დაანებე, სახლში წადით.

მან, რასაკვირველია, ცერად შემომხედა, ხელი ჩაიქნია და ისევ განაგრძო თამაში.

სულ მალე მოგებული თანხა ერთბაშად წააგო.

მერე კი ინანა და მითხრა - ნეტა დამეჯერებია შენთვისო.

კარტის თამაშს ხშირად ესწრებოდნენ და მონაწილეობდნენ კიდეც ამ თამაშებში აბაშიძე, სიმონ წერეთელი, დავით წერეთელი და სხვები. სიმონი ფაიტონით ჩამოდიოდა ხოლმე წინქვალიდან, დარბაისელი, წვეროსანი კაცი იყო.

გრიგოლ მაჭავარიანი კი ღარიბი იყო, კარტის თამაშში არ ერეოდა-ნარდზე იყო გადასული და სულ ერთთავად "ჩალიაქეს" გვიძახოდა...

ეროვნული ბიბლიოთეკა



ამასობაში კიდევ წამოვიზარდე. დადგა 1916 წელი და მე, 18-ოდე წლის ბიჭი ქურთისტანში გამიწვიეს, სადაც რუსის ჯარი თათრის ჯარს ებრძოდა.

ჩვენი ჩასვლა და ამ დღეში ფრონტის მოხსნა ერთი იყო. და აი რატომ: ჩვენ გვყავდა სახელგანთქმული მეთაური, უბადო ვაჟკაცი - გვარად გარადფხაძე, რომელმაც სანიმუშო ქართული პოლკი შექმნა, ყველას კახური ქუდები დახურა და ხმა დააგდო: ჩემი ჯარი ეკალს ჭამსო... შეშინდა თათარი. ისარგებლა ამით გარდაფხაძემ, მტერს სამი მხრიდან ალყა შემოარტყა და ფრონტს მოსწყვიტა.

დატყვევებული თათრობა თბილისში გაგზავნეს მუშებად.

თათრების მოწინავე ნაწილმა კი ამ დროს ბათუმი აიღო...

გრძელდება ფრონტი: ანჯლიის ციხესა და მის მისადგომებში ვართ. მტერი გვიტევს, საშველს არ იძლევა, - ერთის მაგიერ ხუთი ქართველი კვდება...

- გამოდით, - გვიბრძანეს ციხეში გამომწყვდეულ ქართველებს თათრებმა.

გამოვედით და... ყველანი ტყვედ წაგვიყვანეს.

ორი თვეს ვიყავით მაათან და მხოლოდ სოიის სუპით ვსაზრდოობდით.

ჩემთან ერთად მაშინ იქ იყვნენ - ქორეთელი ვალიკო ლობიძე და დედაჩემის ძმისშვილი კოწია ქამუშაძე.

ამასობაში ფრონტის ხელმძღვანელობას შორის ტყვეების გაცვლის თაობაზე მოლაპარაკება გაიმართა. გადაწყდა - სათათრეთში მყოფი ქართველი ტყვეების თბილისში მყოფ თათრის ტყვეებზე გაცვლა.

ასეც მოხდა.

გაცვლისას ისინი ახალი ტანისამოსით შემოსეს და ისე გაისტუმრეს შინ. ჩვენ კი რაც გვეცვა და გვებადა, ისიც გაგვხადეს და შინ - ბათუმიდან ბჟინევში - ფეხშიშველი ამოვედი.

ეს იყო 1918 წელს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

- იცნობდით თუ არა წინასწარმეტყველებათა წიგნს "ეფრემვერილს"? და თუ იცნობდით, გვითხარით, რა გასწავლათ მან და თუ გასწავლათ - გააფართოვა თუ არა თქვენი წარმოდგენითი პრიზმები წინასწარმეტყველებისა და ფილოსოფიის სფეროში? იყენებთ თუ არა ამ წინასწარმეტყველებებს ცხოვრებაში? რამდენად არიან ეს წინასწარმეტყველებანი სარწმუნონი?

- არ წამიკითხავს, მართალი გითხრა.

- სმისა და ქეიფის ტრადიციები რევოლუციამდელ მეინევში: დაკარგა თუ არა მან თავისი ეშხი, სილამაზე, სიდარბაისლე?

- უკეთესს, მაშინ რომ იყო, დღეს სად ნახავ: ღვინო თუ დროსტარება, ხალხი თუ საზოგადოება, მართლაც რომ სანიმუშო და სამაგალითო იყო ყველგან.

ნამუსი, თავდაჭერილობა, მოთმინება, სიდარბაისლე - ყველა ამ ხალხის თვისებას შეადგენდა.

ღარიბულ, მაგრამ ტკბილ სუფრაზე მუდამ "მეშური", "სუფრული", "მრავალჟამიერი" და სხვა სასიყვარულო სიმღერები გუგუნებდა, რასაც ალბათ დღევანდელი მაგიდები ვერ დაიტრაბახებენ.

- რა აზრისა ხართ მზეზე?

- მზე ნეტა ახალი იყოს. თავის დროზე წვიმაც კაია მარა, ახალა სულ არ გვჭირდება იგი.

მუშაობა არ შემიძლია, მარა მზე რო იყოს, ჩავალ ვენახში - ლერწს მაინც შევავლი.

ერთი იმხელა ტოტი მოტეხა წელს ჩემს კაკალზე თოვლმა, დეგენანება. სათონის თავზე იყო გადმოშვერილი ეს ტოტი, ფოთოლი ესხა, დათოვა, დამძიმდა, ვეღარ გაუძლო - მოტყდა და პირდაპირ მიწაზე დეენარცხა, სათონე კი არ დაზიანებულა.

– სამართლიანად იქცევა თუ არა ბუნება, როცა ის ნაადრევად უსწრაფებს სიცოცხლეს ვაჟკაცს, ახალგაზრდას და პირიქით – სიცოცხლეს უნარჩუნებს გაიძვერას, ავსულს, ყოველგვარის მანკით დამძიმებულს?

– მეტი უბედურება რა იქნება – კაცი რო გენდურება და მაინც ის კვდება. მარა თუ კაცი გძულს და ის რჩება, ეს მართლა უბედურებაა და მეტი არაფერია.

ღმერთი იმას არ არჩევს – ვის კლავს და ვის არჩენს ამ ქვეყანაზე.

– რომელი ადამიანის /ნათესავი, ახლობელი, მეგობარი, თანამებრძოლი/ დაკარგვამ დაგწყვიტათ ყველაზე მეტად გული ისე, რომ დღესაც არ განელებულა გულში ეს სინანული?

– ახლობლებიც არიან. დისშვილი – ვალოდია ქამუშაძე ჯარში მომიკვდა; მეორე დის – ანეტასი და მისი ქმრის ზაქარია ქამუშაძის ვაჟი კოწია ბათუმში მილიციაში მუშაობის დროს მოკლეს, ვითომდა შემთხვევით გავარდნილი ნაგანით.

კაი ვაჟკაცი იყო, კაი ჩაცმა-დახურვაც უყვარდა და ეს ეხამებოდათ მათ.

– რომელი ქართული სიმღერები გიყვართ? მღერიხართ თუ არა თქვენ თვითონ?

– სიმღერა ყველა კაი იყო... რო დასცხებდნენ, ბავშვები მაშინვე კარებთან მივიყუჟებოდით და სმენად ვიქცეოდით. ქალები დაირას დოუკრავდნენ, ჩაღდებოდა ცეკვა, თამაში, მხიარულება, იყო ერთი შეხუმრება, სიცილ-კისკისი, ასე და ამრიგად ატარებდნენ დროს თავიანთ სტუმ-

რებთან, ახლობლებთან, შინაურებთან და ტოლ-მეგობრებთან ერთად.

ახლა რო არის - ყველაფერი ერთიმეორეზეა დახვავებული: რა გინდა სული და გული დღევანდელ სუფრაზე არ იყოს... მაშინ ხორცი იყო მხოლოდ ნაგიდაზე - მოთლილი და ჭამდი...

- რა მისცა ხალხს სარწმუნოების უარყოფამ? რა შეიძინა მან ან უარყოფით ან რა დაკარგა ? ღირდა თუ არა საერთოდ რელიგიის შენარჩუნება?

- რა დაკარგა?... მღვდელს რო დეინახავს ბოვში, აგინებს, ისეა ხალხი გადაგვარებული დღეს...

ლოცვა ნამდვილად უნდა იყოს, ის საჭიროა.

ქალებს უფრო სწამთ ღმერთი, ვიდრე მამაკაცებს. მეც მწამს, რასაკვირველია, ყოველდღე ვიწერ პირჯვარს.

- ებრაული სარწმუნეობის ერთი პუნქტი ამბობს - "მკვდრეთით აღდგომა ჭეშმარიტებააო", - დაასაბუთეთ იგი.

- ასე ბოვში თუ იტყვის, თორემ ადამიანი რო აღდგარიყოს, ჯერ არ გამიგონია და აწის რა ვიცი...

- და თუ ეს სინამდვილეა ან შესაძლებელი მაინც, მაშინ უშუალოდ რომელი უახლოესი ადამიანის მკვდრეთით აღდგომას ისურვებდით, რათა ხელახლა გეხილათ იგი?

- მაგას ამოირჩევ კაცი?... ჯერ ალბათ შენ თავს უსურვებდა კაცი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაცოცხლებას, მკვდრეთით აღდგომას, მერე ყველა შენს ახლობელს. ახლა ზოგიერთი მეზობელია, დღესვე მოკვდებოდეს იმას ვინატრი, თორემ ის რო გაცოცხლდეს, რათ გინდა...

- სამყაროს სასრულობისა და უსასრულობის საკითხი თქვენეული გაგებით.?

- ცნობილია, რომ საკოლმეურნეო წყობილებამ სოფელი დაშალა და ნაცარმტვრად აქცია ღალიან-ბარაქიანობა მისი საკუთრების საზოგადო-ებრივმა ფორმამ და ანაზღაურების საკოლმეურნეო სისტემამ ამ დონემდე მიიყვანა იგი.

აღარ არიან შენისთანა და შენი უფროსი ძმის - კოლია დარბაი-ძისთანა ერთგული, მუყაითი და საერთო-საკოლმეურნეო საქმისთვის თავ-განწირული ადამიანები.

თქვენ ხომ საკუთარი მარჯვენით, ხარით, გუთნის ტარით ემსახურე-ბოდით ქვეყანას, სოფლად საკოლმეურნეო წყობილების განმტკიცების სა-ქმეს; ამ საქმეს შეაბერდით ორთავენი და ამ საქმის აღსრულებაში გა-ჭაღარავდით...

- კოლია დარბაიძე, მართლია, სიცოცხლეშივე იყო დაფასებული სო-ფლად, მაგრამ ის ორიოდე კაპიკი, რომელიც ფრონტზე შვილის დაკარგვის საზღაურად ჰქონდა დანიშნული, ოდნავადაც ვერ ანაზღაურებდა ამ დიდ დანაკლისს, მის ამაგს, - ქვეყნიერების სასიკეთოდ გაღებული ბედნიე-რების დასტურით...

მიბაძეთ ძმებ დარბაიძეებს ყველაფერში - გვეტყოდა ხოლმე პაპაჩემი იპოლიტე ვართაგავა - შრომაში, პატიოსნებაში, სტუმართმოყვარეობაში, მიბაძეთ და იყავით სანიმუშონი ნათსავით და კარგნი.

ვუსმენდით საუკუნის თანატოლი კაცის ამ შთაგონებას ჩვენც, ვუსმენდით და... ვცდილობდით ვყოფილიყავით ნათსავის სანიმუშონი და კარგნი.

სამწუხაროდ საზედმწიფო ერთგვარ გულგრილობასა და ინდეფერენტულობას იჩენს ასეთი ვაღნოხდილი და ნაშრომიძალიანების მიართ და ცდილობს ნიაგოს ბოროტი - სიკეთისა წილ და არა პირიქით,

ასეა ეს დადასტურებული ჩვენ სინამდვილეში.

ეს ის დროს, როდესაც კოლია/ნიკოლოზ/ დარბაიძის ძეგლი აქ - ამ სერზე უნდა იდგეს და მსოფლიო სივრცეებს გადაჰყურებდეს.

რითაა ყოველივე ეს განპირობებული?

— როცა ვმუშაობდით, გვაფასებდნენ და კაი სახელიც გვქონდა მოპოვებული. არაფერს ვახდენდით და ქე ვუყვარდით ხალხს; რამეზე მივიდოდით, უარს არ გვეუბნებოდნენ... მედლები ბევრი მოგვცეს და მეტი რა გვინდოდა.

კოლექტივში დღიდან მისი დაარსებისა ვმუშაობდი და ხანდახან ახლაც ქე ვმუშაობ. რაც ჯარში არ ვიყავი, დანარჩენი დრო სულ იქ გავატარე... შარშანწინაც მქონდა ნაკვეთი მოსავლელად და სიმინდის კაი მოსავალი მოვიწიე.

- რამდენადაც ვიცით, ქვეხეთქილაში /წანკოტაძეების კარზე/ სავენახე მიწა ჩვენი ყოფილი ნამულისათვის, შენი და შენი უფროსი ძმის კოლიას მიერაა გადაბრუნებული - გასული საუკუნის ბოლოს და ჩვენი საუკუნის პირველ ათწლეულში. ეს ის დროს, როდესაც მამუა იპოლიტე ერ-

თერთი უძლიერესი ფეოდალის, კულტურული და სახელმოხვეჭილი ოჯახის მე-პატრონის ალექსანდრე ნიკოლოზის ძე აბდუშელიშვილის სიძე გახდა. და ხელი მიჰყო ვემ იმერეთში მისთვის ჯერ კიდევ უცხო და შეუჩვეველ გარემოში, მეურნეობის მართვას. ეს მაშინ, როდესაც ის, რუსულ-ქართულ ლიტერატურულ ტრადიციებზე აღზრდილი, სოფლის მეურნეობის საკითხებში სრულ დილეტანტობას იჩენდა. მოკლედ რომ ვთქვათ, სოფლის მეურნეობის ბევრი არა გაეგებოდა რა.

საინტერესოა როგორი იყო "ქვახეთქილას" მიდამოები იმ დროს - ეკლიანი, გატეხილი ყანირი, ნასვენი მიწა, სათიბ-საძოვრები?...ვის

ეკუთვნოდა იგი მკონევში ჩვენი ბაბუის - იპოლიტე ვართაგავას ჩამოსლამდის და მრავალი მისთანანი. ერთი სიტყვით, გვიამბეთ, თქვენ ამ დასმული კითხვის გარშემო, რასაკვირველია, ყოველგვარი შელამაზებისა და მიკერძოების გარეშე: წარსულის სინამდვილე - ფაქტებით დადასტურებული.

- ქვახეთქილაში თქვენი სავენახე მიწა ქორეთელი ილიკო და ტარასი შარვაძეების მიერ გადაბრუნებული.

მანამდის ეს ადგილი ჩირგვნარი და ეკალ ბარდიანი იყო. წნელს თუ მოჭრიდი და მეტს ვერაფერს.

სავენახე მიწის გადაბრუნების დროს იქ იმდენი ქვა და ლოდი ამოიღეს, რო ძლივს გეიტანეს ხარებით და ვენახს ყორეთ შემოავლეს.

მერე ვენახი ჩაყარეს და კარგი მამული გააშენეს. ხანდახან ჩვენც ვმუშაობდით აქ.

ერთი ასეთი მორიგი დამუშავების დროს, როდესაც ეს მიწა იპოლიტემ მე და ჩემ ძმას კოლიას სანახევროდ გაგვიპირობა, იმდენი მოსავალი მოვიწიეთ, თქვენთანაც ბლომად დავწურეთ და ჩვენც ბევრი გვერგო ტკბილით სახით, 16 კოკა სუფთა წვენი. ასევე დაგვითმო იპოლიტემ მიწის გადაბრუნებისას მოპოვებული ჯირკი და საშეშე მასალა, რომლითაც ჩვენ ურმებით სახლებში ვეზიდებოდით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

– საიდან და რა დროიდან არიან გადმოსული წინაპრები თქვენი ბჟინევში? ვინ იყო ამ გადმოსახლების მოთავე და რით იყო იგი განაპირობებული?

– ბჟინევში გადმოსვლამდის წინაპრები ჩენი, მათ შორის მამაჩემიც, კალაურში ცხოვრობდნენ. ის იყო მათი ძველთაძველი კერა და საცხოვრებელი, მაგრამ რატომღაც მამაჩემს იქაურობა უარყვია და აქ გადმოსულა საცხოვრებლად. მაგრამ უშუალოდ როდის, რა დროიდან, რომელ წელს, ეს ჩემთვის არაა ცნობილი და არც დავინტერესებულვართ გაგვეგო იგი მამაჩემისაგან.

დედაჩემი, საირხელი გელბახიანის ქალი, პატარა, მაგრამ გამრჯე და მშრომელი ადამიანი იყო, გომიჯის საუკეთესო ოსტატად ითვლებოდა სოფლად, და-ძმის: ანეტასი და კოლიას ერთობლივი ნათლია კოტე მუღუაშვილი აკაკი წერეთლის მოურავიც, ხშირად უკვეთავდა ხოლმე გომიჯს, მეტწილად შორეულ მგზავრობაში წასაღებად.

რაც შეეხება ჩემს კიდევ უფრო შორეულ წინაპრებს, რომელთა შესახებაც მე არაფერი ვიცი, როგორც მოგახსენე, კალაურში ცხოვრობდნენ, აქ არ გადმოსულან, იქვე აღესრულენ და იქვე არიან დასაფლავებული.

– როგორი ურთიერთობა გქონდათ ძველად უბნის პრივილეგიურ კლასთან აბდუშელიშვილებთან მეზობლობისა და კავშირურთიერთობის თვალსაზრისით? რით გამოირჩეოდნენ ისინი? რა ნაკლი ახასიათებდათ?

– უკეთესს ვერ ინატრებდი. მამაჩემი გამორჩეული ვაჟკაცი და აღიარებული ღვინის მსმელი იყო. სამსონ აბდუშელიშვილი რო სადმე წვეულო-და, აუცილებლად ის უნდა წაეყვანა ტოლუმბაშად, სხვა არავინ, ასევე კოტე აბდუშელივშილს /მუღუაშვილის/ – აკაკის მოურავს და, სხვებს...

ერთხელ კოტეს წოუყვანია მამაჩემი საქეიფოდ. ტოლუმბაშად ოუყენებიათ და კარგადაც გაძღოლია საქმეს. სუფრის დამთავრებისას მამაჩემს სამლიტრიანი დოქი მოუთხოვია, ღვინით შეუვსია, აუწევია და უთქვამს: I- ჩვენს წასვლას, თქვენს დარჩენასო, - და დოქიც გამოუცლია.

ჯილდოდ წყვილი ყანწი მოურთმევია მასპინძელს მამაჩემისათვის, რომლებიც დღემდის არ დაგვიკარგავს - კოლიას ოჯახში არიან შენახულნი.

მამაჩემს წვერი ჭიპამდის სცემდა, ცხენზე რო ჯდებოდა, უსათუოდ ქამარში ჰქონდა ჩატანებული - იმ სიგრძე იყო იგი.

- როგორი დაგამახსოვრდათ ბაბუა ჩვენი - იპოლიტე პეტრეს ძე ვართაგავა ბუინევში მისი ჩამოსვლის პირველ დღეებში?

- მისი ახალგაზრდობა არ მახსოვს, პატარა ვიყავი.

- რას იტყვით ჩვენი სახლის აშენების შესახებ? ვინ იყვნენ ხუროები, ოსტატები, დურგლები, მუშები?... რაიმეს ხომ არ გაიხსენებდით ამ ადამიანებთან ურთიერთობების შესახებ?

- თქვენი სახლის აშენება მახსოვს. ქუთაისელი კაცი იყო ერთი დურგლად, სულ მასთან ვიყავი; უყვარდა ბოვშებთან გამოლაპარაკება... ხილს გაგვატანდნენ ხოლმე მშობლები და მიგვქონდა მასთან.ისიც სიამოვნებით ღებულობდა მათ.

- რას იტყვით სამსონ აბდუშელიშვილის სახლის დაწვის შესახებ? სად იყავით თქვენ ამ დროს და თუ იღებდით მონაწილეობას მის გადარჩენაში?

ეროვნული
ბიბლიოთეკა



- სამსონის სახლის დაწვის მიზეზი ვერ გეიგეს. ნატრონა იყო მაშინ იქ, მაგრამ საკუთარ სახლში ბინა არ მისცეს და დიმიტრისთან იყო შეფარებული.

არმოგენ, ეს სახლიც რმან დასწვათ.

სამსონის სახლთან ერთად დეიწვა და განადგურდა თუ რამე ეწყო და ელაგა ოთახებში, დარბაზში, პალველებში. მათ შორის, დაშლილი და ასაწყობად გამზადებული მიხაკო აბდუშელიშვილის სახლიც, მონადირე ძაღლები და მგონი ყრენებიც კი.

სამსონის სახლს ალექსანდრე ჩლაჭა დარაჯობდა იმ დროს და ცეცხ-ლი რო გოუჩნდა, თავპირში ხელებს იცემდა და ყვიროდა: - დამხვრიტა-მენ, დამხვრიტამენთ... მაგრამ არ დოუხვრეტიათ - კი.

- გახსოვთ თუ არა სამსონის გარდაცვალება - დაკრძალვის ცერემო-ნიალი? და თუ გახსოვთ, შეძლებთ თუ არა აღადგინოთ ფრაგმენტები ამ ცერემონიალიდან?

- ვიყავი მაშინ იქ: ბრინჯი და თევზი ბლომად ელაგა მაგიდებზე, რომლებიც პალველებში იყო გაშლილი.

ცუდი ანინდი იდგა.

ციოდა.

გამვლელ-გამომვლელნი - ქალი თუ კაცი, ბავში თუ მოხუცი, ყველა აქ შემოდიოდა; დასხდებოდნენ, ჭამდნენ ქელეხის პურს და უკან ბრუნ-დებოდნენ.

სამსონი კეთილი კაცი იყო. ბევრად ჯობდა ნატრონას, მის ცოლს. ნატრონა, ფეხს თუ არ გეიხდიდი, ისე არ შეგიშვებდა სახლში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

- სოფელში იმ დროს მრავალთა შორის ორი გამორჩეული ადამიანიც იყო: ვოლოდემარ ქაჯაია და სანდრო აბდუშელიშვილი. რა შეგიძლიათ თქვათ თქვენ ამ ადამიანების შესახებ მათი ღირსების, განსწავლისა და ადამიანობის თვალსაზრისით?

- ქაჯაიები უკეთესები იყვნენ. ვოლოდემარი სულ სიცილით გვხვდებოდა, ასევე სანდროც, ვოლოდემარის მამა, გარეგნულად ლამაზი და მოხდენილი კაცი, რომელიც პატარა წვერს ატარებდა სულ მუდამ, შეხვედრებისას კომშების გარეშე არ გაგიშვებდა, უსათუოდ მოწყვეტდა და დაგასაჩუქრებდა.

ასეთი ადამიანები რო იყვნენ დღეს, მილიცია რათ გინდა.

მოზრდილი წვერი დიმიტრი მღვდელსაც ჰქონდა. ჭაბუკობისას მე ეს ადამიანი ურმით დამყავდა მავხოვის ეკლესიაზე ქრეთში, სადაც ის მღვდლობდა და თავის მრევლს მსახურებდა.

- ხოლო უპატიოსნესთა და უნეტარესთა შორის თქვენი ძმა - კოლია დარბაიძეც იყო. რას იტყვით თქვენ ამ ადამიანის შესახებ? როგორ დაახასიათებდით? როგორ განიცდიდით მასთან სიახლოვეს, როცა ის ცოცხალი იყო და პირიქით - განიცადეთ მასთან განშორების მტანჯველი მელანქოლია? არის თუ არა საერთოდ იგი დიდი დანაკლისი თქვენი ოჯახისა და მთელი თქვენი გვარეულობისათვის?...

- მე კი არა ყველა ახასიათებდა მას, როგორც გამრჯე, მშრომელ, პატიოსან ადამიანს... მე ჯერ მისი მაგინებელი, მასზე აუგის მთქმელი თვალით არ მინახავს...

კაცს რო უჭირს, მაშინ კია არ უნდა უთხრა - იყავი ეგრე, ღირსი ხარო, პირიქით - უნდა მიეხმარო, აწუგეშო და გასაჭირში არ მიატოვო, კაცობა ესაა, მეტი რა არის.

ეროვნული ბიბლიოთეკა



კოლიას დაკარგვა მართლა დიდი დანაკლისი იყო ჩვენი გვარის, ახლობლების და მეზობლებისათვისაც კი.

გვარი მარტო რა შუაშია.

- რას იტყვით მეზობლობის შესახებ? არის თუ არა ნამდვილად ის "სინათლე თვალის", როგორც ეს ქართულ ლექსებსა და მეტაფორებშია დადასტურებული?

- ეს იმ შემთხვევაში, თუ მან მართლა მეზობლობა და ადამიანობა გაგიწია. ამ დროს მეზობელი ძმასაც კი ჯობია. მაგრამ ზოგი მისთანაა, რათ გინდა, კაცო...

- რა დამოკიდებულებაში იყავით ითხვისელ ნადირაძეებთან? რით გამოირჩეოდა ეს ხალხი წარსულში? რა დადებითი ან უარყოფითი მხარეები გააჩნდა მთელ მათ გვარეულობას?

- ისინი ძალიან ალალმართალი, მშრომელი და პატიოსანი ადამიანები იყვნენ. სულ თქვენთან იყვნენ, კაცები მიწას მუშაობდნენ, ბოვშები ცხვრებს მწყემსავდნენ...

უკეთესს, ისინი რო იყვნენ, სამეზობლოდ ვერ ნახავდი. მათი წინაპრებიდან მახსოვან - ლუარსაბი, ალსანი, ამბაკო, კოლია.

ლუარსაბი ბაგრატის მამა იყო, გრიშას ბაბუა, ასლანი ჯოგიტას ბაბუა; ამბაკო - გივის ბაბუა; კოლია - აპექსის მამა.

- ჩვენი ერის ისტორიულ პირთაგან /თამარ მეფე, გიორგი სააკაძე, დავით აღმაშენებელი და სხვა/ რომელს გამოარჩევდით? რომელს აფასებთ

ყველაზე მეტად და რომელი გიყვართ სახელისა და დამსახურების მიხედვით? და მეორეც - იცნობთ თუ არა დედაწიგნს, ერის მატიანეს - "ქართლის ცხოვრებას"?...

- ეგენი, კაცო, დაფასებული ხალხია. მე როგორ უნდა ვთქვა მათზე - გლახები არიანო...

- რომელი ქართველი ან უცხოელი მწერლის ნაწარმოებებს კითხულობთ საერთოდ, და თუ კითხულობთ - რას იძლევიან ისინი თქვენთვის ახალს? გაიძულებენ თუ არა თქვენ ამ ნაწარმოების გმირები, როცა ისინი "დადებითები" არიან: იყოთ მათსავით სანიმუშონი, მიუხედავად იმისა, რომ თქვენ ისედაც სანიმუშო და ყველასათვის მისაბაძი ადამიანი ხართ?

- არცერთი წიგნიც არა მაქვს წაკითხული, სკოლაში არასოდეს მივლია, წიგნთან რაიმე კავშირურთიერთობა [illegible] არ მქონია, გითხარი.

მხოლოდ წერა - კითხვას ვახერხებ და იმასაც გაჭირვებით, რომელიც მე ქიათურაში ჩილინგარიანთან მოსამსახურედ ყოფნისას, ერთმა ჩემსავით მოსამსახურე და პატიოსანმა გოგონამ მასწავლა. შემდგომში მე ეს "სწავლა-განათლება" ჯარში ყოფნისას კარგად გამოვიყენე.

- ძველად გართობის ერთერთ სახედ სოფლად "თემობა" ითვლებოდა. გართობა-დასვენებისა და ახალგაზრდობის აღზრდის თვალსაზრისით მას, მართლაც, დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. დღეს "თემობაზე", რასაკვირველია, უკვე აღარ ლაპარაკობენ - თანამედროვე ეპოქამ ერთიანად მოსპო იგი და გადაავიწყა ადამიანებს.

არის თუ არა სავალალო ის ფაქტი, რომ კულტურული ყოფის ეს არტისტული ფორმა დღეს აღარაა და არც აქვთ არავითარი წარმოდგენა მის

შესახებ, განსაკუთრებით - ახალგაზრდობას.

— დიდველი მინდვრად იყო გაშვებული მაშინ, არ იხვნებოდა და იქ იკრიბნენ თემობა. ქორეთისა და მუხნევის მთელი მოსახლეობა იყრიდა თავს. იყო დაირის დაკვრა, ცეკვა, თამაში, ჭიდაობა...

მერე ციგნებიც გამოჩდნენ აქ /ედგათ/ პალატკები და ეწეოდნენ მკითხაობას.

- მიგიღიათ თუ არა ყეენობის მისტერიულ სვლებში მონაწილეობა? რაში მდგომარეობდა ან მსვლელობის /მისტერიის/ არსი?

- ყეენობა იკრიბნენ ყველიერის დოურწყების მეორე დღეს - შაოშაბათს ეძახდნენ.

შეიყრიდნენ თავს ითხვისელი ნადირაძეები და აქაურები...

ზურაბის მამა, გრიგოლ წერეთელი გამოეწყო ერთხელ ყეენად: თავზე ცხვრის გუდა დეიხურა, ხელში ჯოხი ეილო და ამალასთან ერთად სოფლად ჩამოიარა.

ყეენი მობრძანებულა, ყეენი მობრძანებულა, - ამ სიტყვებით ეგებებოდა ხალხი ყეენს და მის ამალას და თან საგულდაგულოდ წამოღებულ ტიკებს და დოქებს ავსებდნენ ღვინით, ათასნაირი სახის ხილსა და პროდუქტებს ვაშლს, მსხალს, ყველს გვაძლევდნენ და დაზურგულებს გვისტუმრებდნენ შინ.

მერე ერთგან, დოუშვათ - სოფლის გზასაყართან, ჩვენი და მეზობელი სოფლის ან უცხო მხარის ყეენი ერთმანეთს დეეჭიდებოდნენ და რომელიც წეიქცეოდა, მთელი ავლადიდება გამარჯვებულისათვის უნდა გედეეცა.

ასე მოვხვდით ერთხელ ზედაზეინეველ ვასილ ამდუშელიშვილის ოჯახში. გეეხარდა ვასილს; ჩვენს ხორაგს, ღვინოს და ავლადიდებას თავისი ღვინო და პურმარილი მოუმატა და გეიშალა სუფრა. დილამდის ლხინი არ

ეროვნული
ბიბლიოთეკა



შეწყვეტილა.

სუფრას გამარჯვებული ყეენი - გრიგოლ წერეთელი თანადობდა.

- ჩვენში ახლაცაა შემორჩენილი ადგილმდებარეობის აღმნიშვნელი სახელწოდებები და ტერმინები, როგორიცაა - "მირიტოული", "პარკიასეული", "ღარტაფი", "მოსტანა", "ქვარნალა" და მრავალი სხვა. ვერ გვეტყვით, საიდან არიან ეს სახელწოდებები წარმოშობილნი და უშუალოდ რა მოვლენებს, ცნებებს უკავშირდებიან ისინი? ვინ იყვნენ რევოლუციამდელ ბეკინევში ამ ადგილების ნამდვილი მეპატრონენი?

- ვინ იცის... როცა პირველად გაჩნდა აქ ხალხი, ალბათ მაშინდელი დარქმეულია ეგ სახელები.

- შეგიძლიათ თუ არა განმარტოთ კერიის არსი?

- კერია იყო მაშინ, ბუხრები არ იცოდნენ. კერია ასე იყო მოწყობილი: ქვა იდო ძირს ბრტყელი, აქეთ-იქითაც ქვები ქონდა ბრტყლად ჩასობილი. ამ ჩასობილ ქვებს შუა დაუჩეხელ შეშას დებდნენ და ვეცხლს ანთებდნენ; კვამლი ჭერში ადიოდა. გარშემო კი ხალხი ვუსხედით.

დაჰკიდებდნენ მერე ზემოთ ვიჩინას და კვამლში ქარვასავით გამოდიოდა.

- მიწა: როგორ გესმით თქვენ ამ სიტყვის არსი? ან თქვენ წინაპრებს როგორ ესმოდათ იგი, - წინაპრებს: მხვნელ-მთესველთ, გუთნის ტარის მესაჭეებს?

- ისაა ჩვენი მარჩენალი.

– ვის ნამი, ხარის ქედი, კაცის მარჯვენა, დედამიწის მოსავალით, ასეა დღემდის შემორჩენილი ჩვენი ტრადიციული ხელოვნების არსენალში ეს ნებად მნიშვნელოვანი და მრავლისმთქმელი სადღეგრძელო, რასაც საერთო-ში ნადლი ეწოდების.

რას იტყვით თქვენ ამ სადღეგრძელოს შესახებ, გესმოდათ თუ არა უწინ, ან ვის მიერაა შემოტანილი და დამკვიდრებული ჩვენში?

—ქართველები ნადას პირველ სადღეგრძელოდ სვამენ.

–ვენახის შესახებ რაღას იტყოდით?

– ვენახი ყველაფრის ჯობია.

– გუთნის დარის შესაქე ხარო. მთელი თქვენი სიცოცხლე ამ სა-ქმით გიკვლევიათ გზა, რისით გიცოცხლიათ და გიარსებნიათ – დღემდის.

მაგრამ სადაც გუთანია, იქ მუდამ ხარი იგულისხმება. გამიგებთ: ხარის შესახებ მინდა გელაპარაკოთ.

მან ხომ კაცობრიობის გაჩენის გარიჟრაჟზე ადამიანის გადარჩენა ითავა და აღასრულა კიდეც ეს დიდებული მისია მან პირნათლად, რისთვი-საც ანგელოსებმა რქებზე წმინდა სანთლები აუნთეს მას.

თავის მხრივ, ადამიანმაც საკადრისი პატივი მიაგო ხარს ერთ დროს აამაღლა პოეზიაში და შექმნა მისი ტაძრული და ფრესკული გამოსახულე-ბების მთელი გალერეა.

დიახ, ხარმა გვატარა ჩვენ აღზევანს, ხარმა გვიზიდა ციხე-ტაძა-რთა ასაგები ქვები, ხარმა გაავლო პირველი ხნული ყამირში და ადამია-ნმაც არსობის პირველი თესლი ისროლა მერე იქ.

დღეს კი, როდესაც ადამიანთა ეს უპირველესი მარჩენალი და ნუგეში – ხარი აღარაა და არც ვინ აღავლენს მის სადიდებლად ხავედრის ლოცვებს, მიგაჩნიათ, რომ იგი დიდი დანაკლისია ჩვენთვის და მის უარყოფას, იგნორირებას რაიმე განსაკუთრებული სიკეთე არა მოუტანია რა ადამიანისა და საერთოდ კაცობრიობისათვის?

– ხარი იყო რაც იყო. ხარი ვისაც არ ყავდა, დავეწული იყო ის ძღეხი.

სანამდე შემეძლო მოვლა, მეც მყამდა და მეც ვყოლიობდი... მარა ახლა?

ხარებიდან ჩემსას ერთს ერქვა ყვავილა, მეორეს –ღვინია, მესამეს ჯორა... ყველა არ მაგონდება. ხარები ყავდა ჩემ ძმებს ორთავეს, ხარების გარეშე ისინი არ დადგებოდნენ.

... განვიცდით, ვტირით ჩვენ მათ დაკარგვას, მაგრამ... სად არის, ვინდა დაგვიბრუნებს ამ დიდ დანაკლისს, ამ დიდ სასწაულს?...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ინტერვიუ

სიმონ

მურმანის ძე

ქამუშაძესთან

წინამდებარე ინტერვიუს გმირი — სიმონ მურმანის ძე ქამუშაძე, მიუხედავად ხანდაზმულობისა და ღრმა მოხუცებულობისა, დღესაც ჭაბუ-კურის ენერგიით განაგრძობს ცხოვრებას და ოპტიმისტის თვალით აფასებს თანამედროვეობას. მისი, როგორც ოპტიმისტისა და მეოცნების განმას-ხვავებელი ნიშანი სოფლის თანატოლთაგან, ესაა სულის კლასიკური დახ-ვეწილობა და საგნებთან და მოვლენებთან ღირსეული მისვლის უნარი.

ალბათ ეს ნიშნები განაპირობებს მის ხანგრძლივ სიცოცხლეს და კაცობრიობის მიერ ღმერთის ამოუხსნელი "წყეული საკითხების" მიმართ თავისებურ მიდგომას.

ინტერვიუს შექმნის წელს სიმონ მურმანის ძე ქამუშაძე იყო 85 წლის გასრულების მიჯნაზე და სოფლის საყოველთაო მასშტაბით ითვლე-ბოდა ყველაზე ხანდაზმულ ადამიანად.

აღნიშნული წლები მან მთლიანად შრომასა და შრომით რუდუნებაში გაატარა: იყო მეფის არმიის მეომარი /ავსტრია-გერმანიის ფრონტზე 1914-ან წლებში/, სოფლის მეურნე, მეხრე, მეველე, ოჯახის ტრადიცი-ების ერთგული გამგრძელებელი და ამავე ოჯახის ღირსეული მემკვიდრე.

შრომის საპატიო მისიას და ამ მისიის აღსრულებას იგი თავგანწირულად უთმობდა მისთვის დიდად საინტერესო და საყვარელი წიგნების /"ვეფხის-ტყაოსანი", "ბუნების კარი", გოგებაშვილის "დედა ენა", ეფრემ მღვდელი და მრავალი სხვა/ კითხვას და ეწეოდა მერე ამ წიგნების პოპულარიზა-ციას, უმეტესად დაბალი რანგის მასებში.

სამწუხაროდ ამ მშრომელ, პატიოსან კაცს მამაპაპეული ფუძის გან-მგრძობი არავინ ჰყოლია, საამისო სიხარული მას არასოდეს ღირსებია. ეს გარემოება კი, როგორც ვიცით, ღრმა ტრაგიკული მოვლენაა ქართველი კაცის ცხოვრებაში, მით უფრო მაშინ, თუ ის ამ ფუძის ერთგული მსახურია და, რომელშიდაც ბევრს ალბათ არაერთი ლამაზი წლები და ოცნებები ჩა-უქსოვია.

მიუხედავად ამისა, საუკუნეს მიტანებული კაცი თავის ღრმამოხუ-ცებულ მეუღლესთან ერთად ახლაც ერთგულად ეწევა ცხოვრების მძიმე ჭა-პანს, ჰკიდია გუთანს, უვლის ვაზს, ებრძვის ეგმონს, ზაფხულის მეც

წილს აფარებს ჩვარში გამართულ საბელფაბელო კარავში, ხშირად ცხე-ნის თუქალთოზე და მოყვალეობის ჟამს შეათიათასჯერ მაინც კითხულობს ხელიდან-ხელში, ხევიდან-ხევში, ნაგიებ, ძველ, ფურცლებშემოძარცულ წიგნს "ეფრემვერის" და ამავე წიგნის ფურცლებიდან ასკვნის, რომ კაცობრიობის არსებობა უნდა დასრულდეს ამ სტრიქონების დაწერიდან, სულ ცოტა — ნახევარ საუკუნეში მაინც.

ამ სიტყვებს იმ ერთნაირი გულაცებით ყვება ყოველი რანგის ადამიანის წინაშე და, საჭიროების ჟამს, ამხნევებს კიდეც მოულოდნელი ინფორმაციით გაბრუებულ ადამიანებს...

იგივე მომენტი გამოიყენა მან ზაფხულის იმ ღამეს და განუმეო-რებელი შეხამების ჟამს, როდესაც ცნობისმოყვარეთა დასი, რომლებიც ჩვენს შორის ნორმალური ურთიერთობის დამყარების საშუალებას არ იძ-ლეოდნენ, თავიდან ჩამოიშორა, მოკლედ უპასუხა ინტერვიუს მთელ შეთა-ვაზებულ კითხვებზე და ხალხს ჩვენ შორის ამით, რასაკვირველია, ბო-ლო მოეღო.

დამთავრდა წინასწარ ორგანიზებული და მართლაც იდეებული საქ-მიანი აუდიენცია.

ამასობაში ჩვენც ფეხზე წამოვიმართეთ. მასპინძელმა ერთს კარა-ვის გამოქვაბულისა, ბევრი ასარეფერი უძლებს — თავი დაგვიკრა, უკან გაცრიალდა და ხეხილის ბნელ ჩრდილში გაუჩინარდა.

წავიდა ის უდლებაარილი და დაღლილ-დაქანცული მეომარივით. წავიდა კაცი, რომელმაც მთელი თავისი ამმყო-წარსული, თავისი მომა-ვალი ჩვენ — მის მესაიდუმლეებს — ქართული მიწის ელეგანტურ კავალ-რებს გადმოგვაბარა.

რა დარჩა მისდა სანაცვლოდ უდლებაარილ და დაღლილ-დაჭანცულ მეომარს? — ორი ღრის შარასკევი, რომელსაც უკვე ალარაფერი აკავშირე-ბდა სინამდვილესთან.

ამიერიდან ის, როგორც პერსონა, თავის თავს აღარ ეკუთვნოდა.

1975 წელი. სოფელი ქორეთი.
ზაფხულის ვარსკვლავებიანი ღამე

1. რამდენადაც ვიცი, თქვენ უკვე კარგახანია ოთხმოცს გადააბი-ჯეთ. ეს ხომ მთელი საუკუნეა და საუკუნე თუ არა — მიახლოება მაინც საუკუნესთან. ამასთან დაკავშირებით მინდა გკითხოთ: მადლიერი ხართ თუ არა განგების, რომელმაც იმთავითვე თქვენი ხანგრძლივი და ჯანმრთელი სიცოცხლე ისურვა. — და თუ ხართ მადლიერი, როგორ ან რა საშუალებით გამოხატავთ მას.

პასუხი: მე ოთხმოცი წლისა ვარ და შარშანდელი ჩემი კიდევ არ მომწონს, ახლანდელი მომწონს... გადაცდომები არა მაქვს. განგების მადლიერი ვარ; კეთილს რო ფიქრობ, კეთილს შვებ, ბოროტს იფიქრებ, ბოროტს იშვი.

2. ამბობენ, ადამიანს ორი ბავშვობა აქვსო, ერთი, როცა ის მართლა ბავშვია და მეორეც, როცა ის ღრმადმოხუცებულობის სტადიაშია. თქვენ, რომელმაც განიცადეთ ორივე სტადია, სტადია — ბავშვობისა და სტადია — მოხუცებულობისა, მიგაჩნიათ, რომ ეს მართლაც ასეა სინამდვილეში.

პასუხი: სწორია. მოხუცი უფრო ბავშვია, მაგრამ ამასთან ბრძენიც... ახლა მე გული უფრო მაგარი მაქვს, არავითარი შიში ჩემში არ არის. გული მჩაღობს, გული არ მომდის. არ შევუშინდები, თუ გინდა ტყვიამფრქვეველი დამიდგან.

3. ისურვებდით თუ არა თქვენი სიჭაბუკის ხელახლა დაბრუნებას ე.ი. ასაკში როდესაც ადამიანი თავისი განვითარების უმაღლეს სტადიაშია.

პასუხი: არა, მიდიხარ, უნდა წახვიდე. მე გული არაფრისა არ მწყდება, ვნახე ყველაფერი, დრო რიგიანად გავატარე.

4. ბავშვი! არის თუ არა მასში ანგელოზი ჩასახლებული, როგორც ეს ჩვენს წინაპრებს, აღორძინების დროის მხატვრებს სჯეროდათ.

პასუხი: თითქოს სწორია... მამაჩემი იტყოდა ხოლმე, ადამიანი რო გაჩნდება, იმას ანგელოზი გაჰყვება. სანამ კეთილად ფიქრობ, იმას ანგელოზი შიგია მარჯვენა მხარეს; როცა ბოროტებას ფიქრობს,

მაშინ ემბაკი გადავა მარჯვენა მხარეს და კლდეზე გადარჩება. გუ-ბრძოლი კაც სულგულეთის ბრძოლად დარის.

5. როდის, რომელ წლებში, ჩვენი საუკუნის რომელ მიჯნაზე იყავით თქვენ ბავშვი ან მოზარდი, საუკუნის დასაწყისიდან როგორ გე-სახებათ იგი.

პასუხი: მძიმე სამუშაოზე გავედი 13 წლიდან, მადაროში ემუშა-ობდი ფორიაჩიკთან, დავდიოდი მადაროში ურემზე... ჯარიდან რაცან ჩა-მოვედი, მადაროში თითქმის აღარ მიმუშავნია, აქ ვმუშაობდი სოფლად.

6. როგორ აფასებთ თქვენს უახლოეს წინაპრებს, რა შექმნეს, რა გააკეთეს მათ შეფის, ოჯახისა და სამშობლოს საკეთილდღეოდ. დაასა-ხელეთ ისინი და მოუყევით უახლოესი წინაპრების თქვენეული მოჩრე-ცული გალერეა.

პასუხი: მამაჩემი ცხენს ღვემდვრია... რესტორანში მუშაობდა იოსებ ქამუშაძესთან. იოსებს კერძო რესტორანი ჰქონდა... მამაჩემის-თანა როფქი არავინ იყოდა. ყანაში რომ მუშაობდა, იქ ეძვა ხეები, მაწერინებდა და მასწავლიდა... მე რო ჯარიდან ჩამოვედი, ორ წელი-წადში მოკვდა 99-ში. ბაბუა არ მახსოვს, არც ბებია. მუშები იყვნენ.. ესაა მათი მარანი.

7. რას გასწავლიდნენ მშობლები, რას სიყვარულს ან სიძულვილს მთაგაგონებდნენ იმთავითვე.

პასუხი: პატიოსნებას. მამაჩემს რო ის გეეგო – რამე წამეხდი-ნა, თავს მომჭრიდა.

8. თქვენ თვითონ როგორ გესმით სამშობლოს მცნება.

პასუხი: სამშობლოს ვინც დაკარგავს, ის კაცია არ კარგა... ფუ-ცი რათ გინდა, არა რო თქვა – ის ენია იყოს სწორი. ზაქარია ილიკო-და – ესიცაცეს მამა: ბევრს ვინც იცისავს, ის ცუდათ, იყოდე – მითო ენია შეიცყოთ.

9. რა განსხვავებაა თანამედროვე ქორწილსა და თქვენი სიჭაბუ-კის დროინდელ ქორწილს შორის. რა დაკარგა ან რა შეიძინა ამბანის

მანძილზე სოფელმა.

პასუხი: თუ ჩამე წყვება თუ არა, არარაფერი მირთულდება; სამჩერით არსად არის; ბუნებრივი წყალი არსად არის. დომენტის ჰქონდა ასი ძირი ვაზი მოსახვეწელი კაკალი, დაქრის ხეც...

10. ყველაზე ულარიბესი ოჯახი თქვენს გვარში თქვენი სიჭაბუკის ჟამს. ვინ არიან დღეს მათი შთამომავლები.

პასუხი: ვინც არაფრის მესაკუთრეობა, ღარიბი იყო... სამსონმა გვიმეულა გაყოფამდე: მიმინოშვილის ვენახი, ცხვე და სახლი უნდა გაყოფილიყო... სახლი დაგვიწვეს მიმინოშვილისთან. ცხენი და მისის მოდავეებმა — ბიძაჩემებმა ქრთამში მისცეს სამასმანეთ ოქროთი მედიატორებს, მათ შორის დამწერს — 100 მანეთი. მედიატორებად იყვნენ — გიორგი კაპანაძე, გიორგი და მაქსიმე გულიაშვილები, მწერალი — აბ-სალომ აბდუშელიშვილი.

ერთ დროს ზაქარია მჭავარიანი იყო ჩვენი ვექილი...

სამსონ აბდუშელიშვილს კი კაპიკი არ ჰქონია ჩვენი ოჯახისაგან: ჩემი დედინაცვალი სამსონის ნაყმევის შვილი იყო.

ბიძაჩემმა — ანტონმა კი სამსონ აბდუშელიშვილიც მოატყუა... ასე, რომ კოკიაშვილებს დარჩათ ცხენის მეოთხედი ნაწილი. ეს მეოთხე-დი ნაწილი. ეკუთვნოდა ისევ აბდუშელიშვილის რძალს — ქვრივს დე-დარიანს.

ისვებმა უთხრა ჩვენებს, შეურიგდით თორემ ისეთი შვილები მჩრებიან, გაგაპროტესტებენ. მას შემდეგ დაიწყო საჩივრები.

11. ყველაზე მდიდარი.

პასუხი: კაცია ფარქოსაძე — გრიგოლ ფარქოსაძის ბაბუა. თავისი ნაშოვარი ჰქონდა ყველაფერი; ზაქარია ქამუშაძე კი თავისი შრომით იყო განთქმული. ბოლოს მიმას მამაც — დეკანოზი. მუშაობდა ქვაში და იქიდან გააკეთა ყველაფერი.

12. ყველაზე სახელოვანი ადამიანი თქვენი სიჭაბუკის დროინ-დელ ქორეთში, რით გამოირჩეოდა იგი.

პასუხი: კაცია ფარქოსაძე. მას სამსონ აბდუშელიშვილისაგან ჰქონდა სამი ძირმა ვენახი ნაყიდი. სოფლის მოსამართლედ იყო და ყოველთვის წინა კაცი იყო.

13. ვის ჯვარისწერებს დასწრებიხართ ქორეთის მაცხოვრის ეკლესიაში. დაასახელეთ ისინი, ვინ არიან დღეს მათი შთამომავლები.

პასუხი: ყველას ქვე ვესწრებოდი. ჯვარისწერები ხშირად იყო ხუთშაბათ და კვირა დღეებში. ჯვრისწერებს რო დაუთავებდით, ახალგაზრდები მაშინვე მივდიოდით იქ. იმ დროს ქორეთის ეკლესიის მღვდლად იყო დიმიტრი აბდუშელიშვილი. კარგი კაცი, სოფელში ტოლი არ ყავდა. ჯვრისწერისათვის თუმანი ქვე უნდა მიგეცა.

ჯვრისწერა ხდებოდა ასე: მაყრებს ეჭირათ გვირგვინები... ქორწინების მერე ნათლიად იწვევდნენ ჯვარდაწერილები.

მახსოვს დომენტი გუდაძემ რომ ჯვარი დაიწერა, დავითი კამანაძემ, კოლია შარვაძემ, პეტრე ჭიბორიამ /თხოვა კაცია ფარქოსაძის ქალიშვილი/. პეტრეს შვილი არის სარკინეთში მცხოვრები სიმონ ჭიბორია, ის გავს გარეგნულად კაციას.

14. რა რელიგიური დღესასწაულები იმართებოდა იქ და რა სახის.

პასუხი: ბიარების კვირა – დიდმარხვა რო დადგებოდა შაოშაბათის კვირაში, შაოშაბათიდან –თეოდორობამდე... ბიარება ხდებოდა სადღეგრძმოდაც. იქ მიდიოდა ბავშვიც, ქალიც და კაციც.

ხალხი ამ დღეს ერთმანეთს შემდეგი სიტყვებით მიმართავდა: გილოცავ ბიარებასო.

დიმიტრი აბდუშელიშვილი რომ აღარ იყო, პარმენ ყიფშიძემ დაიკავა მისი ადგილი. მღვდელს ყავდა დიაკვანიც, დიაკვანი კითხულობდა ლოცვანებს და გალობაში ეხმარებოდა მღვდელს.

იმ დროს სამღვდელოებაში მიღებული იყო და მოწინავეებად ითვლებოდა ქორეთის, წინქვალისა და არშეთის ეკლესიები.

ვინმე რო მოკვდებოდა, მღვდელს სამარხავები უნდა ჩაეტარებინა, ერთიდა-ილევე მკვდარს იგი მთელი წლის განმავლობაში სწირავდა... რაც უნდა დიდი სახადი ყოფილიყო, მღვდელი უნდა მისულიყო იქ და არ

დარიდებოდა არაფერს.

[illegible] მამაჩემი ამბობდა, ხის ძირში რო დაიწერო პირჯვარი, მაინც სწორია. მღვდლის წამლები არავითარი მარგები არ არის. ღმერთი მექრთამე არ არის.

ილარიონ ცქალაძე, ვალიკოს მამა, ეკლესიაში რო მივიდოდა, ათი-ვე თითზე აინთებდა სანთლებს. ყაჩაღი იყო.

15. ტაძრის ეზოში ბევრია ხავს და ჟანგმოკიდებული საფლავის ქვები წარწერებისა თუ ეპიტაფიების გარეშე. ბევრი მათგანი ათეულო-ბით წლებსაც უნდა ითვლიდეს. გვითხარით ზეპირად, ვინ განისვენებენ აღნიშნულ ლოდებ ქვეშ /ტაძრიდან ჩრდილოეთით, სამხრეთით, აღმოსავლე-თით თუ დასავლეთით./

პასუხი: ეკლესიის უკან — კაი ქვა, წარწერამომდგრეული, არის დავით გოდაბრელიძის /სოსიკოს მამა/ ცოლი და ჯაფარიძის შვილი; ამ ქალს ყოლოდა მარტო გოგოები.

ჩემი ნათლია ყაუხვის აქეთ — იოსებ ლაზარეს ძე ქამუშაძე. ქვას აქვს წარწერა; ეკლესიის წინ რო ქვები არიან მწკრივი, დიაკონი და მოსამსახურე განისვენებენ მათ ქვეშ... ამავე ეზოში იმარხება გრიგოლ ქიქინაძის მამა — ნიკოლო.

გრიგოლი 1924 წელს დახვრიტეს.

ქვები ადევთ ბაბუაჩემისა და ბებიაჩემის საფლავებსაც.

16. მომხდარა თუ არა მკვლელობები თქვენს უბანში /ან სოფელში/ თქვენი ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე და თუ მომხდარა, ვინ იყვნენ ამ მკვლელობის მსხვერპლნი და რამ გამოიწვია იგი.

პასუხი: პლატონ აბდუშელიშვილი /ქაქინიშვილი/ მოკლა ილია გოგო-ციძემ. ილია იყო ჩალანდარი. ქორწილში რო თამაშობდნენ არლაწნე, პლატონმა მას მათრახი გადაუჭირა — შენ ვინ ხარო. იძრო ხანჯალი ილიამ და მოკლა პლატონი. ეს იყო რევოლუციამდე.

ქორეთის ეკლესიაზე მოკლეს კობახიძე, მის ძმას კი ხელი მოჭრეს. ეს კობახიძეები ხანჯალს არ აძრებდნენ. მკვლელი იყო კალმახელიძე. საბოლოოდ ეს კალმახელიძე პლატონებმა /ალიხანოვის ხალხი/ დახვრიტეს,

სარჩევი კი გადაწვეს.

ექვთიმე წერეთლის შვილი /ითხვისში/ ალექსანდრე მოკლა ნაყმევმა მოსიამშილმა საკუთარი რევოლვერით ქუთაისის ბულვარში /მათრახი გადა-უქრია მძინარს/. ამავე ალექსანდრემ მოკლა თავისი ნაყმევი სპი-რიდონ გაბაძე/ /ლენინის სახამლეთი რაიონი/... შემდეგში სპირიდონის დედამ კონიამ თოფით დაამშინა ცოდაბრელიძეები იმისათვის, რომ მას წისქვილში არ აცენებდნენ.

აბესალომ ფარქოსაძემ რო მოსიკა ფარქოსაძე მოკლა /მკვლელობის მომსწრე საკუთარი თვალით ნახა ვანია გარინდაშვილმა/, მკვლელს უთქვამს:

- ხო ავკუნე, მაგრამ გული კიდევ არ მაქვსო.

მოსიკამ აბესალომის ცოლი წეიყვანა... ქუთაისიდან იყო. მაშინ აბესალომი მზარეულად მუშაობდა ქუთაისის გუბერნატორთან/და იქ გა-იცნო მომავალი საცოლე/... მკვლელობის შემდეგ აბესალომი კახეთში გაქცეულ ქალს შეურიგდა, მაგრამ შვილებმა არ მისცეს სახლში მოყვა-ნის უფლება.

17. გვიამბეთ თქვენი ქაბუკობის დროს სოფლად გავრცელებულ ბავ-შვური და ახალგაზრდული თამაშობათა შესახებ და აღწერეთ ზოგიერთი მათ-განის შესრულების წესები.

პასუხი: თამობა იყოდნენ შაბათ-კვირას სოფლის ამათუიმ კუთხეში. იყო დარია და მუშიკა. მაშინდელი გოგო-ბიჭები რო თამაშობდა, ახლა სად ნახავ ისეთ სილამაზეს; იყოდნენ ბურთაობას, რიკ-ტაფელ... მე-პირადად რიკ-ტაფელაში ვერავინ მჯობდა: წაფურით ამოვიდოდი სკოლიდან ეკლესიამდე. ფეხურთობაც /რიკის ფეხით გაკვრა/ ვჯობნიდი ყველას. თუ გადავაცილებდი — ზურგით უნდა ამოეყვანე წაგებულს სკოლიდან ეკლესიამდე.

18. რა ავადმყოფობები აწუხებდა ძველად ხალხს. რომელი ითვლე-ბოდა მათ შორის განუკურნებლად. ვინ იყვნენ ადგილობრივი ექიმბაშები.

პასუხი: ჭლექიანებს თითქმის ახრჩობდნენ რუმად... გულა ჰქონ-

და ერთს, ჩამოაცვამდა თავზე და დაალაჩრიტდა... შელოცვა სანამდებელია; მაგალითად, საქმეს რო შეუდგება, ქიანჭველა არ მიეკარება. საქმეს შემ-დეგნაირად უდგებოდნენ: — რა მოჩიარემ მოჩიარეს უღალატოს, მისი ცოდვა-მადლი მოგვეცეს. მლოცველი ამ სიტყვებს სამჯერ იტყოდა და ქიანჭველა აღარ მიეკარებოდა.

19. ყველაზე კეთილი ადამიანი თქვენს გვარში, უბანში, ყველაზე ბოროტი. ვინ მოგომახელდება იგი.

პასუხი: გიორგი ლომიძე, ლევრენტის მამა, ნამდვილი კეთილი იყო. კეთილი არის ძიხაკოს, ლევრენტის ძმა, პარიკმახერი...

ბოროტი კაცი — გიორგი /ბართლომეს შვილი/ ქამუშაძე, ჩვეულებისამებრ მოკ-ვდა. საღამოთ რო დაიგებოდა, გაქონდა სახლებს ზრიალი — ან სახლი იწვოდა ან საბძელი... ერთხელ წვეიდა ცხაზე სანადიროდ — იხვზე იყო სანადიროდ. გა-ვარდა თოფი, მოხვდა კონდახი გიორგის და ... მოკვდა.

მივარდა ცოლი ბართლომეს:

— შენ მომიკალი შვილით.

— ქალო, ვარიგებდი და არ ჯეროდა, — უთქვამს ბართლომეს.

გიორგიმ დაგვიწვა სახლი პაიეთში.

მანვე მოკლა ვანო ქამუშაძის ბიძა — ბასილი.

ერთხელ ბართლომეს ხარები უყიდია, გზაში ლუკია მეგრელი მეზვეურია.

— სად მიიხარით. — უკითხავს ლუკიას.

— მთაშით, — უთქვამს ბართლომეს.

წასულან მთაში შევის ჩამოსაცვანად. ქერულაზე ორთავე ხარები დაცემულან. შეკითხავს უთქვამს ბართლომესათვის: —ეკან კაცი გამოგყოლია და მისი თვალი ხვდიათ.

ბართლომეს მოუკლავს ლამე ლუკია.

— ხარები მომიჩჩინეთ, —უთქვამს **ბართლომეს**.

— ვერათ, —უთქვამს ლუკიას.

ამ სიტყვებისათვის მაგრად უცემია ბართლომეს ლუკია.

მალე ცასაზს ჩაბარა ბართლომემ ხარები.

20. არსებობს თუ არა ბერის ვარსკვლავი? თქვენ თითონ რომელ ვარსკვლავზე ხართ დაბადებული?

პასუხი: 28 ვარსკვლავი ყოფილა ქვეყნის მმართველი. თითქოს, კაცი რო იბადება, ვარსკვლავი არის ცაზე... აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ვარსკვლავების ცაზე გადაადგილების მეოხებით ზუსტად ვგებულობ დროს, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს სოფლად მცხოვრები კაცისათვის.

21. რას იტყვით დედამიწის შესახებ /მისი უსასრულობა, მიმართულება სამყაროში, მოძრაობს თუ არა/.

პასუხი: არ ვიცი, ცაშია თუ არა დაკიდებული... ეს კი ვიცი, რომ, როდესაც ღმერთმა და ეშმაკმა დედამიწა გაყვეს, ეშმაკმა მთელი სიმდიდრე თან წაიღო მიწაში. როცა კი ეშმაკი მიწიდან ამოდის, იმ წუთში ამოვა მზე... კარავში ვარ ერთხელ დაწოლილი და ვხედავ... უცებ მზემ გაიბრწყინა, დავცა მიწა გოდაბრელიძის ეზოში ცხემლას და იმ წუთში წყალზე გადაშო.

22. როგორ გესმით ბედისწერისა და სიზმრის საკითხი?

პასუხი: სინამდვილეა.

23. არსებობს თუ არა საიქიო ცხოვრება?

პასუხი: სინამდვილეა.

24. როგორ გესმით ღვთაების საკითხი. ღმერთობდით თუ არა ოდესმე.

პასუხი: მე ახლაც გადავწერ ხოლმე პირჯვარს... ეს არაფერს არ აშავებს. რელიგია თვითონ მორწმუნეებმა გააფუჭეს... რადგანაც თვითონაც "მშვიდობები" და გაფუჭებულები იყვნენ ისინი /ბოყაუს მაგალითები/.

25. გვიამბეთ 1900-იანი წლების [illegible] შესახებ /ვინ მფარველობდა მას, მღვდლობდა, რა სახის სალოცავ რიტუალები სრულდებოდა იქ და ა.შ./

პასუხი: უდერძში ქორეთის ეკლესიის მღვდელი წირავდა ამაღლებას, ელიობას და სხვა დღეებში.

უდერძი ახალი აშენებულია: სარბერის სობორის აშენებულმა ბერძენმა ხიცანიურმა გორგიმ სთქვა: ბაბუაჩემის აშენებულია უდერძის ეკლესიაო.

26. უსწმენთ აიამიანი— რა შეიძლება ეწოდოს მას.

პასუხი: რა ვთქვათ, ურწმუნო ადამიანი ურწმუნოა.

27. სკოლა, სადაც თქვენ სწავლობდით. ვინ იყვნენ თქვენი მასწავლებლები, თანაკლასელები.

პასუხი: ვსწავლობდი ქორეთში, ძველი სასოფლო საბჭოს შენობაში. პედაგოგებიდან აქ იყვნენ დავით აბდუშელიშვილი და პეტრე ყიფქიშვილი. მათ შორის პირველ ორ წელს დავითი გვასწავლიდა, ხოლო მომდევნო ორს /სკოლა ოთხკლასიანი იყო/ -პეტრე ყიფქიშვილი. სასწავლო დისციპლინებიდან დავით აბდუშელიშვილი გვასწავლიდა ისტორიას - ქვეყნის წარსულიდან და სამხედროს; გვაცნობდა სკოლიდან ეკლესიამდე... სამხედროში რო წავედი, მიწისა-მოწისაალება რითი მეშლებოდა.

სასოფლო-სამეურნეო საქციალობებიდან ჩვენ აქ მხოლოდ მეაბრეშუმეობას გვასწავლიდნენ. ამ საქმის სწავლებას პეტრე ყიფქიშვილი უძღვებოდა.

28. ომები, რომლებშიც თქვენ მონაწილეობდით. თქვენთან ერთად თქვენი მეგობრიდან ან მეზობლებიდან რომლები იბრძოდნენ, დაუშვათ, პირველ მსოფლიო ომში. ვინ დაბრუნდა, ვინ არ დაბრუნებულა.

პასუხი: ვიბრძოდი ავსტრიის ფრონტზე. ფრონტზე ვიყავი ორწელიწადნახევარი. ჩემი უფროსი იყო პოლკოვნიკი რეზანოვი. იმას მოგვითხოვა ფრონტისთვის ქართველები, როგორც მაგარი მებრძოლები. რეზანოვი იყო უშიშარი სარდალი რისთვისაც მან ბოლოს გენერლის ჩინი და რკინის ჯვარი მიიღო.

საქართველოში მე წამოვედი იადოფიდან გორიგობისთვის 17-ში. კარგ დროს გამოვასწარი, რადგანაც ვლადიკავკაზში იარაღის ეულისათვის ხალხს ხოცავდნენ.

ჩემთან ერთად ფრონტზე იყო ითხვისელი ვანია გ ვ ა რ უ ც ი ძ ე და ბერეთისელი აკაკი ცაბაცაძე /დაიღუპა იქ/, ვანია აქ მოკვდა.

29. ილაპარაკეთ "ეფრემ მღვდლის" გარშემო. რა გასწავლათ მან.

პასუხი: ყველაფერი... კარგია "ვეფხისტყაოსანი" და გოგებაშვილის "ბუნების კარი"...

30. რას იტყვით თქვენი პირველი სიყვარულის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



პასუხი: კაცი, რომელსაც ცხენი, ღვინო და ქალი არ უყვარს, კაცი არ არის... ცხენზე რომ ვეღარ შეჯდები, ღვინოს რომ ვერ დალევ, ქალს რომ ვეღარ გაუღიმებ: ი ა ლ ა – აიკარი ბარგი და წადი.

31. სმისა და ქეიფის ტრადიციები ჩვენს სიჭაბუკეში. დაკარგა თუ არა მან თავისი ეშხი, სიდარბაისლე და მიმზიდველობა.

პასუხი: დაკარგული არ არის. საუკუნეებით განმტკიცებულ სუფრისა და სიმღერის ტრადიციებს, რომელიც ეგრე რიგად ამკობდა და ალამაზებდა სოფელს, მე ვეღარ ვხედავ. საუკუნის ხელმა ერთბაშად აღგავა ისინი მიწისაგან პირისა.

32. რა აზრისა ხართ მზეზე.

პასუხი: უცვლელია, მიდის და მიდის.

33. ისურვებდით თუ არა გეცხოვრათ მარად, ამასთან მხნედ, ჯანმრთელად და უზრუნველი ცხოვრებით გაცისკროვნებულს.

პასუხი: არ არის საჭირო... ძველად იცოდნენ როდის მოკვდებოდნენ... ერთი თურმე ანწლის ღობეს წნავდა..

–რას შვრებით – შეეკითხნენ.

–მე ქვე მოვკვდები და რათ მინდაო, –მიუგო მან. მერე შეიცვალა...

სიმდიდრე კაცსა გადჰრევს,
თუ მოერია თერია,
აგრეთვე სიღარიბეში
დაავიწყდება ღმერთია,
ჭკვიანსა კაცსაც რომ ჰკითხოთ–
მისთვის სუყველა ერთია.

მარმან ვენახმა მიღალავა, წელს რო შეხვიდე, იტყვი: ჯვარი სწერიათ.

34. რამდენადაც ვიცი, თქვენ მემკვიდრე არა გყავთ. მემკვიდრე ხომ სიცოცხლისა და გვარის გამგრძელებელია. გამოთქვამთ თუ არა სინანულს იმასთან დაკავშირებით, რომ თქვენ საკუთარი მემკვიდრე არ დაგრჩენიათ.

პასუხი: **ჩნს იმამ!**.. ძმისშვილები არიან და აქ არიან ჩაწერილი.

35. სამართლიანად იქცევა თუ არა ბუნება მაშინ, როცა ის ნაადრევად უსწრაფებს სიცოცხლეს ვაჟკაცს და პირიქით: ხანგრძლივ სიცოცხლეს ანიჭებს გაიძვერას, ავსულს და ყოველგვარის მანკიერებით დამძიმებულს.

პასუხი: არა, ბოროტმა დიდხანს არ უნდა იცოცხლოს... ადამიანი აქ-ვანში რო კვდება და ხოჭოზე, ეს არაფერია. ქვეყანას რო გაეცნობი და მერე მოკვდები, ესაა ყველაფერი; ხალხი რო კარგად მოგიგონებს, ესეც კარგია.

36. რომელი ადამიანის /ნათესავი, ახლობელი, მეგობარი, თანამებრ-ძოლი/ დაღუპვამ დაგწყვიტათ ყველაზე მეტად გული ისე, რომ დღესაც არ განელებულა გულში ეს სინანული.

პასუხი: წითელი კვერცხების მიზეზით 1937 წელს ჩემი ძმის მოლაღ-ურმა გადასახლებამ არხანგელსკში, სადაც ის ნიკო ჯორბენაძესთან და კოწ-ია გოდაბრელიძესთან ერთად დაიღუპა. მათემატიკას ასწავლიდა ქორეთის სკოლაში... გადასახლებამდე მან სკოლის დირექტორს ჟალაძეს, რომელიც წითელი კვერცხებისა და საერთოდ, სააღდგომო რიტუალის მიმართ მტრულად იყო განწყობილი, უთხრა თურმე: -წითელისათვის ხალხმა თავი გასწირა, თუ არ მოგწონს წითელი /ეი. წითელი კვერცხიო/, გაფრცქვენი და თეთრი დაგ-რჩებაო.

37. რომელი ქართული სიმღერები გიყვართ. მღერიხართ თუ არა თქვენ თვითონ მათ.

პასუხი: სასიამოვნო უკეთესი რა არის. ჩალით დახურულ სახლში ისმოდა "მრავალჟამიერი", ცრიალებდა კათხები... კრამიტით დახურული სა-ხლები კი ძველად ჩვენ უბანში ჰქონდათ მხოლოდ ზაქარია, ისაკ და გიგო ყაჩუეძაძეების იმდროისათვის მდიდარ და გავლენიან ოჯახებს. დაათრევენებს კი, როგორც ჭიოთარი-ჩალა, ყავარი... ყველი, პური და კეთილი გული.

38. რა მისცა ხალხს რელიგიისა და სარწმუნოების უარყოფამ. რა შეიძინა მან ამით, ან რა დაკარგა. ღირდა თუ არა, საერთოდ, რელიგიის შენარჩუნება.

პასუხი: კვირას ვისვენებით...

ორშაბათობით აშენდა
ცის-ქალაქი მთაწმიდა.

ახლა სულ გამოიყვანეს ხარები წყობილებიდან... ძველად ფიცის ეშინოდათ... ძველად რო იფიცამდნენ, იმას ქალს არ მისცემდნენ, რადგანაც ფიცი არ იყო საჭირო. მაქსიმე იყო ქამუშაძე, ცეცხლზე იდგებოდა... იყო ქურდი: სამსონ აბდუშელიშვილს წისქვილები მოპპარა. წავიდა სამსონთან და უთხრა: –ბავიგე, წისქვილები დაგკარგვია, მე მაქვს, მოდი და მოყიდიო.

სამსონმა იცნო თავისი წისქვილები.

ლამაზი კაცი იყო მაქსიმე... სასამართლოში უთხრეს, გასწორდი და ისე იცხოვრეო...

39. ებრაული სარწმუნოების ერთი მუნქი ამბობს. –მკვდრეთით აღდგომა ჭეშმარიტებაო, –დაასაბუთეთ იგი.

პასუხი: ასე არის ნათქვამი.

40. და თუ ეს სინამდვილეა ან შესაძლებელი მაინც, მაშინ უშუალოდ რო-მელი თქვენი უახლოესი ადამიანის მკვდრეთით აღდგომას ისურვებდით, რათა ხელახლა გეხილათ იგი.

პასუხი: გამოცხადებაზე არ მიფიქრია.

41. სამყაროს უსასრულობისა და სასრულობის საკითხი თქვენეული გაგე-ბით.

პასუხი: არავინ არ იცის, ხან ასე იტყვიან, ხან ისე...

42. რა განასხვავებს ერთმანეთისაგან ცხოველსა და ადამიანს.

პასუხი: სული ყველაფერს უდგია, ბუნჭყველებსაც კი აქვს სული.

43. არსებობდა ბრინჯაოს, რკინის, ოქროსა და ვერცხლის ხანა. ჩვენი საუკუნე რომელ ხანას შეიძლება მიეაკუთვნოთ.

პასუხი:...

44. ქართველი კაცის უმაღლესი ღირსება. ქალისა.

პასუხი: –არაა სწორი ქალის კაცთან გათანაბრება: ქალი სულმოკლეა

ეროვნული ბიბლიოთეკა



45. —პირუთვნელმა, ზოგჯერ ჯიუტმა და ზომიერებაზე მეტად მორჩილმა ზოგჯერ, თქვენმა განწყრილმა მეგობარმა და ერთგულმა ძმამ, — ჯორმა, დიდი პატივი დაგდოთ მთელი თქვენი სიცოცხლის განმავლობაში და კარგადაც გემსახურათ. ეს ალბათ იმიტომ, რომ თავის მხრივ თქვენც თქვენი მიაგეთ მას, მოვლა-პატრონობას არ აკლებდით და ომამდე იბაიებული პირუტყვი ღრმად აცოცხლეთ.

მერე და რამდენი, დიახ — რამდენი შრომა და გარჯა, ოფლი და მწუხარება, რამდენი ცანცვა და სალმობა შეუმსუბუქებია მას შენთვის გზადაგზა, და რამდენჯერ კიდევ ვალში დარჩენილა, ვინ იცის.... რამდენიმე მიწორჩელი, ბილიკები და ღრანტეები დაულახავს მას ამ ხნის განმავლობაში.

ვინ, ვინაა, ამის მაუწყებელი.

დღეს, როდესაც საჰაერო თუ სახმელეთო ტრანსპორტმა ერთიანად წალეკა ირგვლივ ყოველი, როდესაც ხარურემი უკვე აღარაა ან სანთლით საძებარია, ცხენი და სახედრებიც აღარ არიან, თქვენ კვლავ იჩენთ თქვენი პირუტყვისადმი საკაირის წინდახედულებას, გრძნობთ ჯორის, როგორც ცოცხალი გამწევი ძალის დიდ საჭიროებას, ძმასავით ეფერებით და მეგობარსავით მხარში უდგეხართ მას, ალბათ.

რისთვის. რა მიზეზით. —კითხულობენ ზოგიერთები.

ცხენსაც და სახედარსაც, რომელიც საქართველოში კარგახანია უარყოფია, რომელთა შესახებაც დღეს თითქმის აღარ ლაპარაკობენ, აქვს თურმე დიდი უპირატესობანი, მისი ჯორთან თანაფარდობაში.

არც ამ თანაფარდობაზე ლაპარაკობენ დღეს საქართველოში, მით უფრო შენ, რომელმაც კარგახანია საგზლად აკიდე ჯორს შენი მომავალი, წინ გაიგდე, თვითონ კი ფეხდაფეხ აედევნე.

იქნებ მოხუცი...

იქნებ მუხლი აღარ გჭრის, ძალა აღარ გემორჩილება, იქნებ ყოველი უარყავი, მაგ მორის ჯორიც და მისი თავიდან მოშორება გაქვს გადაწყვეტილი.

იქნებ...

პასუხი: —ჯორი 39-ში ვიყიდე პირველად და მას შემდეგ თავიდან არ მომორებია, სახლში მყავს... თუმცა ცხენიც შემეძლო მეყიდა იმ დროს, მქონდა

ეროვნული ბიბლიოთეკა



– სოფელში იმ დროს ნიჭიერთა შორის ორი გამორჩეული ადამიანიც იყო: ვოლოდემარ ქაჯაია და სანდრო აბდუშელიშვილი. რა შეგიძლიათ თქვათ თქვენ ამ ადამიანების შესახებ მათი ღირსებების, განსწავლისა და ადამიანობის თვალსაზრისით?

– ქაჯაიები უკეთესები იყვნენ. ვოლოდემარი სულ სიცილით გვხვდებოდა, ასევე სანდრონიც, ვოლოდემარის მამა, გარეგნულად ლამაზი და მოხდენილი კაცი, რომელიც პატარა წვერს ატარებდა სულ მუდამ, შეხვედრებისას წინდების გარეშე არ გაგიშვებდა, უსათუოდ მოგცემდა და დაგასაჩუქრებდა.

ასეთი ადამიანები რო იყვნენ დღეს, მილიცია რათ გინდა.

მოზრდილი წვერი დიმიტრი მღვდელსაც ჰქონდა. ჭაბუკობისას მე ეს ადამიანი ურმით დამყავდა მაცხოვრის ეკლესიაზე ფრეთში, სადაც ის მღვდლობდა და თავის მრევლს მსახურებდა.

– ხოლო უპატიოსნესთა და უნეტარესთა შორის თქვენი ძმა – კოლია დარბაიძეც იყო. რას იტყვით თქვენ ამ ადამიანის შესახებ? როგორ დაახასიათებდით? როგორ განიცდიდით მასთან სიახლოვეს, როცა ის ცოცხალი იყო და პირიქით – განიცადეთ მასთან განშორების მტანჯველი მელანქოლია? არის თუ არა საერთოდ იგი დიდი დანაკლისი თქვენი ოჯახისა და მთელი თქვენი გვარეულობისათვის?...

– მე კი არა ყველა ახასიათებდა მას, როგორც გამრჯე, მშრომელ, პატიოსან ადამიანს... მე ჯერ მისი მაგინებელი, მასზე ავის მთქმელი თვალით არ მინახავს...

კაცს რო უჭირს, მაშინ კია არ უნდა უთხრა – იყავი ეგრე, ღირსი ხარო, პირიქით – უნდა წაეხმარო, ანუგეშო და გასაჭირში არ მიატოვო, კაცობა ესაა, მეტი რა არის.

ამის საშუალება, მაგრამ შეგნებულად არ გავაკეთე — ჯორი მეჩრია...

რატომ. ცხენი რა არის, მოუვლის წელკავი, მოკვდება და წამეკიდე შენ თვითონ უნაგირი.

ჯორის გარეშე კი დღესაც არ შემიძლია მე არსებობა. ასე გასინჯეთ, ვენახშიდაც კი ჯორით ეჯდიარები.

ჯრუჭის არქიმანდრიტს და მის ბერებს ყავდათ, 13 ჯორი, 11 ენოსე სხირტლაძეს, შენახშირე იყო.

## მოკლე ბიოგრაფიული ცნობები

სიმონ მერმანის ძე ქ ა მ უ შ ა ძ ე დაიბადა საჩხერის რაიონის სოფელ ქორეთში /იმერითხეველი მორაშნისმარნა/, —მშრომელი გლეხის ოჯახში. დედა —ვასასი ოდიას ასული გუმბე, რაჭა-იმერეთის მოსახლეობის ერთ-ერთი სოფლიდან იყო. ოდიას, ვასასის მამას, ხელობით დურგალს, საუკუნეზე მეტი უცხოვრია —ზუსტად 105 წელი. სოფლის მკვიდრნი ყოფილან სიმონის ბაბუა ანდრია იაკობიძე და მეუღლე მისი ნინო ნოზაძე. ბიძებიდან ერთს რქმევია ანტონი, მეორეს —იოსები.

სიმონის ავლადიდებას დღეისათვის შეადგენს კარგად გამართული და მორთულ-მოკაზმული, ხევიან-ბარაქიანი მარანი, ფიცრული სახლი, და ხეხილით დამშვენებული ეზო-კარმიდამო.

ყველაფერი ეს სოფლის განაპირას, მისგან ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობს და ამაყად უსწორებს თვალს რაჭის მთიულ /თოვლიან, მაგრამ მზ-რალის ღამამ და უკიდეგანო მთებს./